

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებათა აღსრულება და ეროვნული სასამართლოების  
როლი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2019

**Execution of Judgments of the European Court of Human Rights and  
the Role of National Courts**

**The Supreme Court of Georgia**

**Analytical Department**

**Human Rights Center**

**Tbilisi**

**2019**



**კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ**

**ავტორი და მთავარი რედაქტორი**

**მარინე კვაჭაძე**

**სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი**

**ავტორები:**

**ეკა მამალაძე**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარი კონსულტანტი**

**ნიკო დათეშიძე**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის კონსულტანტი**

**გულიკო მჭედლიშვილი**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის უფროსი კონსულტანტი**

**სტილისტური რედაქტორი**

**ნინო ძიბიგური**

**ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი**

**მარიკა მაღალაშვილი**

**განსაკუთრებული მადლობა გაწეული დახმარებისთვის ეკა ლომთათიძეს -  
ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის მრჩეველს ადამიანის  
უფლებათა ევროპულ სამართალში**



**The research was conducted by Human Rights Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia**

**AUTHOR AND CHIEF EDITOR**

**Prof. Dr. Marina Kvachadze**

Head of Analytical Department  
Deputy Head of Legal Support

**AUTHORS:**

**Eka Mamaladze**

Chief Consultant of Human Rights Center

**Niko Dateshidze**

Consultant of Human Rights Center

**Guliko Mtchedlishvili**

Senior Consultant of Human Rights Center

**STYLE EDITOR**

**Nino Dzidziguri**

**TECHNICAL EDITOR AND DESIGN**

**Marika Maghalashvili**

Special Thanks for the Contribution to **Eka Lomtadze** - ECHR Advisor of EU4Justice: Judiciary Support Project

## წინათქმა

წინამდებარე კვლევა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ და ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოს როლი ამ პროცესში. ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურას, სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ზოგად და ინდივიდუალურ ღონისძიებათა სახეებს, ისევე როგორც აღსასრულებელ საქმეთა სპეციფიკას. კვლევაში ყურადღება ეთმობა სტრასბურგის გადაწყვეტილებისა და განჩინების საფუძველზე ეროვნულ დონეზე საქმეთა ხელახლა განხილვის შესაძლებლობას. ამასთან, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საერთო სასამართლოების წინაშე განახლებული 10-ზე მეტი საქმე და წარმოდგენილია კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები და შესაბამისი დასკვნები.

მიგვაჩნია, რომ კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისთვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

## **Preface**

This research is prepared by Human Rights Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia and it addresses extremely important issues, such as the execution of the judgements/decisions rendered by the European Court of Human Rights and the role of national courts in this process. The study provides extensive information regarding the execution procedure, the types of general and individual measures to be taken by states, as well as specific nature of the cases, which are yet to be executed. The research draws particular attention to the opportunity of reopening the court proceedings on a national level by virtue of ECtHR judgement/decision. In addition, the study provides an analysis of more than 10 reopened Georgian cases on national level, presents relevant tendencies revealed as a result of a conducted research and accordingly, draws certain conclusions.

We believe, that this research will be of interest not only for the persons practicing in legal system per se, but for the academics, students and up and coming lawyers, as well as the general public interested in these issues.

## სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია.....	9
ძირითადი მიგნებები:.....	10
<b>1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება.....</b>	<b>15</b>
1.1. ლესტიტუტო ინ ინტეგრუმ – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი.....	16
<b>2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში.....</b>	<b>18</b>
2.1. სამართლიანი დაკმაყოფილება.....	20
2.2. ინდივიდუალური ღონისძიება.....	21
საქმის ხელახლა გადასინჯვა.....	21
ინდივიდუალური ღონისძიებების სხვა სახეები.....	25
2.3. ზოგადი ღონისძიებები.....	26
ცვლილებები ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.....	26
საკანონმდებლო ცვლილებები.....	27
<b>3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურული ზედამხედველობა.....</b>	<b>29</b>
3.1. მინისტრთა კომიტეტის როლი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში	29
3.2. მთავრობის კომუნიკაცია მინისტრთა კომიტეტთან - სამოქმედო გეგმა/ანგარიში.....	36
სამოქმედო გეგმა.....	36
სამოქმედო ანგარიში.....	37
3.3. დაზარალებული მხარეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა.....	38
<b>4. აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა ტიპები.....</b>	<b>41</b>
4.1. საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება.....	42
4.2. მეგობრული მორიგება.....	42
4.3. ცალმხრივი აღიარება.....	47

<b>5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულების საპარლამენტო ზედამხედველობა.....</b>	<b>53</b>
5.1. საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების მოდელები .....	54
ადამიანის უფლებათა სპეციალიზებული კომიტეტის მოდელი.....	54
ადამიანის უფლებათა სპეციალიზებული ქვეკომიტეტის მოდელი.....	56
ჯვარედინი/სრულად „ინტეგრირებული“ მოდელი.....	57
შერეული მოდელი.....	58
5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში პარლამენტის ძირითადი როლი.....	60
<b>6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის განმეორებითი მიმართვის შესაძლებლობა – უკან სტრასბურგისკენ.....</b>	<b>63</b>
<b>7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება ეროვნულ დონეზე.....</b>	<b>70</b>
7.1. ეროვნული კანონმდებლობა .....	70
7.2. სახელისუფლებო ორგანოების როლი.....	72
იუსტიციის სამინისტროს როლი.....	73
პარლამენტის როლი.....	74
სასამართლოს როლი.....	77
<b>8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე ეროვნულ დონეზე განახლებულ საქმეთა ანალიზი.....</b>	<b>78</b>
8.1. დასაბუთების საკითხი ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების გადასინჯვისას/ხელახლა განხილვისას.....	79
8.2. დარღვევა, რომელსაც ეფუძნება განაჩენი – როდის გადაისინჯება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება .....	87
8.3. შეცვლილი კანონმდებლობა, როგორც ეფექტური აღსრულების საფუძველი .....	92
8.4. ეროვნული სასამართლოს როლის ეფექტური გამოვლინება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების პროცესში.....	96
8.5. მოსამართლეების საქმეები.....	100
<b>დასკვნა.....</b>	<b>104</b>



## შესავალი და მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცენტრალურ როლს თამაშობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ევროპულ სისტემაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კი, როგორც პირის დარღვეული უფლების აღდგენის დასკვნითი ფაზა, შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება სავალდებულოა კონვენციის ყველა ხელშემკვერელი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. გადაწყვეტილებათა სათანადოდ აღსრულება ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვას, აგრეთვე, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან არიდებას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის გაანალიზებასა და აღნიშნულ პროცესში ეროვნული სასამართლოების როლის მიმოხილვას. კვლევაში აღწერილია მინისტრთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში, აგრეთვე დახასიათებულია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები. დოკუმენტში შესწავლილია აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა ტიპები და მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის სახეები. ამასთანავე, კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში ჩართულია როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლება. ამდენად, კვლევაში მიმოხილულია ხელისუფლების თითოეული ორგანოს როლი გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში. ამასთან, გაანალიზებულია უცხო ქვეყნების გამოცდილება საპარლამენტო ზედამხედველობასთან მიმართებით.

კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობას, როგორც რიგ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინდივიდუალურ ღონისძიებას.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ეროვნულ დონეზე ხელახლა განხილულ საქმეებში გამოვლენილი ასპექტების გაანალიზების გზით, კვლევის დანიშნულებაა, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ დონეზე

საქმის ხელახლა განხილვის საუკეთესო მაგალითები და სანიმუშო დასაბუთებები და, მეორე მხრივ, მიუთითოს იმ საკანონო საკითხებზე, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ.

კვლევის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ბოლო წლების განმავლობაში ახლად აღმოჩენილი/გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განახლებული საქმის წარმოების ფარგლებში, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/განჩინებები. საკვლევი მასალის შეგროვება მოხდა სასამართლოებისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოებს ეთხოვათ, მოეწოდებინათ ყველა ის საქმე, რომელზეც ახლად აღმოჩენილი/გამოვლენილი გარემოების ფარგლებში განახლდა საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ მიღებული იყო დარღვევის დამდგენი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება. კერძოდ, მოპოვებული და შესწავლილი იქნა 10-ზე მეტი გადაწყვეტილება, მათ შორის როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის გასაანალიზებლად, შესწავლილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის გაგზავნილი სამოქმედო გეგმები/ანგარიშები, მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები ისევე, როგორც დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო სექტორის კომუნიკაცია მინისტრთა კომიტეტთან. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

წინამდებარე კვლევა თემატურად, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა ეროვნულ დონეზე განახლებული საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებს.

დამატებით, დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

### **ძირითადი მიგნებები:**

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულ, დროულ და ეფექტიან აღსრულებაში ჩართულია როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლება.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. სწორედ იუსტიციის სამინისტროა ის პასუხისმგებელი უწყება, რომელიც სახელმწიფოს სახელით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სამოქმედო გეგმებსა და სამოქმედო ანგარიშებს, აგრეთვე დადგენილი პერიოდულობით წარადგენს განახლებულ ინფორმაციას ცალკეულ საქმეებზე აღსრულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ; გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრო წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1-ლი აპრილისა, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საერთაშორისო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ. 2016 წლიდან დღემდე იუსტიციის სამინისტროს წარდგენილი აქვს 3 ანგარიში (2016, 2017, 2018 წლების ანგარიშები) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს ზედამხედველობს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში არ არის განსაზღვრული, თუ რომელი კომიტეტის უფლებამოსილებაა მსგავსი ზედამხედველობა. რეგლამენტის მიხედვით, წამყვან კომიტეტს ბიურო განსაზღვრავს. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთად განისაზღვრა იურიდიული კომიტეტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტებზე ანგარიშების მოსმენა ღიაა და მასში ჩართულია როგორც მომხივნები, აგრეთვე სამოქალაქო სექტორი, მედია და ნებისმიერი დაინტერესებული პირი;
- სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში სასამართლოს როლი უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც სწორედ სასამართლო ახდენს კანონმდებლობის გამოყენებასა და განმარტებას. სასამართლოს მნიშვნელობა გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში კიდევ უფრო გაიზარდა, მას შემდეგ რაც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე შესაძლებელია საქმის ხელახლა განხილვა. რიგ შემთხვევაში, სწორედ ეროვნულ დონეზე განახლებული სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება განსაზღვრავს, რამდენად შესრულდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და დაცულ იქნა საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული *restitutio in integrum* პრინციპი;
- საერთაშორისო სამართალში არსებულ *restitutio in integrum* (პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა) პრინციპზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირვანდელ მდგომარეობაში

დაბრუნების ყველაზე სათანადო გზა კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში არის ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის საქმის ხელახალი განხილვა კონვენციის უზრუნველყოფილი პროცედურული გარანტიების დაცვით;

- სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ეროვნულ დონეზე საქმეთა გადასინჯვის შესახებ საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვის უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, უშუალოდ რომლის მიმართაც არის დარღვეული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა საქმეზე არსებული იდენტური დარღვევა ვერ გახდება საქმის გადასინჯვის საფუძველი.
- ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნაზე უარის ან აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფუძველით, შესაძლებელია სტრასბურგის სასამართლოსთვის კიდევ ერთხელ მიმართვა. ასეთ შემთხვევაში საჩივრის დასაშვებობის კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა იქნება მიჩნეული - ის, რომ სასამართლო იხილავს იმავე ფაქტებს, რომელიც წინა საქმეში იყო მოცემული, თუ ის, რომ არსებობს ახალი ფაქტი ან ფაქტები, რომლებსაც სასამართლო პირველ გადაწყვეტილებაში მხედველობაში ვერ მიიღებდა. ეს საკითხი არსებითი მნიშვნელობისაა, გამომდინარე იქედან, რომ პირველ შემთხვევაში საჩივარი დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი „როგორც არსებითად იგივე“, კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხოლო ახალი საკითხის წამოჭრის შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლო მას განიხილავს.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ დონეზე განახლებული საქმეების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი საკითხები:
  - ❖ ეროვნულ დონეზე სასამართლოები როგორც არსებით გადაწყვეტილებებში, ასევე დაუშვებლობის შესახებ განჩინებებში ძირითადად მიმოიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას/განჩინებას, რომელიც საფუძველად დაედო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას;
  - ❖ ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალში, ვინაიდან ამ შემთხვევაში განსახილველ საკითხს წარმოადგენს პირის დამნაშავეობა, რაც აგრეთვე დაკავშირებულია პირის თავისუფლების უფლებასთან. ამდენად, კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შემდეგ გადაისინჯა და საქმის გადასინჯვის შედეგად დადგა გამამართლებელი განაჩენი. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 3 საქმე, რომელშიც დადგა გამამართლებელი განაჩენი, კერძოდ, *გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ, თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ვაშაკიძე და გოგბერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*. აღნიშნული საქმეები სანიშნოა დასაბუთების თვალსაზრისით;

❖ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილება თავისთავად არ გულისხმობს ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს, ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების მოთხოვნა მიემართება თუ არა სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევას. მაგალითად, საქმეზე *შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს წინააღმდეგ* მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა. თუმცა, ეროვნულ დონეზე მომჩივნები ითხოვდნენ განაჩენის გადასინჯვას. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და განაცხადა, რომ „**ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით (გადაწყვეტილებით) არ დაუდგენია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც თავის მხრივ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გახდებოდა საკასაციო საჩივარში მითითებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი**“;

❖ *Restitutio in integrum* პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, რიგ შემთხვევებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ცვლილება, რაც ქმნის შესაძლებლობას ეფექტურად აღსრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით რელევანტურია იმ პირობებში, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ დონეზე, ინდივიდის მიერ კონკრეტული უფლებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე. სწორედ აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძველად საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარდგენილ ორ საჩივარს, კერძოდ, საქმეებში – *ოყროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ* და *ფარღალავა საქართველოს წინააღმდეგ*. მოცემული საქმეები ეხებოდა მომჩივნების მიერ ეროვნულ დონეზე მამობის დადგენისა და შედეგად, აღიშენის დაკისრების საკითხებს. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად,

მამობის დადგენის უწინარეს საფუძველად დნმ-ტესტი განისაზღვრა, რამაც გაადვილა მოთხოვნის დაკმაყოფილება სტრასბურგის გადაწყვეტილების საფუძველზე განახლებული სამართალწარმოების ფარგლებში;

- ❖ ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეროვნული სასამართლოების მიერ კანონმდებლობის ახლებური განმარტება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლო აღნიშნულ კანონმდებლობას ხარვეზიანად მიიჩნევს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევის ფარგლებში შესწავლილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმე, რომელიც დაკავშირებულია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან *სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ*. განახლებული სამართალწარმოების ფარგლებში, საკასაციო პალატამ მიუთითა კანონთან მიმართებით საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალაზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, შეცვალა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და მომჩივანს შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის გამო კომპენსაცია მიაკუთვნა;
- ❖ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების კონტექსტში ერთი საქმეთა ჯგუფი ეხება მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებას დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნულ საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ დაადგინა, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც. შესაბამისად, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

# 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება

შესასრულებლად სავალდებულო საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ნებისმიერი სისტემის უმთავრესი კომპონენტია. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ილუზორული იქნებოდა, თუ საბოლოო, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩებოდა. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სისტემებზეც, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზეც. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ აღიარებულ იქნა, რომ „გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივი და ეფექტიანი აღსრულება მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სანდოობა იმ კონვენციისა, რომელიც აღიარებულია „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“ და რომელზეც დამოკიდებულია კონტინენტის დემოკრატიული სტაბილურობა. თუმცა, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უკავშირდება ბალანსს, რომელიც დაცული უნდა იქნეს საერთაშორისო იურისდიქციასა და ეროვნულ სუვერენიტეტს შორის. ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულება სხვადასხვა პროცედურასთანაა დაკავშირებული, რაც საჭიროებს დიალოგსა და თანამშრომლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფომ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად ვერ უზრუნველყო თავისი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, რამაც გამოიწვია საერთაშორისო პასუხისმგებლობა. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს სამ კომპონენტს: დარღვევის აღმოფხვრა; დარღვევის გამოსწორება და ბოლოს, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან არიდება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *პაპამიქალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>1</sup> ნათლად განაცხადა, რომ „დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილება მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, აღმოფხვრას დარღვევა და მისი შედეგები იმგვარად გამოასწოროს, რომ მაქსიმალურად აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა“<sup>2</sup>. ანალოგიურად, საქმეზე *სკოზარი და გიუნტა იტალიის წინააღმდეგ*<sup>3</sup> სასამართლომ გაიმეორა, რომ დარღვევის დამდგენი

<sup>1</sup> Papamichalopoulos and Others v. Greece, 31 ოქტომბერი, 1995. N14556/89, Series A No. 330-B.

<sup>2</sup> იქვე, § 34.

<sup>3</sup> Scozzari and Giunta v. Italy, N39221/98 და N41963/98, 13 ივლისი, 2000, § 249.

გადაწყვეტილება „მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების ფარგლებში განსაზღვრული თანხის ოდენობის გადახდის ვალდებულებას, არამედ აგრეთვე მან უნდა გაატაროს ზოგადი და/ან, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ღონისძიებები, რათა შეძლებისდაგვარად გამოასწოროს დარღვევით გამოწვეული ზიანი..”.

დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება კონვენციურ სისტემაში შეზღუდულად გამოიყენება, ვინაიდან ის წინ უსწრებს მიმდინარე დარღვევას. არსებითი მნიშვნელობისაა მეორე ვალდებულება, რომელიც გულისხმობს დარღვევის გამოსწორებას: საერთაშორისო სამართალში ეს ვალდებულება *restitutio in integrum* პრინციპის სახელითაა ცნობილი და ის განაპირობებს ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უკანონო ქმედების შედეგების აღმოფხვრა და მდგომარეობა ისე უნდა გამოასწოროს, თითქოს დარღვევას ადგილი არც ჰქონია. რაც შეეხება მსგავსი დარღვევების მომავალში თავიდან არიდებას, ეს ვალდებულება მეტწილად დაკავშირებულია ზოგადი ღონისძიებების გატარებასთან.

## 1.1. *Restitutio in integrum* – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი

*Restitutio in Integrum* ცალსახად არის საერთაშორისო სამართლით აღიარებული, როგორც დარღვევის გამოსწორების ძირითადი ფორმა.<sup>4</sup> რესტიტუცია განმარტებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) მუხლებით, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ უკანონო ქმედებებზე. კერძოდ, 35-ე მუხლის მიხედვით, რესტიტუცია არის ვალდებულება „აღდგენილ იქნას ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა უკანონო ქმედების ჩადენამდე”.<sup>5</sup> გაეროს ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წინადადებები სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლების შესახებ იმეორებს ამ ვალდებულებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჭრილში: „ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევაში, რესტიტუციამ, სადაც შესაძლებელია, მსხვერპლი უნდა დაუბრუნოს პირვანდელ მდგომარეობას”.<sup>6</sup> ეს პრინციპები აისახა ევროპის საბჭოს რამდენიმე ინსტრუმენტში, რომლებშიც

<sup>4</sup> გაეროს გენერალური ასამბლეა, საერთაშორისო კონვენცია იძულებით გაუჩინარებულ პირთა დაცვის შესახებ, 20 დეკემბერი, 2006, მუხლი 24.5; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 65-ე მუხლი; ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N31; გაეროს ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წინადადებები სამართლებრივი დაცვის საშუალებისა და რეპარაციის უფლებაზე, 18-19 პრინციპი.

<sup>5</sup> დებულებები, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ უკანონო ქმედებებზე.

<sup>6</sup> გაეროს ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წინადადებები სამართლებრივი დაცვის საშუალებისა და რეპარაციის უფლებაზე, მე-19 პრინციპი.



რესტიტუცია ნათლად არის მოხსენიებული, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება.<sup>7</sup> რაც შეეხება უფლების აღდგენის ფორმას, როგორც გაეროს ძირითად პრინციპებსა და სახელმძღვანელო წინადადებაშია მოცემული „რესტიტუცია მოიცავს: თავისუფლებისა და მოქალაქეობის აღდგენას, ადამიანის უფლებებითა და ოჯახური ცხოვრებით სარგებლობას, პირის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, სამსახურში აღდგენასა და საკუთრების დაბრუნებას“. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა<sup>8</sup>, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ<sup>9</sup> დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უფლების აღდგენის სახით უნდა უზრუნველყონ პირის სამსახურში აღდგენა.

საერთაშორისო და რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკა აგრეთვე ადასტურებს, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არის დარღვეული უფლების აღდგენის ის ფორმა, რომელიც პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, რათა „გაქარწყლდეს უკანონო ქმედების შედეგები და აღდგეს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, მსგავსი ქმედება რომ არ ყოფილიყო ჩადენილი.“ ამასთან დაკავშირებით ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „საერთაშორისო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსწორება შედგება სრული რესტიტუციისგან (*restitutio in integrum*), რაც მოიცავს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და დარღვევის შედეგების გამოსწორებას, მათ შორის მატერიალური და არამატერიალური ზიანის აღმოფხვრას.

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს რესტიტუციის უფლებას, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა *restitutio in integrum* პრინციპი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით და ის საერთაშორისო სამართალში დარღვევის გამოსწორების საუკეთესო საშუალებად მიიჩნია.<sup>10</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ მოპასუხე სახელმწიფოები „პრინციპში თავისუფლები არიან, აირჩიონ დარღვევის გამოსწორების საშუალება, რითაც ადასრულებენ გადაწყვეტილებას, სადაც დადგენილია კონვენციის დარღვევა“, თუმცა, ამასთანავე აღნიშნა, რომ „თუ დარღვევის ბუნება შესაძლებელს ხდის აღდგენილ იქნეს პირვანდელი მდგომარეობა, მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებაა ამგვარად მოიქცეს“.

<sup>7</sup> ევროპული კონვენცია, რომელიც ეხება ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციას, 24 ნოემბერი 1983, CETS 116; ევროპის საბჭო, სახელმძღვანელო წინადადებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების დაუსჯელობის აღმოფხვრის თაობაზე, XVI – რეპარაცია; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(2000)2.

<sup>8</sup> Félix Enrique Chira Vargas-Machhuca v Peru, 26 ივლისი, 2002, CCPR/C/75/D/906/2000, მე-9 პარაგრაფი; Busyo v Democratic Republic of the Congo, 9 აგვისტო, 2003, CCPR/C/78/D/933/2000.

<sup>9</sup> Baena Ricardo et al v Panama, 2 თებერვალი, 2001, Series C No.72.

<sup>10</sup> VgT v. Switzerland (no.2), no. 32772/02, 30 ივნისი, 2009, § 46.

სასამართლომ აღნიშნა კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით სახელმწიფოების ვალდებულება, გაატარონ ღონისძიებები, რომელთა მიზანია „მომჩივანი, რამდენადაც შესაძლებელია, ჩააყენონ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა კონვენციით დადგენილი მოთხოვნები რომ შესრულებულიყო“. ამდენად, კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოს რეპარაციის სხვა ფორმებს თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არ არის შესაძლებელი.”

დამატებით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *ემრე საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>11</sup> აღნიშნა, რომ კონვენციის 46.1 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს ვალდებულება აჩენს მოლოდინს, რომ ის გაატარებს იმგვარ ღონისძიებას, რომელიც შეესაბამება კონკრეტული საქმის გარემოებებში *restitutio in integrum*-ს.<sup>12</sup> სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ვალდებულების გათვალისწინებით - კეთილსინდისიერად და ეფექტურად უზრუნველყოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და პატივი სცეს სასამართლოს დასკვნებსა და გადაწყვეტილების სულისკვეთებას - გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ნებისმიერი სხვა ღონისძიება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გულდასმით შესწავლის შემდეგ.<sup>13</sup> ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებული უფლების აღდგენის ეფექტიანი საშუალების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის კიდევ ერთი დარღვევა, 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების შუქზე. ეს ასახავს ზოგად პრინციპს, რომ „კონვენცია წაკითხულ უნდა იქნეს მთლიანობაში“ და იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის არსებითი უფლების ახალ დარღვევას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების საჭიროება.<sup>14</sup>

## 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს [მის მიერ მიღებული] გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ფორმალური როლი არ აკისრია, გარდა იმისა, რაც მოცემულია კონვენციის 46-ე მუხლში. ბევრ გადაწყვეტილებაში სასამართლო მინისტრთა კომიტეტს მიანდობს, განსაზღვროს

<sup>11</sup> Emre v. Switzerland (no. 2), no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011.

<sup>12</sup> იქვე, § 77.

<sup>13</sup> იქვე, §§. 75-76.

<sup>14</sup> VgT v. Switzerland (no.2), no. 32772/02, 30 ივნისი, 2009, § 83.

თუ რა ღონისძიებების გატარება მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით და თვითონ მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნებით შემოიფარგლება. ამასთანავე, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში დარღვევის დადგენა მიიჩნევა საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებად.<sup>15</sup> მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაინახა საჭიროება, დახმარებოდა მინისტრთა კომიტეტსა და მოპასუხე სახელმწიფოს, განესაზღვრათ ის ღონისძიებები, რომლებიც დარღვევით გამოწვეულ ზიანს გამოასწორებდა.

სტრუქტურული პრობლემებიდან გამომდინარე განმეორებითი საქმეების სიმრავლის გათვალისწინებით, სასამართლომ შეიმუშავა პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურა. აღნიშნული პროცედურის მთავარი მახასიათებლებია: ეროვნულ დონეზე სტრუქტურული ან სისტემური პრობლემის არსებობა, რომელიც წარმოშობს საჩივრების დიდ ოდენობას სტრასბურგის სასამართლოს წინაშე<sup>16</sup> და წარმომადგენლობითი საქმის შერჩევა, რომელიც პილოტურ გადაწყვეტილებაში შესაძლებელს გახდის პრობლემის მიზეზის განსაზღვრას<sup>17</sup>. პილოტური გადაწყვეტილების პროცედურა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, რაც მოიცავს კვაზი პილოტურ გადაწყვეტილებებსაც,<sup>18</sup> თუმცა ის სასამართლოს პრაქტიკაში კარგად დამკვიდრებული მექანიზმია, რასაც სასამართლოს რეგლამენტში მისი ასახვაც ადასტურებს.<sup>19</sup> ახალი წესი ნათლად განმარტავს, რომ სასამართლო პილოტური გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსაზღვრავს სტრუქტურულ პრობლემებს და აგრეთვე, თუ რა სახის ღონისძიება უნდა გაატაროს მოპასუხე სახელმწიფომ ეროვნულ დონეზე.<sup>20</sup> აღნიშნულ წესში ასევე მოცემულია, რომ სასამართლოს პილოტური გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეუძლია დაადგინოს კონკრეტული დრო, თუ რა ვადაში უნდა გაატაროს სახელმწიფომ შესაბამისი ღონისძიება.<sup>21</sup> ამ გზით სასამართლო სახელმწიფოს უთითებს თუ რა ვადაში განახორციელოს ცვლილებები.

<sup>15</sup> მაგალითისთვის, *Hanif and Khan v. the United Kingdom*, N 52999/08 და 61779/0, 20 დეკემბერი, 2011, § 155.

<sup>16</sup> ყველაზე ცნობილი მაგალითებია სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობა და შიდა ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, თუმცა რიგ ქვეყნებში სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა წინასწარი პატიმრობის არაგონივრული ხანგრძლივობა და აგრეთვე პატიმრობის პირობები.

<sup>17</sup> *Broniowski v. Poland* [GC], no. 31443/96, §§ 188-194, ECHR 2004-V.

<sup>18</sup> მაგალითად, სადაც სასამართლო აღნიშნავს სისტემური პრობლემის არსებობას, თუმცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ მოითხოვს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას ან მსგავსი საჩივრების გადაწყვეტას, იხ. *Scordino v. Italy* (no. 1) [GC], no. 36813/97 ECHR 2006-V; *Viașu v. Romania*, no. 75951/01, §§ 75-83, 9.12.2008.

<sup>19</sup> 2011 წლის თებერვალში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო 61-ე წესი, რომელიც პილოტურ გადაწყვეტილებას ეხება.

<sup>20</sup> 61-ე წესის მე-3 ნაწილი.

<sup>21</sup> 61-ე წესის მე-4 ნაწილი.

წინამდებარე თავში აგრეთვე განხილული იქნება ის ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი აღსრულების მიზნით შესაძლოა გატარდეს. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: სამართლიანი დაკმაყოფილება და ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები.

## 2.1. სამართლიანი დაკმაყოფილება

კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლიანი დაკმაყოფილების გადახდის ვალდებულებას. ამ თვალსაზრისით პრეცედენტული სამართალი დროთა განმავლობაში იხვეწებოდა: პირველ რიგში, სასამართლომ განსაზღვრა, თუ რა ვალუტაში უნდა მომხდარიყო სამართლიანი დაკმაყოფილების ფარგლებში განსაზღვრული თანხის გადახდა, რათა განსახილველი საკითხი არ გამხდარიყო ვალუტის კურსის სწრაფი გაუფასურება. 1991 წლის 28 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საქმეზე *მორეირა დე აზევედო პორტუგალიის წინააღმდეგ*<sup>22</sup>, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ვადა, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს თანხის გადახდა (როგორც წესი, სამი თვე). თუმცა, ვინაიდან გარკვეულმა სახელმწიფოებმა აღნიშნულ ვადაში არ უზრუნველყვეს თანხის გადახდა, სასამართლომ გადადგა შემდეგი ნაბიჯები: მან დააწესა საურავი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რომლის გადახდის ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობაც მინისტრთა კომიტეტს დაეკისრა. პრობლემის გადაჭრის აღნიშნული გზა, რომელმაც ზოგადი წესის სახე მიიღო, აგრეთვე ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლომ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა იმის გამო, რომ მიღწეულ იქნა მეგობრული მორიგება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სადაც სასამართლო სახელმწიფოს სამართლიანი დაკმაყოფილების გადახდის ვალდებულებას აკისრებს, ეროვნულ მართლწესრიგში აღსრულებადი უნდა იყოს.

<sup>22</sup> *Moreira de Azevedo v. Portugal*, 1991 წლის 28 აგვისტო, Series A no. 208-C.

## 2.2. ინდივიდუალური ღონისძიება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სახელმწიფომ შეიძლება გაატაროს სხვადასხვა სახის ინდივიდუალური ღონისძიება. ინდივიდუალური ღონისძიებების ხასიათი დარღვევის ბუნებიდან და მომჩივნის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. თუ დარღვევის ნეგატიურ შედეგს განგრძობადი ხასიათი აქვს და ის არ იქნა აღმოფხვრილი მომჩივნისთვის გადახდილი სამართლიანი დაკმაყოფილების (მორალური ან/და მატერიალური ზიანი) გზით, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს საკითხს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ სხვა ინდივიდუალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. ამის მიზანია, აღმოფხვრას განგრძობადი ხასიათის დარღვევა და შეძლებისდაგვარად გამოსწორდეს დარღვევით გამოწვეული ზიანი.

როგორც აღინიშნა, არსებობს სხვადასხვა სახის ინდივიდუალური ღონისძიება, მათ შორის კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით დადგენილი დარღვევის ჭრილში ყველაზე ეფექტიანად მიიჩნევა ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა გადასინჯვა.

### საქმის ხელახლა გადასინჯვა

*Restitutio in integrum* პრინციპის ეფექტურად უზრუნველსაყოფად, არაერთმა საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის დადგენის შემდეგ ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლება მნიშვნელოვანი და საჭირო ღონისძიებაც კია. ამდენად, სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობა აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის,<sup>23</sup> ინტერ-ამერიკული სასამართლოს<sup>24</sup>, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის<sup>25</sup> და ადამიანის და ხალხთა უფლებების დაცვის აფრიკული კომისიის<sup>26</sup> მიერ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განსაზღვრა სამართალწარმოების მეშვეობით სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების გადასინჯვის ვალდებულება, როდესაც

<sup>23</sup> *რაულ სენდის ანტონაციო ურუგვაის წინააღმდეგ* (Raul Sendic Antonaccio v. Uruguay), 28 ოქტომბერი 1981, CCPR/C/14/D/63/1979, 21-ე პარაგრაფი;

*პოლაი კამპოსი პერუს წინააღმდეგ* (Polay Campos v. Peru), 9 იანვარი 1998, CCPR/C/61/D/577/1994, მე-10 პარაგრაფი;

*სემი ესპანეთის წინააღმდეგ* (Semey v. Spain), 21 აგვისტო 2003, CCPR/C/78/986/2001.

<sup>24</sup> ინტერ-ამერიკული სასამართლო., *Castillo Petrucci-ს* საქმე, 30 მაისი 1999, series C No.52, §§217-221.

<sup>25</sup> ანგარიში No. 127/01, საქმე 12.183, Joseph Thomas (Jamaica), 3 დეკემბერი 2001, § 153 (1);

ანგარიში No. 52/02, საქმე 11.753, Ramón Martínez Villareal (United States), 10 ოქტომბერი 2002, § 101(1)

<sup>26</sup> „სამოქალაქო თავისუფლებათა ორგანიზაცია“ ნიგერიის წინააღმდეგ (Civil Liberties Organisation v. Nigeria), კომუნიკაცია 151/96, 26-ე სესია, 1999 წლის ნოემბერი.

ის არღვევს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.<sup>27</sup>

საერთაშორისო სამართალში არსებულ პრინციპზე *restitutio in integrum* (პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა) დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რიგ შემთხვევებში დარღვევის გამოსწორების ყველაზე სათანადო ფორმა არის იმის უზრუნველყოფა, რომ მომჩივნები, რამდენადაც შესაძლებელია, იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელშიც იქნებოდნენ, დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი<sup>28</sup>. ამდენად, მართალია, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არ ანიჭებს მას იურისდიქციას მიმართოს სახელმწიფოს საქმის გადასინჯვის ან მსჯავრდების გაუქმების მოთხოვნით, თუმცა ის ცალსახად აცხადებს, რომ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების ყველაზე სათანადო გზა კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში არის მომჩივნის საქმის ხელახალი განხილვა იმ ფორმით, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში თუ მომჩივანს ამის სურვილი აქვს<sup>29</sup>. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლებელია რუსეთის მაგალითის მოყვანა, კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევის შედეგად, რუსეთის უზენაესმა სასამართლომ ხელახლა განიხილა საქმე და გააუქმა ძველი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციას უარი ეთქვა<sup>30</sup>. ეს მიდგომა გაზიარებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ, რომელმაც 2000 წელს შეიმუშავა რეკომენდაცია და კონვენციის ხელშემკერველ სახელწიფოებს მოუწოდა „უზრუნველყონ ეროვნული სამართლებრივი სისტემები გადასინჯვის ადეკვატური შესაძლებლობით, რაც აგრეთვე გულისხმობს საქმეთა ხელახლა განხილვას იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევა არის დადგენილი...“<sup>31</sup>. თუმცა, რასაკვირველია აღნიშნული ღონისძიება არ არის პანაცეა და მსგავსი საქმეების ხელახლა განხილვა მკაცრად განსაზღვრულია, ვინაიდან მას შეიძლება გავლენა ჰქონდეს მესამე პირთა უფლებებზე, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში. რაც შეეხება

<sup>27</sup> გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ (*Germany v the United States*) 27 ივნისი, 2001, ICJ reports 2001, § 125; *Avena and other Mexican Nationals (Mexico v United States of America)*, 31 მარტი 2004, §§131 და 140.

<sup>28</sup> *Huseyn and Others v. Azerbaijan*, nos. 35485/05, 45553/05, 35680/05 და 36085/05, § 262, 26 ივლისი, 2011.

<sup>29</sup> გენჩელი თურქეთის წინააღმდეგ (*Gençel v. Turkey*), no. 53431/99, § 27, 23 ოქტომბერი, 2003; კრასნიკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Krasniki v. Czech Republic*), no. 51277/99, §§ 93-94, 28 თებერვალი, 2006.

<sup>30</sup> *Republican Party of Russia v. Russia*, no. 12976/07, 12 აპრილი, 2011; უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება.

<sup>31</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2000) 2 წვერი სახელმწიფოებისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ გარკვეულ საქმეთა ეროვნულ დონეზე ხელახლა განხილვის თაობაზე (მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის 694-ე შეხვედრაზე, 2000 წლის 19 იანვარს).

სისხლის სამართალს, საქმის ხელახლა განხილვამ შეიძლება წარმოშვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა იმავე საქმეზე ბრალდებულ სხვა პირებს, რომლებსაც სტრასბურგის სასამართლოსთვის არ მიუმაართავს; დროის ფაქტორიდან გამომდინარე აგრეთვე შესაძლოა პრობლემური იყოს მტკიცებულებათა მოძიება. უფრო მეტიც, საქმის ხელახლა განხილვამ შეიძლება გაახანგრძლივოს ისედაც ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გაგრძელდა ევროპულ დონეზე.<sup>32</sup>

თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა პირის პროცედურულ გარანტიებთან მიმართებით და ამ დარღვევამ გავლენა იქონია მომჩივნის სასჯელზე და ის კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება, საქმის ხელახლა განხილვა შესაძლებელს გახდის დადგინდეს, არის თუ არა ის დამნაშავე და განსაზღვრავს სასჯელის სახეს, რომელიც მას შეეფარდებოდა, დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი. ნამდვილად, მსგავს შემთხვევაში, არ არის დასაშვები მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების გადახდა მომჩივნისთვის, რომელიც კვლავ საპატიმროში იმყოფება ან პირის გათავისუფლება ხელახალი სამართალწარმოების გარეშე, როგორც ადგილი ჰქონდა საქმეზე *ვან მეჩელენი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*<sup>33</sup>. აღნიშნულ საქმეზე ნიდერლანდების კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუმცა ქვეყანა ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება. მინისტრთა კომიტეტმა ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვა მოითხოვა აგრეთვე საქმეზე *ჰულკი გუნესი თურქეთის*<sup>34</sup> წინააღმდეგ, სადაც სტრასბურგის სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანს უვადო პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, ამდენად, მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის საქმის ხელახლა განხილვა. კომიტეტის განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა კონვენციის 46-ე მუხლის „აშკარა“ დარღვევას.

ამდენად, მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 19 იანვრის No. R (2000) 2 რეკომენდაციის მიხედვით, საქმის ხელახლა განხილვის საჭიროდ მიჩნევისთვის საჭიროა ორი კუმულატიური პირობის არსებობა: პირველი, დარღვევა იმ

---

<sup>32</sup> საქმეში - *სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (Saunders v. the United Kingdom), მთავრობა საქმის ხელახლა განხილვის წინააღმდეგი იყო მომჩივანთა ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

<sup>33</sup> Van Mechelen and Others v. the Netherlands, no. 21363/93, 21364/93, 21427/93, 22056/93, 23 აპრილი 1997 და რეზოლუცია DH (99)1 24; საქმის ხელახლა განხილვის გარეშე მომჩივანთა ციხიდან გათავისუფლებამ საზოგადოების პროტესტი გამოიწვია და შესაბამისად მოხდა კონვენციის სისტემის დისკრედიტაცია.

<sup>34</sup> Hulki Gunes v. Turkey, N17210/09, 11 ივლისი, 2013.

სიმძიმის უნდა იყოს, რომ წარმოშობდეს სერიოზულ ეჭვს გასაჩივრებული ეროვნული სამართალწარმოების შედეგთან მიმართებით და მეორე, პირი კვლავ უნდა განიცდიდეს უარყოფით გავლენას ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც ადეკვატურად არ გამოსწორდება სამართლიანი დაკმაყოფილებით”.

მინისტრთა კომიტეტი, როგორც ჩანს, პირველ რიგში, ითვალისწინებს პირის ამჟამინდელ მდგომარეობას - მოიხდა თუ არა მან სასჯელი, იმყოფება თუ არა ის ისევ სასჯელადსრულების დაწესებულებაში, და ზოგადად, იქონია თუ არა კონვენციით უზრუნველყოფილი მუხლის დარღვევამ მის ცხოვრებაზე სერიოზული უარყოფითი გავლენა (გარდა თავისუფლების აღკვეთისა, მაგ: ცილისწამება, სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებების დაკარგვა, პროფესიული საქმიანობის განხორციელების შეზღუდვა და სხვ.). მეორე რიგში, მინისტრთა კომიტეტი მხედველობაში იღებს მომჩივნის სურვილს, კერძოდ, რამდენად გამოთქვამს ის სურვილს ეროვნულ დონეზე ხელახლა იქნეს მისი საქმე განხილული. თუმცა, მომჩივნის სურვილს ყურადღება ექცევა პროცედურული უფლებების დარღვევის შემთხვევაში. რაც შეეხება განმეორებით საქმეებს, ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაუმჯობესების თაობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის<sup>35</sup> მიხედვით, სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან, „გაითვალისწინონ საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობა პილოტური გადაწყვეტილების მსგავს საქმეებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული განმეორებითი საქმეების განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დონეზე”. საქმეთა ხელახლა გადასინჯვა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებაა, რომლის მეშვეობით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აღარ მოუწევს თავდაპირველი საქმის მსგავსი მრავალი დავის განხილვა.

საქმის ხელახლა გადასინჯვასთან მიმართებით კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, უნდა გათავისუფლდეს თუ არა პირი ახალი სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს. საქმეზე *სადაკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*<sup>36</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ<sup>37</sup>, ისევე როგორც მინისტრთა კომიტეტმა<sup>38</sup> გააკრიტიკა ბრალდებულთა გათავისუფლებაზე უარი. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციაზე დაყრდნობით, მინისტრთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვასთან ერთად მომჩივანთა გათავისუფლებაც კომპენსაციის უფლების

<sup>35</sup> Recommendation Rec (2004) 6 of the Committee of Ministers on the improvement of domestic remedies.

<sup>36</sup> Sadak and Others v. Turkey, no. 29900/96, 29901/96, 29902/96 და 29903/96, 17 ივლისი, 2011.

<sup>37</sup> Doc. 10192, “Implementation of decisions of the European Court of Human Rights by Turkey”, 1 June 2004, report by Mr Jurgens, §§7-9.

<sup>38</sup> ResDH (2004) 31, 6 aprili 2004.



შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „არსებობს წონადი მიზეზები, რომლებიც ამართლებს განგრძობით პატიმრობას ახალი სამართალწარმოების შედეგების გამოცხადებამდე“.<sup>39</sup>

### ინდივიდუალური ღონისძიებების სხვა სახეები

დარღვეული უფლების გამოსწორება აგრეთვე შესაძლებელია სხვადასხვა ინდივიდუალური ღონისძიებების მეშვეობით.

აღნიშნული ღონისძიებების მაგალითებია:

- ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობის აღდგენა (მაგ. როდესაც ბავშვი მოთავსებულია მშვილკებელ ოჯახში ან გატაცებულია ერთ-ერთი მშობლის მიერ);
- გაძევების შესახებ ბრძანების გაუქმება, რომელიც მომჩივნებს მიმღებ ქვეყანაში წამების ან არასათანადო მოპყრობის რისკის წინაშე აყენებს და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებაში საქმეზე *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა გადაწყვეტილების აღსრულების ტრადიციული ელემენტები (მინისტრთა კომიტეტის მიერ ზედამხედველობა, გადაწყვეტილებების დეკლარაციული ხასიათი, მოპასუხე სახელმწიფოს უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები), თუმცა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დადგენილი დარღვევა (უკანონო პატიმრობა) სახელმწიფოს არ უტოვებდა არჩევანს გარდა იმისა, რომ გამოესწორებინა მდგომარეობა. ამრიგად, სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს მიუთითა, უმოკლეს ვადებში მომჩივნის გათავისუფლებაზე<sup>40</sup>. კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს დაავალა, უმოკლეს ვადებში უზრუნველყო მომჩივნის აღდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე<sup>41</sup>.

პრაქტიკაში ასევე გავრცელებულია „პოზიტიური“ ღონისძიება, რომელიც ზემოთ განხილული ღონისძიებებისგან განსხვავებით, გულისხმობს ახალი ზომების მიღებას. პოზიტიური ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს საჯარო სამსახურიდან

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, ECHR 2004-II, §§ 202-203.

<sup>41</sup> Oleksandr Volkov v. Ukraine, no. 21722/11, 9 იანვარი, 2013, § 202 და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტი, თუმცა შეადარე საქმეს *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ (Kudeshkina v. Russia)*, no. 29492/05, რომელიც აგრეთვე მოსამართლის გათავისუფლებას ეხებოდა. თუმცა, სასამართლომ დარღვევის დადგენის მიუხედავად თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მითითება არ გააკეთა.

უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას.<sup>42</sup> თუ პირი კონვენციის მოთხოვნათა დარღვევით იყო დაპატიმრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა თავისთავად იქნეს მიჩნეული კომპენსაციის მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელ ინსტრუმენტად. ლტოლვილებთან დაკავშირებულ საქმეებში ინდივიდუალური ღონისძიება შეიძლება გულისხმობდეს მათთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებას.<sup>43</sup>

### 2.3. ზოგადი ღონისძიებები

კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა, განმეორებითი დარღვევების თავიდან არიდების მიზნით, იკისრეს ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. ზოგადი ღონისძიება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისი გატარება ყოველთვის სავალდებულო არ არის, მაგალითად, როდესაც დარღვევა არის იზოლირებული შემთხვევა<sup>44</sup> და მინიმალური რისკი არსებობს იმისა, რომ მსგავსი საქმეები კიდევ იქნება წარდგენილი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე<sup>45</sup>. თუმცა, შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ეფექტიანობის უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ, განხილული იქნება კონკრეტული ზოგადი ღონისძიებები.

### ცვლილებები ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში

პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მიემართება ეროვნულ სასამართლოებს, ვინაიდან მიიჩნევა, რომ მას პირდაპირი გავლენა აქვს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაზე. ხშირად, ეროვნული პრაქტიკის შეცვლა საკმარისი აღმოჩნდა, რათა თავიდან აცილებულიყო შემდგომი დარღვევები.

<sup>42</sup> Vogt v. Germany (Article 50), no. 17851/91, 2 სექტემბერი, 1996, და რეზოლუცია DH (97)12.

<sup>43</sup> მაგალითისთვის, იხილეთ, საქმე Lamguindaz v. the United Kingdom, 23 ივნისი 1993, Series A no. 258-C და რეზოლუცია DH (93) 55, სადაც პირს გაერთიანებულ სამეფოში მიეცა განუსაზღვრელი ვადით ცხოვრების ნებართვა და აგრეთვე ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მოპოვების უფლება. აგრეთვე, იხილეთ, მინისტრთა კომიტეტის 2007 წლის 20 აპრილის რეზოლუცია CM/ResDH (2007) 38 საქმეზე *Aristimuno Mendizabal v. France*, რომლის მიხედვით ესპანეთის მოქალაქეს ათწლიანი ბინადრობის ნებართვა მიეცა.

<sup>44</sup> იხ., CM/ResDH (2007) 54, 20 აპრილი, 2007, *Farbtuhs v. Latvia*, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ეხებოდა იმის გამო, რომ გახანგრძლივებული პატიმრობის დროს მომხივანი, მიუხედავად მისი ასაკისა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას).

<sup>45</sup> იხ., CM/ResDH (2007) 30, 20 აპრილი, 2007, რომელიც ეხებოდა ჩეხეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილებებს, კერძოდ კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონების აღდგენასა და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

ამასთან მიმართებით აღსანიშნავია გადაწყვეტილება საქმეზე *ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ*<sup>46</sup>, სადაც კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, გასაჩივრებული იყო პროკურატურის როლი საკასაციო სასამართლოს წინაშე: საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე „საკასაციო სასამართლომ დროებით ახალი პრაქტიკა დაამკვიდრა, რომლის თანახმად მომჩივნებს შეეძლოთ პროკურატურის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულ პოზიციებზე პასუხის გაცემა; ახალი პრაქტიკის მიხედვით, პროკურორები აგრეთვე მონაწილეობას ვეღარ მიიღებდნენ სასამართლოს თათბირში.<sup>47</sup> როდესაც სახელმწიფოებს სურთ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების გარეშე აღასრულონ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>48</sup>, მინისტრთა კომიტეტი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება იმ საკითხს, თუ რამდენად საკმარისია სასამართლო პრაქტიკის შეცვლა და სახელმწიფოებისგან მტკიცებულების სახით მოითხოვს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენას, რომელიც ცხადყოფს, რომ დარღვევას აღიიღებს არ ჰქონია.

## საკანონმდებლო ცვლილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რათა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში გარკვეულწილად მიღწეულ იქნეს ჰარმონიზაცია. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა წევრი სახელმწიფოების პარლამენტის წევრებს ბიძგი უნდა მისცეს, რათა საქმიანობის პროცესში განიხილონ, თუ რამდენად შეესაბამება მათ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებს. გარდა ამისა, მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის რეკომენდაცია, რომელიც ეხება არსებული კანონებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისობას კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან, მოუწოდებს სახელმწიფოებს „უზრუნველყონ, სათანადო და ეფექტური მექანიზმების არსებობა, რომლებიც სისტემატურად შეამოწმებს, კანონმდებლობის პროექტების კონვენციასთან შესაბამისობას სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შუქზე“ და აგრეთვე „რაც შეიძლება დროულად უზრუნველყონ კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა“. საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება შეეხოს

<sup>46</sup> *Borgers v. Belgium*, no. 12005/86, 30 ოქტომბერი, 1991.

<sup>47</sup> *Resolution ResDH (2001) 108*, 30 ოქტომბერი, 1991. ეს პრაქტიკა ბელგიის სასამართლოს საქმიანობის შესახებ კანონში 2000 წლის 14 ნოემბერს აისახა.

<sup>48</sup> კოკინაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kokkinakis and others v. Greece*), 25 მაისი, 1993, *Series A no. 260-A* და რეზოლუცია *ResDH (97) 576*, 15 დეკემბერი, 1997, რომელიც ეხებოდა პროზელიტიზმის შესახებ ბერძნული კანონმდებლობის ახლებურ განმარტებას.

კანონებს, რეგულაციებსა და კონსტიტუციასაც კი. ადამიანის უფლებათა ევროპული გადაწყვეტილებების შედეგად, ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, რათა შემცირებულიყო სამართალწარმოების ხანგრძლივობა. ამასთანავე, არაერთ ქვეყანაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები უმცირესობათა (ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და სხვ.) უფლებების გაუმჯობესების კუთხით.<sup>49</sup> ამ კონტექსტში ასევე აღსანიშნავია 2006 წლის თებერვალში კვიპროსის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ საქმეზე *აზიზი კვიპროსის წინააღმდეგ*, თურქული წარმომავლობის მქონე კვიპროსის მოქალაქეებს, რომლებიც კვიპროსის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ, მუნიციპალურ არჩევნებში ხმის მიცემისა და კანდიდატურის წამოყენების უფლება მიეცათ.<sup>50</sup>

### სხვა ზოგადი ღონისძიებები

სხვა ზოგადი ღონისძიება არის ეროვნული ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული გადაწყვეტილებების თარგმნა და გავრცელება<sup>51</sup>, რიგ შემთხვევებში ეს გულისხმობს მინისტრთა კომიტეტის დროებითი ღონისძიების თარგმნასაც. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს სხვა ისეთი პრაქტიკული ხასიათის ზოგადი ღონისძიებები, როგორებიცაა ციხეების აშენება<sup>52</sup>, პოლიციის ოფიცრებისა<sup>53</sup> და სხვა თანამშრომლების<sup>54</sup> დატრენინგება.

<sup>49</sup> მაგალითად, CM/ResDH (2007) 94, 20 ივნისი, 2007, საქმეზე *Vasilescu v. Romania*.

<sup>50</sup> CM/ResDH (2007) 77, 20 ივნისი, 2007.

<sup>51</sup> მაგალითად, რეზოლუცია ResDH (2001) 164, 17 დეკემბერი, 2001, რომელიც ეხებოდა საქმეს - *Coëme and others v. Belgium*, სადაც მთავრობა, გადაწყვეტილების შემდეგ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ „სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ფრანგულ, გერმანულ და ბელგიურ ენაზე თარგმნილი, გამოქვეყნდა ბელგიის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და აგრეთვე გაეგზავნა შემსებლობაში მყოფ ხელისუფლების ორგანოებს.

<sup>52</sup> CM/ResDH (2007) 32, 20 აპრილი, 2007, რომელიც ეხებოდა საქმეს - *Alver v. Estonia*, სადაც დარღვევა დადგინდა პატიმრობის დროს განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო. მთავრობამ განაცხადა, რომ ტალინის ცენტრალურ ციხეს ხურავდნენ და მის ნაცვლად აპირებდნენ ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებების აშენებას ან არსებული ციხეების გარემონტებას.

<sup>53</sup> Resolution DH (99) 465, 15 ივლისი, 1999, რომელიც ეხებოდა საქმეს - *Mavronichis v. Cyprus*, სადაც მთავრობა აცხადებდა, რომ სასამართლოს ადმინისტრაციულ თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა, ლიმასოლში აშენდა ახალი სასამართლო და ნიქოზიაში უზენაესი სასამართლოს ახალი შენობის აშენების მიზნით ჩატარდა შესაბამისი ადგილების მოკვლევა.

<sup>54</sup> CM/ResDH (2007) 34, 20 აპრილი, 2007, რომელიც ეხებოდა საქმეს - *K.A. v. Finland* (დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გადადგა ადეკვატური ნაბიჯები, რათა უზრუნველყო მომჩივნების შეილებთან გაერთიანება), დაინერგა სოციალურ მუშაკთა ტრენინგები ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებთან დაკავშირებით.

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურული ზედამხედველობა

წინამდებარე თავში განხილული იქნება, თუ როგორ ხორციელდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პროცედურული ზედამხედველობა. შესაბამისად, გაანალიზებული იქნება მინისტრთა კომიტეტის როლი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. გარდა ამისა, აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, მიმოხილული იქნება პროცედურული ზედამხედველობის სახეები, აგრეთვე თუ რას გულისხმობს მთავრობის სამოქმედო გეგმა და სამოქმედო ანგარიში, რა ვადებთან არის დაკავშირებული მინისტრთა კომიტეტის წინასე მათი წარდგენა და თამაშობს თუ არა გარკვეულ როლს მინისტრთა კომიტეტთან კომუნიკაციის თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციები და დაზარალებული მხარე.

აღნიშნული თავის ბოლო ქვეთავი ეძღვნება საქართველოს მაგალითზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების, დაზარალებული მხარეებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ჩართულობის მნიშვნელობას. საილუსტრაციოდ შერჩეულ იქნა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მინისტრთა კომიტეტთან გაგზავნილი კომუნიკაცია გადაწყვეტილებაში საქმეზე *ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კომუნიკაციის შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე.


#### 3.1. მინისტრთა კომიტეტის როლი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი მოცემულია კონვენციის 46-ე მუხლში, რომელიც ერთი მხრივ, ადგენს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა კონვენციის ხელშემკრელი სახელმწიფოებისთვის და მეორე მხრივ, განსაზღვრავს, რომ მათ აღსრულებას ზედამხედველობას უწევს მინისტრთა კომიტეტი. მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა, რომლის როლი და ფუნქციები მოცემულია ევროპის საბჭოს სტატუტის IV თავში. კომიტეტი შედგება წევრი სახელმწიფოების მთავრობებისაგან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან მათი საგარეო საქმეთა მინისტრების ან ევროპის საბჭოში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 46-ე

მუხლის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე, რაც მის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. კომიტეტი უზრუნველყოფს სახელმწიფოთა მხრიდან ყველა საჭირო ზომის გატარებას (ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები), რათა აღსრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი დარღვევები.

კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმით დაზუსტდა მინისტრთა კომიტეტის ფუნქციები სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან მიმართებით. მინისტრთა კომიტეტს დაევალა ზედამხედველობა მორიგების შედეგად სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებაზეც; სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა ხელშემკერელი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი თანამშრომლობის ვალდებულება. კომიტეტი ასევე უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით.

### მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობა



3 თვე სამართლიანი დაკმაყოფილების გადასახდელად  
6 თვე სამოქმედო გეგმის წარსადგენად

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რეგულაციური ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე *ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ*<sup>55</sup>, რომელზეც 2019 წლის 29 მაისს, სასამართლომ პირველად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების დარღვევის საკითხს. მოცემულ საქმეზე მინისტრთა კომიტეტმა ისარგებლა ზემოხსენებული უფლებამოსილებით, სტრასბურგის სასამართლოსთვის განსახილველად გადაეცა საკითხი: ხომ არ თქვა სახელმწიფომ უარი სტრასბურგის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე? მინისტრთა კომიტეტმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ კონვენციის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურები დაიწყო იმის გამო, რომ ხელისუფლების ორგანოები უარს აცხადებდნენ ბ-ნი მამადოვის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უპირობოდ გათავისუფლებაზე, მას შემდეგ, რაც 2014 წელს სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე რამდენიმე მუხლის დარღვევა დაადგინა.

მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაცემული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, რომელმაც ერთხმად დაადგინა, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად არ გადადგა სათანადო ნაბიჯები, რის გამოც ის არ მოქმედებდა გადაწყვეტილების დასკვნებისა და სულისკვეთების შესაბამისად. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონვენციის 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქმეები, რომლებშიც სტრასბურგის სასამართლო 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას დაადგენს, კვლავ მინისტრთა კომიტეტს დაუბრუნდება, რომელიც განიხილავს თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს (ინდივიდუალური ან ზოგადი), რომლებიც არ არის დაკავშირებული ანაზღაურებასთან, სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება, როგორც წესი, მათ არ აკონკრეტებს. საქმეთა უმრავლესობაში, მოპასუხე სახელმწიფომ, მინისტრთა კომიტეტთან ერთად, უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სწორედ ამიტომ თამაშობს მინისტრთა კომიტეტი გადამწყვეტ როლს აღსრულების პროცესში, ვინაიდან შესაბამისი განჩინებებისა და შუალედური რეზოლუციების მიღების გზით, ის სახელმწიფოებს შესაბამის რჩევებს აძლევს ინდივიდუალურ საქმეთა იმპლემენტაციის თაობაზე და ამავდროულად, აკონტროლებს კიდევაც აღსრულების პროცესს. თაობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულმა სასამართლომ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც მან დააკონკრეტა

<sup>55</sup> Ilgar Mammadov v. Azerbaijan, № [15172/13](#) 29 მაისი, 2019.

ინდივიდუალური ღონისძიება<sup>56</sup> ან პილოტური გადაწყვეტილების მეშვეობით ხაზი გაუსვა ძირითად სტრუქტურულ პრობლემას<sup>57</sup>.

მინისტრთა კომიტეტი უზრუნველყოფს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მუდმივ ზედამხედველობას მანამ, სანამ მიღებული არ იქნება საჭირო ზომები. მინისტრთა კომიტეტის მიერ კონვენციის 46-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული წესების<sup>58</sup> თანახმად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობა ხდება ადამიანის უფლებათა შეხვედრებზე, რომლის დღის წესრიგიც საჯაროა. როგორც კი საქმე გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, ის დაუყოვნებლივ აღირიცხება დღის წესრიგში და კომიტეტი იწვევს მოპასუხე სახელმწიფოს, რათა მიიღოს ინფორმაცია გადაწყვეტილების შედეგად გატარებული ღონისძიებების შესახებ. ამის შემდეგ საქმე, პრინციპში, ყოველ მომდევნო შეხვედრაზე დღის წესრიგის შემადგენლობაშია, მანამ საბოლოო რეზოლუცია არ მიიღება. გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობა წყდება საბოლოო რეზოლუციით.

აღსრულების პროცესს ამარტივებს აგრეთვე საქმეთა კლასიფიკაცია შემდგენაირად: „წამყვანი“, „განმეორებითი“ და „იზოლირებული“ საქმეები. კლასიფიკაციის მთავარი არსი „წამყვანი საქმეების“ იდენტიფიცირებაა. ეს არის საქმეები, რომლებიც ამჟღავნებენ ახალ სტრუქტურულ და/ან სისტემურ პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ ზოგადი ღონისძიების გატარებას. „განმეორებადია“ საქმე, რომელიც იმ სტრუქტურულ პრობლემას ეხება, რომელიც უკვე იდენტიფიცირებულია „წამყვან“ საქმეში, ხოლო „იზოლირებულია“ საქმე, რომელშიც დარღვევა დადგინდა საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე. როგორც წესი, „იზოლირებული“ საქმე არ საჭიროებს ზოგადი ღონისძიების გატარებას.

აღსრულების მიზნებისთვის განმეორებადი საქმეები ჯგუფდება წამყვან საქმესთან ერთად და მინისტრთა კომიტეტის მონაცემთა ბაზაში წამყვანი საქმის სახელწოდების ქვეშ ერთიანდება. წამყვანი საქმის სამოქმედო გეგმაში მოცემული ზოგადი ღონისძიებები აგრეთვე ვრცელდება განმეორებად საქმეებზე, ამდენად, როდესაც მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ წამყვანი საქმე

<sup>56</sup> Hentrich v. France, N13616/88, 1995 წლის 3 ივლისი. სტრასბურგის სასამართლომ ნათლად აღნიშნა, რომ „დარღვევის ბუნებიდან გამომდინარე, ზიანის გამოსწორების საუკეთესო ფორმა იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან მიწის დაბრუნება“.

<sup>57</sup> Rumpf v. Germany, N46344/06, 2010 წლის 2 სექტემბერი - გერმანიაში სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციული სასამართლოების წინაშე საქმის გონივრულ ვადაში განხილვა და აგრეთვე, არ არსებობდა ეფექტიანი ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც გადაჭარბებული სამართალწარმოებისთვის ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებდა.

<sup>58</sup> აღნიშნული წესები მინისტრთა მოადგილეების 736-ე შეხვედრაზე 2001 წლის 10 იანვარს იქნა მიღებული.



აღსრულდა, შესაბამისი განმეორებადი საქმეები აგრეთვე აღსრულებულად მიიჩნევა.<sup>59</sup>

2011 წლიდან ამოქმედდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც მინისტრთა კომიტეტი აღსრულებაზე ზედამხედველობას ორი სახის პროცედურის მეშვეობით ახორციელებს. უმეტეს შემთხვევაში საქმეებზე გამოიყენება **სტანდარტული პროცედურა**. ხოლო **გაძლიერებული პროცედურა** მიმდინარეობს იმ საქმეებზე, რომლებიც მოითხოვენ ინდივიდუალურ გადაუდებელ ღონისძიებებს ან ავლენენ მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემებს (კერძოდ, პილოტური გადაწყვეტილებები), აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი საქმეების დროს. აღსრულების კონტექსტში განსხვავება ამ ორ პროცედურას შორის შემდეგია: გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქმეებთან მიმართებით მინისტრთა კომიტეტი აქტიურ როლს თამაშობს, კერძოდ, აღნიშნულ საქმეებს ის განიხილავს მინისტრთა კომიტეტის ადამიანის უფლებათა კვარტალურ შეხვედრაზე. მეორე მხრივ, სტანდარტული ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საქმეებთან მიმართებით ზედამხედველობას მეტწილად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი ახორციელებს; მინისტრთა კომიტეტი კი უზრუნველყოფს ადეკვატური სამოქმედო გეგმის/ანგარიშის წარმოდგენას და აზუსტებს გასატარებელი ღონისძიებების სათანადოობას.


**სტანდარტული ზედამხედველობის პროცედურა** – საქმეები ძირითადად ექვემდებარებიან ზედამხედველობის სტანდარტულ პროცედურას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის სპეციფიკური ბუნების გამო იგი განხილული უნდა იქნეს გაძლიერებული პროცედურის ფარგლებში. სტანდარტული პროცედურა ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულია, უზრუნველყოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განხილვათა ეფექტიანი აღსრულება. აქედან გამომდინარე, ამ პროცედურის ფარგლებში, მინისტრთა კომიტეტის ჩართულობა შეზღუდულია და იგი შემოიფარგლება იმის უზრუნველყოფით, რომ სახელმწიფოებმა დროულად წარმოადგინონ სამოქმედო გეგმა/ანგარიში და მათ მიერ განსახორციელებელი ან გატარებული ღონისძიებები ადეკვატურია. იმ საქმეთა აღსრულების პროცესს, რომელზეც მიმდინარეობს სტანდარტული პროცედურა, ზედამხედველობს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტი, რომელიც მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს ინფორმაციასა და სამოქმედო წინადადებებს იმ შემთხვევაში თუ აღსრულების პროცესი მინისტრთა კომიტეტისგან კონკრეტულ ჩარევას მოითხოვს.

---

<sup>59</sup> Implementation of Judgments of the European Court of Human Rights- A handbook for NGOs, injured parties and their legal advisers, 2018, pg. 5.

ერთი საზედამხედველო პროცედურიდან მეორეზე გადასვლა – საქმე, რომელიც სტანდარტული ზედამხედველობის პროცედურას ექვემდებარება, მინისტრთა კომიტეტმა შესაძლოა გადაიყვანოს გაძლიერებული ზედამხედველობის ფარგლებში (და პირიქით).<sup>60</sup>

გაძლიერებული ზედამხედველობის პროცედურა – აღსრულების პროცესში ვხვდებით მინისტრთა კომიტეტის უფრო მჭიდრო მონაწილეობას, რომელიც მაქსიმალურ ხელშეწყობას ავლენს აღსრულების პროცესში, რაც გამოიხატება სპეციალური გადაწყვეტილებებით, შუალედური რეზოლუციებითა და ასევე აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემით; კომიტეტმა შესაძლოა სამდივნოს სახელმწიფოს წარმომადგენლებთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა მოსთხოვოს, რაც შეიძლება გამოიხატოს სამოქმედო გეგმების მომზადებისა ან/და იმპლემენტაციის ეტაპზე დახმარებაში, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეხვედრების გამართვაში, საკონსულტაციო ვიზიტებსა და საკანონმდებლო ექსპერტიზაში.<sup>61</sup>




2017 წელს საქართველოს წინააღმდეგ დასრულებულ საქმეებზე საერთო ჯამში სტანდარტული ზედამხედველობის პროცედურა მიმდინარეობდა 10 საქმეზე, ხოლო გაძლიერებული ზედამხედველობა მიმდინარეობდა 4 საქმეზე.

<sup>60</sup> ევროპის საბჭოს 2017 წლის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულების ზედამხედველობის თაობაზე, იხ. ბმულზე: <https://rm.coe.int/annual-report-2017/16807af92b> (ბოლოს ნანახია: 13.10.2019).

<sup>61</sup> ევროპის საბჭოს 2018 წლის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულების ზედამხედველობის თაობაზე, იხ. ბმულზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804a327f>

**ძირითადი სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგ საქმეებზეც მიმდინარეობდა გაძლიერებული ზედამხედველობა (2018წ.)**



2018 წელს საქართველოს წინააღმდეგ დასრულებულ საქმეებზე საერთო ჯამში სტანდარტული ზედამხედველობის პროცედურა მიმდინარეობდა 3 საქმეზე, ხოლო გაძლიერებული ზედამხედველობა მიმდინარეობდა 1 საქმეზე.<sup>62</sup>

ამდენად, შეჯამების სახით, ქვემოთ იქნება მოცემული გარკვეული კატეგორიის საქმეები, რომლებიც ავტომატურად ექვემდებარებიან გაძლიერებული ზედამხედველობის პროცედურას. ესენია:

1. გადაწყვეტილება, რომლებიც სასწრაფო ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს;
2. პილოტური გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, სტრუქტურული ან/და კომპლექსური პრობლემა იკვეთება;
4. სახელმწიფოთაშორის საქმეები.

<sup>62</sup> ევროპის საბჭოს 2018 წლის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განხილვათა აღსრულების ზედამხედველობის თაობაზე. იხ. ბმულზე: <https://rm.coe.int/annual-report-2018/168093f3da>

### 3.2. მთავრობის კომუნიკაცია მინისტრთა კომიტეტთან - სამოქმედო გეგმა/ანგარიში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს 6 თვისა სახელმწიფო სამოქმედო გეგმას წარუდგენს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ამ უკანასკნელმა 2004 წელს შემოიღო, ხოლო ზედამხედველობის პროცესში 2009 წლიდან დაინერგა. მინისტრთა კომიტეტი აღნიშნული სამოქმედო გეგმით აფასებს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. სამოქმედო გეგმისა და ანგარიშების წარდგენა საბოლოოდ სავალდებულო გახდა 2011 წელს. 2015 წლის 27 მარტს ბრიუსელის კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან „გააგრძელონ ძალისხმევის გაზრდა, რათა დადგენილ ვადებში წარმოადგინონ სამოქმედო გეგმები და ანგარიშები; ეს დოკუმენტები ძირითადი საშუალებებია მინისტრთა კომიტეტსა და მონაწილე სახელმწიფოთა შორის დიალოგისთვის, რომლებიც ასევე ხელს შეუწყობს დიალოგს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა ევროპული სასამართლო, ეროვნული პარლამენტი ან ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები.” ამრიგად, სამოქმედო გეგმები და ანგარიშები იქცა მთავარ მექანიზმად გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობის პროცესში, რითიც დიდი წვლილი შეაქვს მის გამჭვირვალობასა და დინამიკაში. მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ყველა სამოქმედო გეგმა და ანგარიში დაუყოვნებლივ იტვირთება მინისტრთა კომიტეტის საიტზე და აგრეთვე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://Hudoc.Exec.Coe.Int><sup>63</sup> გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო კონფიდენციალურობის დაცვას მოითხოვს.<sup>64</sup>

#### სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები, ე.ი. გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია, რაც მოიცავს ზომების მიღებისა და განხორციელების გრაფიკს.

შესაძლებლობის ფარგლებში სამოქმედო გეგმა აღგენს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელ ზომას. თუ აღნიშნული ზომები შესაბამის დროში ვერ იქნა დადგენილი, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ნაბიჯებს, რომლებიც მათ განსასაზღვრად გადაიდგმება. სამოქმედო გეგმა არის

<sup>63</sup> ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი ვებგვერდი, სადაც მოცემულია ინფორმაცია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე.

<sup>64</sup> [https://www.coe.int/en/web/execution/nhri-ngo#%2244361690%22:\[3\]](https://www.coe.int/en/web/execution/nhri-ngo#%2244361690%22:[3]) (ბოლოს ნანახია: 10.11.2019).

განვითარებადი დოკუმენტი. აღსრულების პროცესში ის რეგულარულად უნდა განახლდეს და აისახოს განხორციელებული ზომების შესახებ უახლესი ინფორმაცია.

სამოქმედო გეგმა ასევე უნდა გადაიხედოს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მიიჩნევს, რომ თავდაპირველად დადგენილი ზომები საჭიროებს გადახედვას განვითარებული მოვლენების შესაბამისად.

### **სამოქმედო ანგარიში**

სამოქმედო ანგარიში წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფოს ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ყველა მიღებული ზომა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების იმპლემენტაციისათვის ან/და იმის განმარტება, თუ რატომ არ/აღარ არის საჭირო ზომების მიღება.

როდესაც გატარდება სამოქმედო გეგმაში (გეგმებში) აღწერილი სახელმწიფოს მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი ყველა ზომა, სამოქმედო გეგმის საბოლოო განახლებული ვარიანტი იქცევა სამოქმედო ანგარიშად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმა ან ანგარიში აუცილებელია, როდესაც სახეზეა:

- პრეცედენტული მნიშვნელობის საქმე,
- საქმეთა ჯგუფი,
- განმეორებადი (ანალოგიური) საქმეები, რომლებიც უკვე დასრულებულია;
- მორიგება, რომლის დროსაც განსაზღვრულია კონკრეტული ვალდებულებები (გარდა დადგენილი თანხის გადახდისა).

რაც შეეხება განმეორებად საქმეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მინისტრთა კომიტეტის წინაშე განხილვის პროცესში მყოფ საქმეთა ჯგუფებს, აღსრულებისთვის საჭირო ინდივიდუალური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია, როდესაც მოხდება მთლიანად საქმეთა ჯგუფის სამოქმედო გეგმის განახლება. თუმცა, თუ გადაწყვეტილებიდან იკვეთება გადაუდებელი ინდივიდუალური ღონისძიებების საჭიროება, შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განცალკევებული კომუნიციის სახით. შემდგომში, აღნიშნულ ინფორმაციას სახელმწიფო შეიყვანს საქმეთა ჯგუფის განახლებულ სამოქმედო გეგმაში ან სამოქმედო ანგარიშში.

სამოქმედო გეგმების და ანგარიშების მიზანია, რომ მინისტრთა კომიტეტი გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობის პროცესში სათანადოდ იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ

აღნიშნული დოკუმენტები ნათლად და ზუსტად ასახავდნენ საქმეში არსებულ საკითხს/პრობლემას, დაგეგმილ ან/და მიღებულ ზომებს, ასევე მათ გავლენას და შესაძლებლობას არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

**სამოქმედო გეგმა/ანგარიში მოიცავს შემდეგ ნაწილებს:** ა) საქმის ან საქმეთა ჯგუფის აღწერილობა; ბ) ინდივიდუალური ღონისძიებები; გ) ზოგადი ღონისძიებები და მთავრობის დასკვნები. ის ასევე შესაძლოა მოიცავდეს დანართებს.

*საქმის აღწერილობაში* ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რატომ დაადგინა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა.

*ინდივიდუალური ღონისძიებების* მიზანია დარღვევის აღმოფხვრა და დაზარალებული მხარის უფლების შექმნის დაგვარად აღდგენა.

*ზოგადი ღონისძიებების* მიზანია მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი დარღვევები ან/და დასრულდეს მიმდინარე დარღვევები.

სამოქმედო ანგარიშში მოცემული უნდა იყოს მთავრობის დასკვნა მიღებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების შესახებ; ასევე მთავრობა კომიტეტს მოუწოდებს საქმეზე ზედამხედველობის დასრულებისკენ. თუ ანალოგიური საჩივარი კვლავ კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება სხვა საქმის ან საქმეთა ჯგუფის კონტექსტში, იგი სამოქმედო ანგარიშის დასკვნაში მოცემული უნდა იყოს და აღინიშნოს ხელისუფლების ვალდებულება ამ კონტექსტში პრობლემის გადასაჭრელად.

### **3.3. დაზარალებული მხარეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა**

მინისტრთა კომიტეტის წესდების მე-9 წესის მიხედვით, აღსრულების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დაზარალებულ მხარეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მინისტრთა კომიტეტს წარუდგინონ კომუნიკაციები.<sup>65</sup> აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვრიდან მინისტრთა კომიტეტისთვის მიმართვა აგრეთვე შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

---

<sup>65</sup> Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements, Rule 9.2. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/16806eebf0>, (ბოლოს ნანახია 10.12.2019).

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, დაზარალებული მხარეებისა და მათი ადვოკატებისთვის არსებობს სხვადასხვა გზა, რომ ჩაერთონ მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში და ხელი შეუწყონ მათ სრულ, დროულ და ეფექტიან იმპლემენტაციას. ხშირ შემთხვევაში, ასეთმა ჩართულობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პროცესის ეფექტურობაში. მართლაც, დაინტერესებული მხარის ჩართულობის გარეშე, მინისტრთა კომიტეტი დგას იმის საშიშროების წინაშე, რომ მოისმენს მხოლოდ მთავრობის პოზიციას გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე.

მინისტრთა კომიტეტისთვის წერილობითი კომუნიკაციის გაგზავნა დაზარალებული მხარეებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მათი ადვოკატებისთვის წარმოადგენს ძირითად და ყველაზე ფორმალურ გზას იმისათვის, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროცესში.

კომუნიკაციები შესაძლოა ეხებოდეს როგორც სამოქმედო გეგმის/ანგარიშის არსებით, ასევე პროცედურულ ნაწილებს და ისინი უნდა პასუხობდნენ მთავრობის სამოქმედო გეგმის ფარგლებსა და შინაარსს.

არსებით ნაწილთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია:

- საუბრობს მიღებული/გათვალისწინებული ინდივიდუალური ღონისძიებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით, უთითებს თუ სად არის საჭირო ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება ზოგადი ღონისძიებების მიღებამდე;
- რეკომენდაციას უწევს დამატებით ზოგად ღონისძიებებს, თუ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები არასაკმარისია;
- წარადგენს მტკიცებულებებს ზემოაღნიშნული დამატებითი ზომების მიღების საჭიროების გასამართლებლად;
- ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც გატარებულ ღონისძიებებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს;
- წარმოადგენს უფრო ზოგად, კონტექსტუალურ ინფორმაციას, მაგალითად, როდესაც მიიჩნევს, რომ სამოქმედო გეგმა სრულად არ ასახავს დარღვევის გამომწვევი ფაქტორების სერიოზულობას;
- წარადგენს მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები არაეფექტური იყო.

პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მოითხოვონ:

- საქმის დაუყოვნებლივი და დეტალური გამოკვლევა;
- შეფერხების შემთხვევაში სახელმწიფოების მხრიდან სამოქმედო გეგმის/ანგარიშების წარმოდგენა;
- ზედამხედველობის სტანდარტული პროცედურიდან გაძლიერებულ პროცედურაზე გადასვლა;
- საქმეზე დებატების გამართვა მინისტრთა კომიტეტის კვარტალურ შეხვედრაზე;
- მინისტრთა კომიტეტის შუალედური რეზოლუცია;
- გამონაკლის შემთხვევებში დარღვევის შესახებ საქმის წარმოების დაწყება (ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, კომიტეტს შეუძლია, ამ მხარისათვის ოფიციალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი მესამედით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს იმის დასადგენად, ასრულებს თუ არა ხელშემკვრელი მხარე საკუთარ ვალდებულებას);
- მინისტრთა კომიტეტის მხრიდან, საქმის განსამარტად ევროპული სასამართლოსთვის გადაცემა.<sup>66</sup>

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმე საინტერესო მაგალითს იძლევა, როგორ აქტიურად შეიძლება იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოებამ განსაკუთრებით აქტიური როლი ითამაშა გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში საქმეზე *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>67</sup>, რომელიც პატიმართა მიერ ხმის მიცემის სადავო საკითხს შეეხებოდა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა საკუთარი პოზიცია, რაც ამ უკანასკნელს საბოლოოდ ეფექტიანი ზოგადი ღონისძიების განსაზღვრაში დაეხმარა. კერძოდ, მას შემდეგ რაც ცხადი გახდა, რომ პარლამენტის მეშვეობით ახალი კანონის მიღება შეუძლებელი იყო, ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილების აღსრულების სათანადო და ეფექტიანი გზა იქნებოდა. ამგვარად, შეიცვალა ადმინისტრაციული პრაქტიკა და ორი კატეგორიის პატიმრებისთვის ხმის მიცემა შესაძლებელი გახდა. ეს კატეგორიები მოიცავდა პატიმრებს, რომლებიც მოკვლევიდან

<sup>66</sup> Implementation of Judgments of the European Court of Human Rights- A handbook for NGOs, injured parties and their legal advisers, 2018, pg. 10.

<sup>67</sup> Hirst v. The United Kingdom (No. 2), N74025/01, 6 ოქტომბერი 2005.



სასჯელს იხდიდნენ და პატიმრებს, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.<sup>68</sup> აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მინისტრთა კომიტეტს ისიც კი მოუწოდა, რომ გამოეყენებინა კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმით განსაზღვრული უფლებამოსილება და მიემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის შემდეგი საკითხის დასადგენად – არღვევდა თუ არა გაერთიანებული სამეფო დაკისრებულ ვალდებულებას, აღესრულებინა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება? ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მკაცრი იყოს მოთხოვნებში და მინისტრთა კომიტეტს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდოს.<sup>69</sup>

აღსანიშნავია, რომ მომჩივნები, სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ სტრასბურგის სასამართლოთა აღსრულების კონტექსტში მინისტრთა კომიტეტთან კომუნიკაციის შესაძლებლობას ქართულ საქმეებზეც. მინისტრთა კომიტეტთან მსგავსი კომუნიკაცია შედგა არაერთ ქართულ საქმეზე, მათ შორისაა *იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*<sup>70</sup>, *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*<sup>71</sup>, *მახარაძე და სხვ.*

#### 4. აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა ტიპები

წინამდებარე თავში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა ტიპები და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღსრულების პროცესში. მოცემულ თავში წარმოდგენილია კონვენციის დებულებები, პრეცედენტული სამართალი და სასამართლოს რეგლამენტი საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, მეგობრულ მორიგებასა და ცალმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილების ან განჩინების ფორმით. ჩნდება ლოგიკური შეკითხვა, რა განსხვავებაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებას შორის? პასუხი შემდეგში მდგომარეობს: განჩინება, როგორც წესი, გამოიცემა ერთი

<sup>68</sup><https://hudoc.exec.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22hirst%22%5D%2C%22EXECDocumentTypeCollection%22:%5B%22CEC%22%5D%2C%22EXEIdentifier%22:%5B%22004-2204%22%5D%7D>, (ბოლოს ნანახია: 10.12.2019).

<sup>69</sup> “The role of civil society in the execution of judgments of the European Court of Human Rights” – Lucja Miara, Victoria Prais, European Human Rights Law Reviews, 2012.

<sup>70</sup> *Identoba and Others v. Georgia*, N73235/12, 12 მაისი 2015.

<sup>71</sup> *Merabishvili v. Georgia*, N72508/13, 28 ნოემბერი 2017.

<sup>72</sup> *Makharadze and Sikharulidze v. Georgia*, N35254/07, 22 ნოემბერი 2011.

მოსამართლის, კომიტეტის ან სასამართლო პალატის მიერ და იგი ეხება მხოლოდ საჩივრის დასაშვებობის საკითხს. იმ შემთხვევაში, როდესაც სტრასბურგის სასამართლო იხილავს საქმის არსებით მხარეს, მას გამოაქვს გადაწყვეტილება. ასევე საინტერესოა მეგობრული მორიგების ან ცალმხრივი აღიარების დროს სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს თუ განიხილებას. ამ კონტექსტში ყურადღება ექცევა თუ რა ეტაპზე შედგება მხარეებს შორის მორიგება ან რა ეტაპზე აღიარებს სახელმწიფო დარღვევას. თუ მხარეებს შორის მეგობრული მორიგება ან ცალმხრივი აღიარება მიღწეულ იქნება საქმის დასაშვებად ცნობამდე, სასამართლო მათ დაამტკიცებს განიხილების ფორმით, ხოლო თუ ეს შეთანხმება საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ მოხდება, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების ფორმით.<sup>73</sup>

ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, მეგობრული მორიგება და ცალმხრივი აღიარება.

#### 4.1. საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის მე-8 თავი გადაწყვეტილებას ეთმობა. გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლო მეტი ეფექტურობისთვის ერთდროულად წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხსა და საქმის არსებით მხარეს. სასამართლოს რეგლამენტის 74<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილებაში *ინტერ ალია* მოცემულია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა არგუმენტები, სასამართლოს შეფასება და სარეზოლუციო ნაწილი. ამასთანავე, როდესაც სასამართლო დაადგენს კონვენციის ან დამატებითი ოქმების დარღვევას, გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების სწორედ ამ ნაწილში უთითებს ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე.

#### 4.2. მეგობრული მორიგება

მეგობრული მორიგება გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 39-ე მუხლში და აგრეთვე სასამართლოს რეგლამენტის 62-ე წესში. საქმის წარმოების პროცესში, საქმის კომუნიცირების შემდეგ, სასამართლო მხარეებს ეკითხება არის თუ არა შესაძლებელი მათ შორის მორიგების მიღწევა, თუმცა მხარეები შეიძლება მორიგდნენ საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მეგობრული მორიგება და ცალმხრივი აღიარება განსხვავებული, თუმცა მაინც ერთმანეთთან დაკავშირებული პროცედურაა. თუ საქმეზე ვერ იქნა მიღწეული

<sup>73</sup> Philip Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, Oxford University Press (3<sup>rd</sup> ed.), 2011. pg.65.

მეგობრული მორიგება, შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ ცალმხრივი აღიარების გზით დაასრულონ საქმის განხილვა. სასამართლო, როგორც წესი, შესაბამისი შეთავაზებებისთვის აწესებს გარკვეულ ვადას; მიუხედავად ამისა, დასაშვებია ნებისმიერი ვადის გახანგრძლივება. თუ საქმე უკავშირდება სტრასბურგის სასამართლოს მიერ „კარგად დადგენილ პრეცედენტულ სამართალს“, სასამართლო მხარეებს მორიგების შეთავაზებას საკუთარი ინიციატივით უგზავნის.

კონვენციის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის და სასამართლოს რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეგობრული მორიგების პროცესი კონფიდენციალურია და არცერთი შეთავაზება, რომელიც გაკეთდება მეგობრული მორიგების მიღწევის პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ ან ხსენებულ იქნეს საქმის წარმოების შემდეგ ეტაპზე. კონფიდენციალურობის დარღვევამ შესაძლოა განაპირობოს საქმის დაუშვებლად ცნობა იმ საფუძველზე, რომ ბოროტად იქნა გამოყენებული ინდივიდუალური განაცხადის უფლება (იხ., მაგალითად, ჰადრაბოვა და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ).<sup>74</sup>

თუ მიღწეულია მეგობრული მორიგება, მხარეებმა წერილობით უნდა მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაადასტუროს მორიგების პირობები და აგრეთვე, კონვენციის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს უნდა მოთხოვონ საჩივრის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა. როდესაც მომჩივანსა და სახელმწიფოს შორის მიღწეულია შეთანხმება, როგორც წესი, ეს მოიცავს მომჩივნისთვის სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიკუთვნებას. მხარეებმა მორიგებაში უნდა მიუთითონ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას და აღნიშნული მორიგება წარმოადგენს საქმის საბოლოო გადაწყვეტას. სტრასბურგის სასამართლო დაადასტურებს, რომ მორიგება მიღწეულ იქნა ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე. მორიგების პირობების შესწავლის შემდეგ, თუ სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველები მოითხოვს საჩივრის შესწავლის გაგრძელებას, სასამართლო საჩივარს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, მეგობრული მორიგების მიღწევის შემდეგ სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას. მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *უკრაინის მედია ჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ*<sup>75</sup> სასამართლომ კვლავ გააგრძელა საქმის განხილვა, რათა დაედგინა დაკმაყოფილებული იყო თუ არა ადამიანის უფლებათა პატივისცემის ტესტი. ანალოგიურად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *პალადი მოლდოვას წინააღმდეგ*<sup>76</sup> სასამართლომ განაგრძო საქმის

<sup>74</sup> Hadrabova and Others v. Czech Republic, nos. 42165/02 და 466/03, 25 სექტემბერი, 2007.

<sup>75</sup> Ukrainian Media Group v. Ukraine, N72713/01, 29 მარტი 2005.

<sup>76</sup> Paladi v. Moldova, N39806/05, 10 ივლისი, 2007.

განხილვა, რადგან ვერ დარწმუნდა, რომ მომჩივანი დაეთანხმა მეგობრულ მორიგებას.

როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამტკიცებს მეგობრულ მორიგებას, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი განჩინებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით შემოიფარგლება. ამის შემდეგ მინისტრთა კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა, ზედამხედველობა გაუწიოს მეგობრული მორიგების პირობების აღსრულებას.<sup>77</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ალადგინოს საჩივარი საქმეთა ნუსხაში, თუ იგი ჩათვლის, რომ მეგობრული მორიგება არ შესრულდა.<sup>78</sup> ამასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (შემდეგში საია) მსგავსი თხოვნით მიმართა სტრასბურგის სასამართლოს საქართველოს მიმართ არსებულ საქმეებზე. კერძოდ, საიას მიერ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარმოებული საქმეთა ერთი ჯგუფი ეხებოდა 2009 წლის ივნისში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინ მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალის გამოყენებით დაშლას, როდესაც ისინი ოპოზიციის ლიდერების დაჭერას აპროტესტებდნენ. მომჩივნები, რომლებიც სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები იყვნენ, ასახივრებდნენ პოლიციის მხრიდან თავდასხმას. მეორე საქმე ეხებოდა 2011 წლის აპრილში რუსთავის ციხეში კახაბერ თედლიაშვილის გარდაცვალებას. თედლიაშვილი სამართლო საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ის დავობდა, რომ ციხის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. 2015 წელს მიღებული რამდენიმე განჩინებით<sup>79</sup> სასამართლომ ეს საქმეები ამორიცხა საქმეთა ნუსხიდან – საქართველოს მთავრობამ აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა და სადავო ინციდენტებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება იკისრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით გატარდა რამდენიმე ღონისძიება, საიას მოსაზრებით, ხელისუფლება ვერ აწარმოებდა ეფექტიან გამოძიებას. 2018 წლის დასაწყისისთვის გამოძიებები არ იყო დასრულებული, მაშინ როდესაც კახაბერ თედლიაშვილის სიკვდილიდან 7, ხოლო მშვიდობიანი დემონსტრაციიდან 9 წელი იყო გასული.

<sup>77</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 39-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სასამართლოს რეგლამენტის 43-ე წესის მე-3 ნაწილი.

<sup>78</sup> Guide to Friendly Settlements and Unilateral Declarations before the European Court of Human Rights, the European Human Rights Advocacy Centre, August, 2018, pg.3.

<sup>79</sup> [http://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2016/01/Georgian-government-settles-two-cases\\_GE.pdf](http://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2016/01/Georgian-government-settles-two-cases_GE.pdf).

სტრასბურგის სასამართლოსადმი საიას მიმართვაში მითითებული იყო, რომ *თედლიაშვილის* საქმეზე არ გატარებულა არსებითი მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, არ დაკითხულან ციხის თანამშრომლები და სხვა პატიმრები, ციხის ფსიქიატრი, მისი ადვოკატი და სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები, რომლებსაც გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე თედლიაშვილთან კონტაქტი ჰქონდათ. გარდა ამისა, ხელახლა უნდა დაკითხულიყო ციხის უფროსი და ციხის ექიმები იმის გამო, რომ მათ მიერ მიცემულ ჩვენებაში შეუსაბამობები იყო ან ისინი არ დაიკითხნენ რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, გამოძიების პოტენციურად მნიშვნელოვანი საკითხები არ იქნა შესწავლილი – გამოძიებლებს არ უმსჯელიათ, ბ-ნი თედლიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოეთავსებინათ თუ არა ის სამართლო საკანში ან ევალებოდა თუ არა ციხის ადმინისტრაციას სამართლო საკანში მოთავსებამდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება (როდესაც ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ მისი ფსიქიკური პრობლემების თაობაზე).

რაც შეეხება მშვიდობიანი შეკრების საქმეს, ხელისუფლების ორგანოებმა არ დაკითხეს ორი მაღალჩინოსანი პოლიციელი, რომელთა იდენტიფიცირებაც სახალხო დამცველის ოფისმა მოახდინა. გამოძიების წარმართვის ფორმა მიუთითებდა იმაზე, რომ არ ჩატარებულა რეალური მოკვლევა იმ მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის დასადგენად, რომლებმაც დემონსტრაციის დაშლა დაგეგმეს, არამედ გამოძიება ფოკუსირებული იყო მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების დასჯაზე, რომლებმაც ბრძანება უშუალოდ ადასრულეს. გარდა ამისა, 2015-2017 წლებში გაჭიანურდა მოწმეთა დაკითხვა და ექსპერტების დანიშვნა; აგრეთვე, არ შესწავლილა ის მიზეზები, თუ რატომ ჩაერიცხა ბონუსები დემონსტრაციის დაშლაში მონაწილე გარკვეულ პოლიციელებს.

ყოველივე ამ მიზეზების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლოს ეცნობა, რომ ამ საქმეებზე გამოძიება არ იყო არც ეფექტიანი და არც დროული. სასამართლოს წინაშე აგრეთვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს შემთხვევები არ იყო იზოლირებული და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული გამოძიების არაეფექტიანობა საქართველოში წლების განმავლობაში სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პასუხი გასცა საიას კომუნიკაციას. თავდაპირველად, სასამართლომ გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ საჩივარი კოლექტიურად იქნა წარდგენილი საქმეთა ჯგუფთან მიმართებით. თუმცა, საიას განცხადებით, ამით ისინი ცხადყოფდნენ პრობლემის მასშტაბურობას. შემდეგ 2018 წლის ნოემბერში სტრასბურგის სასამართლომ საიას აცნობა, რომ საჩივარი უარყოფილ იქნა: „აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება

რაიმე განსაკუთრებულ გარემოებას სასამართლოს რეგლამენტის 43-ე წესის მე-5 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც გაამართლებდა ამ საჩივრების საქმეთა ნუსხაში აღდგენას”. სტრასბურგის სასამართლოს დამატებითი მიზეზები არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, სასამართლოს წერილის მეორე პარაგრაფის მიხედვით საიას ეცნობა, რომ „სასამართლო ძალიან დატვირთულია. შესაბამისად, კანცელარია ზემოხსენებულ საჩივრებთან დაკავშირებით ვერ უპასუხებს თქვენ შემდგომ წერილებს ან სატელეფონო ზარებს”.<sup>80</sup> ამდენად, სასამართლომ ზემოთ განხილული საჩივრები საქმეთა ნუსხაში არ აღადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტატისტიკაც ცხადყოფს, რომ ცალმხრივი აღიარების ან მეგობრული მორიგების შედეგად ამორიცხული საქმეების საქმეთა ნუსხაში აღდგენა იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. გადაწყვეტილებაში *ჯერონოვიჩის ლატვიის წინააღმდეგ*<sup>81</sup> სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ საქმეზე *ალექსენცევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*<sup>82</sup> სასამართლომ გადაწყვიტა მომჩივანთა საქმის აღდგენა იმ საფუძველით, რომ მთავრობის ცალმხრივი აღიარება პირობითი ხასიათის იყო, კერძოდ, მისი განხორციელება – რაც გულისხმობდა კომპენსაციის გადახდას, დამოკიდებული იყო მომჩივანთა მიერ საჩივრის უკან გახმობაზე. ვინაიდან მომჩივნებმა საჩივარი უკან არ გაიხმეს, მთავრობამ უარი განაცხადა ცალმხრივი აღიარებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. 2006 წლის 23 მარტს სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობის მხრიდან კომპენსაციის გადაუხდელობა წარმოადგენდა განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც ამართლებდა საქმეთა ნუსხაში მის აღდგენას.<sup>83</sup>

სხვა საქმეებში საჩივრის საქმეთა ნუსხაში აღდგენის საფუძველები იყო: მთავრობის მიერ მკვლელობის გამოძიების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა<sup>84</sup>, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის სათანადოდ გამოუძიებლობა<sup>85</sup>, მომჩივნისთვის მორიგების ფარგლებში განსაზღვრული თანხის შესაბამისი ოდენობის გადაუხდელობა<sup>86</sup>, კიდევ ერთი საქმე იქნა

<sup>80</sup> What future for settlements and undertakings in international human rights resolution? – Nino Jomarjidze and Philip Leach, 2019.

<sup>81</sup> Jeronovics v. Latvia, N44898/10, 5 ივლისი 2016.

<sup>82</sup> Aleksentseva and Others v. Russia,

(nos. [75025/01](#), [75026/01](#), [75028/01](#), [75029/01](#), [75031/01](#), [75033/01](#), [75034/01](#), [75036/01](#), [76386/01](#), [77049/01](#), [77051/01](#), [77052/01](#), [77053/01](#), [3999/02](#), [5314/02](#), [5384/02](#), [5388/02](#), [5419/02](#) and [8192/02](#), decisions of 4 September 2003, 23 March 2006, and judgment of 17 January 2008, §§ 14-17),

<sup>83</sup> იქვე, § 68.

<sup>84</sup> Zarkovic and others v. Croatia, N75187/12, 19 ივნისი, 2015.

<sup>85</sup> Jeronovics v. Latvia, N44898/10, 5 ივლისი, 2016.

<sup>86</sup> Katic v. Serbia, N13920/04, 7 ივლისი, 2009.

აღდგენილი იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება<sup>87,88</sup>

ამდენად, მიუხედავად საიას კომუნიციირებისა, ჯერ არ არსებობს ქართული საქმე, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ საქმეთა ნუსხაში აღადგინა იმ საფუძვლით, რომ მორიგების პირობები დარღვეულ იქნა. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადასტურებს, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიღება.

### 4.3. ცალმხრივი აღიარება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს განმეორებითი საქმეების დიდი რაოდენობა. მსგავსი საჩივრები გამომდინარეობს სისტემური პრობლემებისგან, რომლებიც გადაუჭრელი რჩება მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე. მაგალითად, ეს პრობლემებია სამოქალაქო საქმის წარმოების ხანგრძლივობა იტალიაში, ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობა უკრაინაში, პატიმრობის პირობები რუსეთში<sup>89</sup>. განმეორებითი საქმეების განხილვისას, სტრასბურგის სასამართლო იმეორებს უკვე კარგად დადგენილ პრაქტიკას. ამ პრობლემასთან გამკლავების მიზნით, სასამართლომ შეიმუშავა ცალმხრივი აღიარების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას და პირობას დებს, მომჩივანს მიაკუთვნოს შესაბამისი ანაზღაურება. ამდენად, სასამართლო საქმის არსებით გარემოებებზე მსჯელობის ნაცვლად, განიხილავს შემდეგ საკითხს: მთავრობის მიერ წარმოდგენილი ცალმხრივი აღიარების საფუძველზე, უნდა ამორიცხოს თუ არა საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის ვერ იქნა მიღწეული მეგობრული მორიგება, მოპასუხე სახელმწიფომ შესაძლოა წარადგინოს დეკლარაცია, რომლითაც აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას და კისრულობს ვალდებულებას, მომჩივანს მიაკუთვნოს ზიანის ანაზღაურება. ცალმხრივი დეკლარაცია გათვალისწინებულია სასამართლოს რეგლამენტის 62-ე მუხლით.

მართალია, ცალმხრივი აღიარებით შეიძლება დასრულდეს ყველა ტიპის საქმე, თუმცა სენსიტიურ ან კომპლექსურ საქმეებს, აგრეთვე ყველაზე სერიოზულ

<sup>87</sup> Yavorovenko and Others v. Ukraine, N25663/02, 17 ივლისი, 2014.

<sup>88</sup> Unilateral declarations and the European Court of Human Rights: Between efficiency and the interests of the applicant- Lize R Glas, Maastricht Journal of European and Comparative Law 25(5), 2018, 622.

<sup>89</sup> <http://website-pace.net/documents/19838/3115031/AS-JUR-2017-15-EN.pdf/18891586-7d6c-4297-b5f7-4077636db28e>.

ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილ ცალმხრივ აღიარებას, სასამართლო განიხილავს განსაკუთრებული სიფრთხილითა და იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებიც შეიმუშავა საქმეზე *ტაშინ აკარი თურქეთის წინააღმდეგ*<sup>90</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ცალმხრივი აღიარება პირველად 2011 წელს თურქეთმა წარადგინა<sup>91</sup>. მოგვიანებით სასამართლომ ზემოხსენებულ *ტაშინ აკარის* საქმეზე შეიმუშავა არაამომწურავი სია იმ ფაქტორებისა, რომლებიც უნდა შეფასდეს, რათა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საჩივრის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის თაობაზე. ეს ფაქტორებია:

- საჩივრის ბუნება;
- საჩივრის შედეგად წამოჭრილი საკითხი ხომ არ არის სასამართლოს მიერ უკვე განხილული საკითხების მსგავსი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტში სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ბუნება და მასშტაბი და ამ ღონისძიებების გავლენა განსახილველ საქმეზე; აგრეთვე
- მხარეებს შორის არსებობს თუ არა სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

ცალმხრივი დეკლარაციების წარდგენა, როგორც წესი, ხდება მეგობრული მორიგების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ და სამართლიანი დაკმაყოფილების ეტაპზე შესაძლოა სათანადო მექანიზმს წარმოადგენდეს.

განსხვავებით მორიგების კონფიდენციალური მოლაპარაკებებისა, ცალმხრივი აღიარება წარდგენილ უნდა იქნეს საჯაროდ. მომჩივანს შეუძლია გააკეთოს კომენტარები, კერძოდ, განმარტოს თუ რატომ უნდა დააკმაყოფილოს ან უარყოს სასამართლომ ცალმხრივი დეკლარაციის გზით დავის გადაწყვეტა. თუ მომჩივანი ეთანხმება ცალმხრივ აღიარებას, საჩივარი ამორიცხება საქმეთა ნუსხიდან. მაშინაც კი, თუ მომჩივანს საჩივრის განხილვის გაგრძელება სურს, სასამართლო თავად გადაწყვეტს<sup>92</sup> არის თუ არა ეს გამართლებული. თუ სასამართლო დაასკვნის, რომ საქმის განხილვა აღარ არის გამართლებული, ცალმხრივი დეკლარაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- საჩივარში წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი;
- მომჩივანთან მიმართებით ნათლად უნდა იყოს აღიარებული კონვენციის დარღვევა - აგრეთვე ცალსახად უნდა იქნეს მითითებული დარღვევის ბუნება;

<sup>90</sup> Tashin Acar v. Turkey (preliminary objection) [GC], N 26307/95, 6 მაისი, 2003.

<sup>91</sup> აკმანი თურქეთის წინააღმდეგ (Akman v. Turkey), N37453/97, 26 ივნისი, 2001.

<sup>92</sup> კონვენციის 37-ე მუხლი.



- სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიკუთვნებული უნდა იყოს ადეკვატური ზიანის ანაზღაურება;
- საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის მიერ ნაკისრი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის ვალდებულებები (კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლა, ახალი პოლიტიკის შემოღება და სხვ.);
- ადამიანის უფლებათა პატივისცემა: ცალმხრივი აღიარება სასამართლოსთვის უნდა წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს იმის დასადგენად, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს საჩივრის განხილვის გაგრძელებას.

თუ სასამართლო დაამტკიცებს ცალმხრივ აღიარებას, ის იღებს განჩინებას ან გადაწყვეტილებას საჩივრის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის თაობაზე. თუ ცალმხრივ აღიარებაში არ არის გათვალისწინებული ხარჯები და დანახარჯები<sup>93</sup>, სასამართლომ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მიაკუთვნოს მსგავსი ანაზღაურება სასამართლოს რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კომიტეტი არ არის უფლებამოსილი ზედამხედველობა გაუწიოს ცალმხრივი დეკლარაციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. იმ შემთხვევაში თუ მთავრობა ვერ გაატარებს ინდივიდუალურ ღონისძიებებს, მომჩივანს შეუძლია მოითხოვოს მისი საქმის აღდგენა სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხაში. სასამართლოს განჩინებას, თავისთავად, ვერ ექნება ის გავლენა, რომ მომჩივანი დააბრკოლოს ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებით სარგებლობაში.<sup>94</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ სირთულეს, რასაც ეროვნული სასამართლოები აწყდებიან, როდესაც ეროვნულ დონეზე ახლდება საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც დადგენილია კონვენციის დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მეგობრული მორიგებისა და ცალმხრივი აღიარების დროს სტრასბურგის სასამართლო არსებითად არ იხილავს საქმეს და არ წარმოადგენს სამართლებრივ შეფასებებს ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. ამდენად, ეროვნულ სასამართლოებს სიფრთხილე მართებთ, რათა ზუსტად დაადგინონ, თუ რა არის მოცემული

<sup>93</sup> ან თუ შემოთავაზებული ოდენობა არ არის საკმარისი მომჩივნის წარმომადგენლების მიერ გაწეულ შრომასთან მიმართებით.

<sup>94</sup> Unilateral declarations: policy and practice, European Court of Human Rights, September, 2012.

სტრასბურგის სასამართლოს შესაბამის განჩინებაში და გადაწყვეტილება არ დააფუძნონ მცდარ გარემოებებს.

ეს საკითხი აქტუალური იყო საქართველოს რეალობისთვისაც. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს განჩინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების ფარგლებში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოაყალიბა შემდეგი დასკვნა - „საქმის მასალებით დადგენილია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული ცალმხრივი განაცხადის თანახმად, მთავრობამ ცნო ევროკონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა სამოქალაქო მიმართულებით მომჩივნის წინააღმდეგ ჩადენილ დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 8 ნოემბერს. ევროპის სასამართლოს საქმის არსებით ნაწილზე, რომლითაც მოხდა მოსამართლის ბრალეულად აღიარება და მასზე სახდელის დაკისრება, არ უმსჯელია, ანუ დარღვევა არ დაფიქსირებულა, რაც იმას გულისხმობს, რომ ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების დასკვნები სწორია“.

ეს მსჯელობა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვინაიდან ის გარემოება, რომ სასამართლომ არ იმსჯელა საქმის არსებით ნაწილზე და დარღვევა დადგინდა არა სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ მთავრობის ცალმხრივი აღიარების საფუძველზე, არ გულისხმობს იმას, რომ ეროვნული სასამართლოს დასკვნები სწორია.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ ზემოხსენებულ დასკვნასთან მიმართებით წარმოადგინა სწორი სამართლებრივი შეფასება. სადისციპლინო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ევროსასამართლოს განჩინებაში საქმის არსებით ნაწილზე, ანუ ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების დასკვნების მართებულობაზე არათუ მსჯელობა, მითითებაც არ ყოფილა. ამგვარი შეფასება ევროსასამართლოს განჩინებიდან არ გამომდინარეობს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საქმის წარმოების შეწყვეტისას საქმე არსებითად არ განიხილება და სასამართლო ადგენს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც საქმის წარმოების შეწყვეტის კონკრეტული საფუძველის არსებობას ადასტურებს. შესაბამისად, არსებითი განხილვის გარეშე საქმის დასრულებისას, არ მოწმდება დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემული პირის ბრალეულობა, ამიტომ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ უნდა შეიცავდეს ისეთ დასკვნებს ან მსჯელობას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოსამართლის ბრალეულობაზე მიუთითებს.“

მოცემული მაგალითი ცხადყოფს, რომ როდესაც ეროვნული სასამართლოების წინაშე საქმის წარმოების განახლების საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამტკიცებული მეგობრული მორიგება ან ცალმხრივი აღიარება, სადაც დადგენილია კონვენციის დარღვევა, მოსამართლეები ერთგვარი გამოწვევის წინაშე არიან, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ მათში არ არის მოცემული სტრასბურგის სასამართლოს ცალსახა დასკვნები, რომლებშიც საუბარია დარღვევის განმაპირობებელ მიზეზებზე. ამდენად, ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლების შემდეგ მოსამართლეებს არ აქვთ მოცემული მიმართულება, თუ რომელ გარემოებებზე გაამახვილონ ყურადღება, ხოლო, მეორე მხრივ, განსხვავებით არსებით საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისგან, სადაც ნათლად არის სტრასბურგის სასამართლოს მსჯელობა კონკრეტულ დარღვევასთან მიმართებით და აგრეთვე მოცემულია დარღვევის საფუძველზე მიკუთვნებული სამართლიანი ანაზღაურების მიზანი და ოდენობა, შესაძლოა ამ შემთხვევაში მომჩივნებს სხვა მოლოდინი ან აღქმა ჰქონდეთ.

ამის საილუსტრაციოდ, განხილულ იქნება კვლევის ფარგლებში შესწავლილი ერთ-ერთი საქმე, რომელშიც კასატორი საქმის დასაშვებად ცნობას ითხოვდა და აცხადებდა, რომ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, რომლითაც დადგენილი იყო მის მიმართ კონვენციის მე-3 და მე-5 § 3 მუხლების დარღვევა იმის გამო, რომ პატიმრობის პერიოდში არ გაეწია სათანადო სამედიცინო დახმარება და აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე ეროვნული სასამართლოს განჩინებები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. ის აცხადებდა, რომ ევროპულმა სასამართლომ დაამტკიცა სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაცია, თუმცა მას [სტრასბურგის სასამართლოს] დეტალურად არ უმსჯელია დავის არსებით გარემოებებზე. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის 6 000 ევროს დაკისრება მოხდა მხოლოდ მომჩივნის მიერ ევროპული სასამართლოსათვის მიმართვისთვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მიზნით, მაგალითად, როგორებიცაა: ასლების გადაღება, დოკუმენტების თარგმნა, საფოსტო ხარჯები და სხვ. რაც შეეხებოდა პატიმრობისას მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეულ ხარჯებსა და მორალურ ზიანს, კასატორის მოსაზრებით, მათ ანაზღაურებასთან დაკავშირებით ეროვნულ სასამართლოს უნდა ემსჯელა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველები, ამისათვის კი სათანადოდ უნდა გაეანალიზებინა სტრასბურგის სასამართლოს განჩინება კასატორის საქმეზე. პირველ ყოვლისა, უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მორიგებასა და ცალმხრივ დეკლარაციას შორის არსებულ განსხვავებაზე. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა

„საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაშვებულ განაცხადზე საქმის წარმოებას არ ამთავრებს მხოლოდ არსებითი გადაწყვეტილებით, საქმეზე შესაძლოა დამტკიცდეს მორიგება ან ცალმხრივი დეკლარაცია. მორიგებისაგან განსხვავებით, ცალმხრივი დეკლარაციის დამტკიცებისას არ არის საჭირო მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენა, დეკლარაცია შესაძლოა დამტკიცდეს მაშინაც, როდესაც ადგილი არ ჰქონია წინასწარი მეგობრული მორიგების მოლაპარაკებებს და როდესაც მომჩივანი ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას (იხ. მაგ.: „ცაგურია საქართველოს წინააღმდეგ“ - 65969/09 განაცხადი, 5.09.2015წ., §19-21; „მ. ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - 7607/07 და 8710/07 განაცხადები, 27.11.2018წ., §43-46).”

უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა ცალმხრივი აღიარების ფარგლებში მომჩივნისთვის მიკუთვნებული თანხის მიზნობრიობაზე.

„განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ საქართველომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა კასატორის მიმართ არასათანადო მკურნალობის გაწევა, პატიმრობის გამოყენების დაუსაბუთებლობა და დაზარალებულს კომპენსაციის სახით შესთავაზა 6000 ევრო - მატერიალური და მორალური ზიანის, ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად. ცალმხრივი შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამტკიცდა, მოსარჩელეს მიეკუთვნა 6000 ევრო, რაც ამჟამად ანაზღაურებულია... ევროპულმა სასამართლომ ცალმხრივი დეკლარაცია დაამტკიცა და საქმის განხილვის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია დეკლარაციაში მითითებული აღიარების ბუნებისა და შეთავაზებული კომპენსაციის გათვალისწინებით. ევროპული სასამართლოს განჩინებაში მითითებულია აგრეთვე, რომ კონვენციის და მისი ოქმების შესაბამისად დაკმაყოფილებულია ადამიანის უფლებათა პატივისცემის მოთხოვნები. ამდენად, ევროპულმა სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა მიიჩნია განხორციელებული დარღვევის პროპორციულად და ადეკვატურად.”

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ არ არსებობდა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველი და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე ნამსჯელი ჰქონდა დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე იმავე ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებზეც კასატორი განსახილველ დავაში უთითებდა.

## 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულების საპარლამენტო ზედამხედველობა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2008) 2 (ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფი აღსრულების მიზნით ეფექტიანი საშუალებების შექმნის შესახებ) მიხედვით, წევრ სახელმწიფოებში უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი ორგანოები (ან დაინიშნოს თანამდებობის პირები), რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესს; უნდა შეიქმნას შესაბამისი მექანიზმები, რომლითაც დაინერგება და შედგება ევროპის საბჭოს კომიტეტსა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის დიალოგი და ინფორმაციის მიმოცვლა; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყოთ ეროვნულ დონეზე სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობას ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>95</sup> ანალოგიურად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მრავალჯერ აღნიშნა, რომ ეროვნულ პარლამენტს დიდი პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია. კერძოდ, ეროვნულმა პარლამენტმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებს და უმოქმედობის შემთხვევაში მიუთითოს ამაზე მთავრობას. გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების შესრულების მიზნით პარლამენტს შეუძლია წამოიწიოს საკანონმდებლო რეფორმა; აგრეთვე, სისტემატურად შეამოწმოს კანონპროექტისა და არსებული კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებთან შესაბამისობა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციით პარლამენტმა უნდა ჩამოაყალიბოს „სტრუქტურები, რომლებიც მკაცრ ზედამხედველობას გაუწევენ ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას“.<sup>96</sup>

ამ კონტექსტში ეროვნული პარლამენტის როლი ასევე აღიარებულია სამთავრობო დონეზე. იგი ასახულია 2012 წლის აპრილის ბრაიტონის დეკლარაციასა და 2015 წლის მარტის ბრიუსელის დეკლარაციაში<sup>97</sup>, რომელიც

<sup>95</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)2 ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფი აღსრულების მიზნით ეფექტური საშუალებების შექმნის შესახებ.

<sup>96</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1823 (2011) ეროვნული პარლამენტები: ადამიანის უფლებათა გარანტი ევროპაში.

<sup>97</sup> ბრაიტონის დეკლარაცია, 20 აპრილი 2012, par. 9.c.ii; 29.a.iii; da 29.e.

მოუწოდებს სახელმწიფოებს ხელი შეუწეონ ეროვნული პარლამენტის როლის გაზრდას<sup>98</sup>.

2016 წლიდან საქართველოში დაინერგა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულების საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი. ზედამხედველობის მსგავსი მექანიზმი მოქმედებს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებშიც.

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც აგრეთვე ახორციელებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულების საპარლამენტო ზედამხედველობას.

### 5.1. საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების მოდელები

აღსანიშნავია, რომ ეროვნული პარლამენტი ზემოთ ხსენებული ზედამხედველობის ვალდებულებას შესაბამისი საპარლამენტო სტრუქტურის მეშვეობით ახორციელებს. აღნიშნული მოდელები კი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციით:

*„ეროვნულმა პარლამენტმა უნდა ჩამოაყალიბოს შესაბამისი საპარლამენტო სტრუქტურები, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მკაცრი და რეგულარული მონიტორინგი, მაგალითად, ჩამოყალიბდეს ადამიანის უფლებათა კომიტეტები ან შესაბამისი ანალოგიური სტრუქტურები, რომელთა ფუნქციებიც კანონით უნდა იქნეს დადგენილი“<sup>99</sup>*

მოცემული რეკომენდაციის განხორციელების სხვადასხვა მოდელი არსებობს. ესენია: 1) მოდელი, რომელშიც მოცემული ვალდებულება შედის **ადამიანის უფლებათა სპეციალიზებული კომიტეტის** კომპეტენციაში; 2) მოდელი, სადაც აღნიშნულს ახორციელებს **სპეციალიზებული ქვეკომიტეტი**, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებების საკითხებზე; 3) **ჯვარედინი ან სრულად „ინტეგრირებული“** მოდელი; და 4) **შერეული მოდელი** (ამ უკანასკნელ მოდელს მიეკუთვნება საქართველო).

### ადამიანის უფლებათა სპეციალიზებული კომიტეტის მოდელი

ამ მოდელის შემთხვევაში ზედამხედველობას ახორციელებს მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომიტეტი, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებებთან

<sup>98</sup> ბრიუსელის დეკლარაცია, 27 მარტი 2015, par. B 1.b; B.2.a; B.2.f; B.2.h; da B.2.j.

<sup>99</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო რეზოლუცია 1823 (2011), პარ.1.

დაკავშირებით. კომიტეტი შეიძლება პირდაპირ ითვალისწინებდეს კონკრეტულ ფუნქციებს, მაგ., როგორც კანონმდებლობის შესაბამისობის შემოწმება ეროვნულ, რეგიონალურ ან საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით. ის ასევე ზედამხედველობას უწევს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს.<sup>100</sup> არსებულ მოდელს ვხვდებით სხვადასხვა ქვეყანაში. რამდენიმე მაგალითი ქვემოთ იქნება განხილული.

### ➤ გაერთიანებული სამეფო

ადამიანის უფლებათა ერთობლივი კომიტეტი წარმოადგენს სპეციალიზებულ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოდელს. კომიტეტი 2001 წელს ჩამოყალიბდა და შედგება 12 წევრისგან, რომლებიც თანაბრად არიან წარმოდგენილნი როგორც თემთა პალატიდან, ასევე ლორთა პალატიდან. კომიტეტი საკუთარი საქმიანობის ფარგლებში ზედამხედველობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მიმდინარეობას, რომლის კრიტერიუმებსაც თავად ეს კომიტეტი ადგენს (მაგ. მთავრობამ უნდა წარმოადგინოს დეტალური გეგმები კომიტეტის მოთხოვნიდან ოთხ თვეში).

### ➤ საბერძნეთი

2013 წლის ბოლოს საბერძნეთის პარლამენტში ჩამოყალიბდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მონიტორინგის სპეციალური მუდმივმოქმედი კომიტეტი.<sup>101</sup> კომიტეტის მოვალეობაა კანონმდებლობისა და კონვენციის შესაბამისობის კონტროლი და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობა.

### ➤ უნგრეთი

უნგრეთის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) იურიდიული კომიტეტი<sup>102</sup>, რომელიც 2014 წელს ორი კომიტეტის გაერთიანებით ჩამოყალიბდა, პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა საკითხებზე. ევროპულ სასამართლოში მთავრობის წარმომადგენელი იურიდიულ კომიტეტს ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნგრეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

<sup>100</sup> ეროვნული პარლამენტები, როგორც ევროპაში ადამიანის უფლებათა გარანტორები, დოკუმენტი მომზადებულია ევროპის საბჭოს მიერ. ელ. ბმული ის. <http://www.assembly.coe.int/LifeRay/JUR/Pdf/Handbook/HumanRightsHandbook-GE.pdf> (ბოლო ვედომა 20.12.2019).

<sup>101</sup> ის. შემდეგ ბმულზე : <https://www.hellenicparliament.gr/en/Koinovouleftikes-Epitropes/CommitteeDetailView?CommitteeId=4742dd94-c817-45dd-b1ab-6355b1416bd1> (ბოლოს ნანახია:10.1.2019).

<sup>102</sup> პარლამენტების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციაში : არსებული სტრუქტურებისა და მექანიზმების მიმოხილვა. ევროპის საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული დოკუმენტი, 02.12.2016. ის. მულზე : <http://www.assembly.coe.int/LifeRay/APCE/pdf/PPSD/2014/20142110-PPSDNotefondstandardsCEDH-EN.pdf>

## ➤ ლატვია

ლატვიის პარლამენტში არსებობს ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივ საქმეთა კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაციის მონიტორინგზე. არ არსებობს რაიმე ინსტიტუციური მოწესრიგება ევროპული სასამართლოს იმპლემენტაციის მონიტორინგზე. მიუხედავად ამისა, დაახლოებით წელიწადში ერთხელ ლატვიის მთავრობის წარმომადგენელი კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

## ადამიანის უფლებათა სპეციალიზებული ქვეკომიტეტის მოდელი

სპეციალიზებული ქვეკომიტეტი ადამიანის უფლებათა საკითხებს განიხილავს და წარმოადგენს მუდმივმოქმედ კომიტეტს უფრო ფართო მანდატით<sup>103</sup>, ვიდრე სპეციალიზებული კომიტეტი. სპეციალიზებული ქვეკომიტეტი მსგავსად სპეციალიზებული კომიტეტისა მოიცავს კონკრეტულ ფუნქციებს. ქვეკომიტეტი შედგება კომიტეტის წევრებისგან, რომლებიც შეისწავლიან მეტად კონკრეტიზებულ საკითხს და წარადგენენ ანგარიშს. ქვემოთ განხილული იქნება ის ქვეყნები, სადაც დანერგილია აღნიშნული მექანიზმი.

## ➤ რუმინეთი

2009 წელს დეპუტატთა პალატაში არსებული იურიდიულ საკითხთა, სადისციპლინო და იურიდიული კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა ქვეკომიტეტი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგის თაობაზე. ქვეკომიტეტი დაკომპლექტებულია შვიდი დეპუტატისგან ყველა საპარლამენტო გუნდიდან და მას ასევე ჰყავს იურიდიული მრჩეველები. სხვა საკითხებთან ერთად ქვეკომიტეტი იკრიბება და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ქმნიან იმპლემენტაციის პროცესში პრობლემებს. ქვეკომიტეტი ასევე ატარებს საჯარო მოსმენებს და რეგულარულად იღებს დასკვნებს სამთავრობო აგენტის ოფისიდან. ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი მრავალი საჩივრისა და რუმინეთის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქვეკომიტეტი საჭიროდ მიიჩნევს შეიქმნას დეპუტატთა პალატისა და სენატის ერთობლივი საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს მთავრობას გადაწყვეტილებათა აღსრულებასა და კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობას.<sup>104</sup>

<sup>103</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>104</sup> იხ. ბმულზე [http://www.cdep.ro/pdfs/prezentare\\_subcomisie\\_cedo\\_engleza.pdf](http://www.cdep.ro/pdfs/prezentare_subcomisie_cedo_engleza.pdf) (ბოლოს ნანახია : 20.12.2019).



## ➤ პოლონეთი

2014 წლის 5 თებერვალს პოლონეთის პარლამენტში ჩამოყალიბდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ქვეკომიტეტი. აღნიშნული ქვეკომიტეტი საქმიანობის ფარგლებში:

- დეტალურად განიხილავს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას პოლონეთის მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ;
- მონიტორინგს უწევს ევროპული სასამართლოს მიერ პოლონეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებას;
- იურიდიული და ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და საგარეო საქმეთა კომიტეტისთვის ამზადებს საჭიროებების ან რეკომენდაციების პროექტს, რომელიც შეეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ პოლონეთის ვალდებულების შესრულებას.<sup>105</sup>

## ჯვარედინი/სრულად „ინტეგრირებული“ მოდელი

ჯვარედინ მოდელში არცერთი კომიტეტი ან ქვეკომიტეტი არ ფარავს ადამიანის უფლებათა საკითხებს, რომლებსაც სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტები განიხილავენ. აღნიშნულთან მიმართებით, ხშირად გამოიყენება სიტყვა „ინტეგრირებული“; მოცემულ ტერმინში იგულისხმება, რომ ადამიანის უფლებათა საკითხების ზედამხედველობის საქმიანობაში ჩართულია ყველა კომიტეტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მრავალი სახელმწიფოს პარლამენტში მისწრაფიან „ინტეგრირებული“ მოდელისაკენ, თუმცა არსებული პრაქტიკა ვერ იქნება ამგვარად აღწერილი.

## ➤ დანია

დანის პარლამენტში თითოეული კომიტეტი, მათი საქმიანობის ფარგლებში, მუშაობს ადამიანის უფლებათა საკითხებზე. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ურთიერთობს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებთან, ასევე სახალხო დამცველთან და განიხილავს მათ ყოველწლიურ ანგარიშებს. პარლამენტს არ გააჩნია რაიმე ოფიციალური პროცედურა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციის მონიტორინგთან დაკავშირებით ან ამ მიზნით პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენის სისტემა.

<sup>105</sup> იხ. ბმულზე

[https://www.ms.gov.pl/en/c/MOBILE/foreign\\_policy/human\\_rights/european\\_court\\_of\\_human\\_rights/executive\\_judgments](https://www.ms.gov.pl/en/c/MOBILE/foreign_policy/human_rights/european_court_of_human_rights/executive_judgments), (ბოლოს ნანახია 23.12.2019).

### ➤ ნიდერლანდები

ნიდერლანდებში არცერთ საპარლამენტო კომიტეტს არ გააჩნია მკაფიო უფლებამოსილება გამოიკვლიოს კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობა ან ზედამხედველობა გაუწიოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესს. ასევე პარლამენტში არ არსებობს ადამიანის უფლებათა რაიმე სპეციალიზებული ერთეული. მიუხედავად ამისა, როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე სენატში (რომელთაგანაც შედგება პარლამენტი) ფუნქციონირებს მულტიპარტიული იურიდიული კომიტეტი, რომელიც შეისწავლის კანონმდებლობის შესაბამისობას კონვენციის სტანდარტებთან.

### ➤ რუსეთი

რუსეთის დუმაში (პარლამენტში) ჩამოყალიბებულია 30 კომიტეტი, რომელთაგან არცერთი არ აწესრიგებს ადამიანის უფლებათა საკითხებს. კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობასა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხები ნაწილდება სამ კომიტეტში, ესენია: სამოქალაქო, სისხლი, საარბიტრაჟო და საპროცესო კანონმდებლობის; საკონსტიტუციო და სახელმწიფო გაძლიერების; და საგარეო საქმეთა კომიტეტები. არ არსებობს რაიმე ინსტიტუციური საპარლამენტო მექანიზმი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციას. 2011 წლიდან პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრო ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს. ეს უკანასკნელი, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს იმ კანონთა სიას, რომლებიც მიღებული ან გაუქმებული უნდა იქნეს პარლამენტის მიერ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება.

### შერეული მოდელი

შერეულ მოდელში ვხვდებით როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგად ელემენტებს. ასეთ მოდელში ერთზე მეტ საპარლამენტო კომიტეტს ან ქვეკომიტეტს აქვს ადამიანის უფლებების საკითხთა განხილვის მანდატი. მათ შეიძლება ეკისროდეთ კონკრეტული ვალდებულებები, მაგალითად როგორცაა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე მოდელს მიეკუთვნება საქართველოც, თუმცა საქართველოში მოქმედი საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი დეტალურად იქნება განხილული იქნება აღსრულების პროცესში პარლამენტის როლთან დაკავშირებულ ქვეთავში.<sup>106</sup>

<sup>106</sup> იხ. გვ. 81.

➤ კვიპროსი

კვიპროსის წარმომადგენელთა პალატაში ადამიანის უფლებათა საკითხებზე მუშაობს ორი კომიტეტი – ადამიანის უფლებათა და კაცთა და ქალთათვის თანაბარი შესაძლებლობების მუდმივმოქმედი კომიტეტი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ისინი მუშაობენ კანონმდებლობის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის განსაზღვრისა და მათი აღსრულების მიმართულებით. მაგალითად, ორივე კომიტეტი ჩართული იყო რანცევი კვიპროსის და რუსეთის წინააღმდეგ<sup>107</sup> გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის პროცესში, რომელიც ეხებოდა (კვიპროსის მხრიდან) ტრეფიკინგის მსხვერპლის – ოქსანა რანცევას დაცვის არარსებობას და (ორივე სახელმწიფოს მხრიდან) მისი სიკვდილის არაადეკვატურად გამოძიებას.

➤ ლიეტუვა

ლიეტუვას პარლამენტის ორი კომიტეტი მუშაობს ადამიანის უფლებათა საკითხებზე: ადამიანის უფლებათა კომიტეტი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ორივე კომიტეტი ზედამხედველობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესს. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, კომიტეტები განიხილავენ ლიეტუვას მთავრობის წარმომადგენლის დასკვნას ლიეტუვას წინააღმდეგ გადაწყვეტილებებისა და კომუნიცირებული საქმეების შესახებ.

➤ გერმანია

ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტი) ორი კომიტეტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. ეს კომიტეტებია: ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტი, რომელიც შედგება 18 წევრისგან და იურიდიული კომიტეტი, რომელიც 37 წევრს აერთიანებს. პარლამენტის პეტიციების კომიტეტმა შეიძლება ასევე განიხილოს ადამიანის უფლებათა საკითხები ინდივიდუალური საჩივრების ფარგლებში, რომლებიც კანონმდებლობის საზოგადოებრივ გავლენას ეხება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი იხილავს ყველა საკითხს, რომელიც ეხება იუსტიციის სამინისტროს. არცერთ კომიტეტს არ გააჩნია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეთანხმებული იმპლემენტაციის მანდატი; მათი ჩართულობა დამოკიდებულია კანონის კონკრეტულ საკითხსა და გადაწყვეტილებით წარმოშობილ პოლიტიკაზე. პარლამენტში შემავალი ანალიტიკური სამსახურების მიერ პარლამენტის წევრებს ეძლევათ დამოუკიდებელი ექსპერტის რჩევები, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე.

<sup>107</sup> Rantsev v. Cyprus and Russia, N 25965/04, ECHR 2010.

როდესაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის საჭიროა ახალი კანონმდებლობის მიღება ან არსებულის გადასინჯვა, ამ საკითხს განიხილავს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ამგვარ გარემოებებში, კომიტეტს შეუძლია გამოიძახოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, რათა მათ დაასაბუთონ თუ რატომ მიიჩნევენ აუცილებლად ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათვის ახალი კანონის მიღებას. იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად აცნობებს პარლამენტს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

## 5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში პარლამენტის ძირითადი როლი

ერთია, როცა პარლამენტი ზედამხედველობას ახორციელებს მთავრობაზე, რომ მან აღასრულოს გადაწყვეტილებები და მეორე, როდესაც თავად პარლამენტს ეკისრება ძირითადი როლი აღსრულებაში, რადგან დარღვევა მომდინარეობს კანონმდებლობიდან და საჭიროა მისი შეცვლა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა დარღვევას აღგენს ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზის ან საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობის საფუძველზე. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევებში განსაკუთრებით დიდია პარლამენტის – როგორც საკანონმდებლო ორგანოს, როლი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისა და დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის პროცესში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განხილული იქნება რამდენიმე შემთხვევა.

### ➤ უნგრეთი

საქმეები *ლაზლო მაგიარი უნგრეთის წინააღმდეგ*<sup>108</sup> და *ტ.პ. და ა.ტ. უნგრეთის წინააღმდეგ*<sup>109</sup> ეხება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას ან იმ მომხივანთა დასჯას, რომლებიც იმყოფებიან უვადო პატიმრობაში (გადახე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე) და ასევე განაჩენთა გადასინჯვის მექანიზმის არარსებობას (მე-3 მუხლის დარღვევა). პირველ საქმეში, კონვენციის 46-ე მუხლზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა სისტემური პრობლემა, რომელიც შესაძლებელი იყო შეხებოდა სხვა მსგავს საჩივრებსაც. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების სათანადო აღსრულების უზრუნველსაყოფად მოპასუხე სახელმწიფოს უნდა წარმოედგინა უვადო პატიმრობის შესახებ განაჩენის გადასინჯვის სისტემის რეფორმა – უმჯობესია კანონმდებლობის გზით.

<sup>108</sup> László Magyar v. Hungary, no. 73593/10, 20 მაისი 2014.

<sup>109</sup> T.P. and A.T. v. Hungary, nos. 37871/14 და 73986/14, 4 ოქტომბერი 2016.

2015 წლის იანვარში კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, წარდგენილი იქნა მექანიზმი იმ უვადო პატიმართა განაჩენთა გადასინჯვის შესახებ, რომლებიც უკვე 40 წელია სასჯელს იხდიან. ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია ახალი კანონმდებლობა, რომელიც წარდგენილ იქნა ტ.პ. და ა.ტ. საქმის შემდეგ. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უნდა დალოდებოდნენ „სავალდებულო შეწყალების პროცედურის“ დაწყებას და ამავდროულად არ არსებობდა შესაბამისი პროცედურული გარანტიები, აქედან გამომდინარე, მომჩივნის უვადო პატიმრობის შესახებ განაჩენი არ შეიძლებოდა ფაქტობრივად მიჩნეული ყოფილიყო როგორც შემცირებადი, კონვენციის მე-3 მუხლის მიზნების შესაბამისად.<sup>110</sup>

❖ მინისტრთა კომიტეტმა ეს საქმეები განიხილა 2018 წლის 5-7 ივნისის 1318-ე (DH) შეხვედრაზე. ინდივიდუალურ ღონისძიებასთან დაკავშირებით, მან აღშფოთება გამოთქვა, რომ მომჩივნები ტ.პ. და ა.ტ. ჯერ კიდევ უვადო პატიმრობაში იმყოფებოდნენ და მათი განაჩენი ვერ გადაიხედებოდა „სავალდებულო შეწყალების პროცედურის“ შესაბამისად, რომელიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნია. მან აღნიშნა, რომ ინდივიდუალური ღონისძიებები დაკავშირებულია ზოგად ღონისძიებებთან და მოუწოდა ხელისუფლებას წარმოედგინა ინფორმაცია შესაძლო მომდევნო ღონისძიებების შესახებ მომჩივნის სიტუაციასთან დაკავშირებით *ლასზლო მაგიარის საქმეში* (მისი უვადო პატიმრობის შესახებ განაჩენი შემსუბუქებულ იქნა იმით, რომ 40 წლიანი პატიმრობის შემდეგ მიეცა შეწყალების შესაძლებლობა).<sup>111</sup>

### ➤ იტალია

საქმე *ჩესტარო იტალიის წინააღმდეგ*<sup>112</sup> ეხებოდა ადეკვატური საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი უსაფრთხოების ძალების წევრების წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანმა, სხვა პირებთან ერთად, პოლიციის მიერ სკოლაში განხორციელებული ოპერაციის შედეგად მიიღო ძალიან სერიოზული დაზიანებები. აპლიკანტი აღნიშნულ სკოლაში დამეს ათევედა 2001 წლის ივლისში, გენუაში, 8 სამიტის ფარგლებში საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის შემდეგ. სამიტთან დაკავშირებული შეკრება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის განსაკუთრებული ძალადობრივი დაპირისპირებით და ქონების მასშტაბური დაზიანებით გამოირჩეოდა. სკოლაში მომხდარი

<sup>110</sup> პარაგრაფები 49-50.

<sup>111</sup> იხ. ბმული [https://search.coe.int/cm/pages/result\\_details.aspx?objectid=090000168088f063](https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=090000168088f063).

<sup>112</sup> Cestaro v. Italy, no. 6884/11, 7 აპრილი 2015.

ინციდენტის გამო პოლიციის ოფიცრებისა და ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის საქციელი იყო სასტიკი და სადისტური. მიუხედავად ამისა, არც ერთი პოლიციელი არ გასამართლებულა სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენებისთვის, რადგან შესაბამისი ბრალდება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ხანდაზმული გახდა. დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ ის პირები, რომლებმაც სკოლაში მომხდარი ფაქტების შესახებ სიმართლის დამალვა სცადეს და უკანონოდ დააკავეს დემონსტრაციაში მონაწილე პირები. მსჯავრდებულებს შედარებით მსუბუქი სანქციები დაეკისრა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული ძალადობა წამებად მიიჩნია. მან ასევე დაადგინა, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი პროცედურები არ იყო ეფექტური, რადგან არ მომხდარა იმ პოლიციელების იდენტიფიცირება ან დასჯა, რომლებიც თავს დაესხნენ მოძრაობას (მე-3 მუხლის არსებითი და პროცედურული დარღვევები). ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იტალიური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა „წამების ქმედების დასჯის არაადეკვატურ ვადებს“, აგრეთვე ის „მოკლებული იყო ყოველგვარ შემაკავებელ ეფექტს, რომელიც თავიდან აიცილებდა მე-3 მუხლის სამომავლო დარღვევებს“. კონვენციის 46-ე მუხლის კონტექსტში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „აუცილებელი იყო იტალიის შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში სამართლებრივი მექანიზმების დაფუძნება, რომლებიც შესაბამის პასუხისმგებლობას დააკისრებდა მე-3 მუხლის ფარგლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ქმედებებზე პასუხისმგებელ პირებს“.

მინისტრთა კომიტეტმა ეს საქმეები განიხილა 2017 წლის მარტის 1280-ე (DH) შეხვედრაზე. მან შეშფოთებით აღნიშნა, რომ „ხანდაზმულობის გამო, შესაძლებელი აღარაა ხელახალი გამოძიების დაწყება პოლიციის მხრიდან მოძრაობის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტებზე“, ასე რომ „აღნიშნულ საქმეში არცერთი ინდივიდუალური ღონისძიების გამოყენება აღარაა შესაძლებელი“. ზოგად ღონისძიებებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პარლამენტის წინაშე უკვე წარდგენილი იყო კანონპროექტი, რომელიც წამებას სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად აქცევდა. 2017 წლის ივლისში იტალიის ხელისუფლებამ აცნობა მინისტრთა კომიტეტს, რომ მიღებული იქნა 2017 წლის 14 ივლისის კანონი №110, რომელიც წამებას სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევდა (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 613-ე მუხლი). იტალიის ხელისუფლების განცხადებით, აღნიშნული კანონმდებლობა შეესაბამებოდა კონვენციასა და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს. მინისტრთა კომიტეტმა ასევე მოითხოვა ინფორმაცია იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც შეეხება სამართალდამცავთა

პასუხისმგებლობას და ასევე მოითხოვა იმ სამართალდამცავთა იდენტიფიკაცია, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ წინამდებარე საქმის მსგავს ღონისძიებებში.<sup>113</sup>

## 6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის განმეორებითი მიმართვის შესაძლებლობა – უკან სტრასბურგისკენ

პრაქტიკაში განსაკუთრებით საინტერესო საკითხია, ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნაზე უარის ან აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფუძველით, შესაძლებელია თუ არა სტრასბურგის სასამართლოსთვის კიდევ ერთხელ მიმართვა.

სასამართლოს წინაშე არაერთი საჩივარი იქნა წარდგენილი, რომელიც ეხებოდა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან მიმართებით მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენს შემდეგი: ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სასამართლო იხილავს იმავე ფაქტებს, რომელიც წინა საქმეში იყო მოცემული, თუ რომ არსებობს ახალი ფაქტი ან ფაქტები, რომლებსაც სასამართლო პირველ გადაწყვეტილებაში მხედველობაში ვერ მიიღებდა<sup>114</sup>? ეს საკითხი მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქედან, რომ პირველ შემთხვევაში აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი „როგორც არსებითად იგივე“, კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. მართალია, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ გადაწყვეტილების შედეგად დაკისრებული ვალდებულებები, თუმცა მას ხელს არაფერი უშლის განიხილოს შემდეგი საჩივარი, რომელიც წამოჭრის ახალ საკითხს და რომელსაც სასამართლოს წინა გადაწყვეტილებით პასუხი არ გასცემია<sup>115</sup>.

ეროვნული სასამართლოების უარი, სამართალწარმოების განახლებაზე განიხილება კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განსახილველ საქმეში კონვენციის სხვა სადავო უფლებასთან ერთობლიობაში, ვინაიდან დადგენილია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი საქმის ხელახლა განხილვის უფლება.<sup>116</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენცია არ აღჭურავს მას იურისდიქციით, მოუწოდოს სახელმწიფოებს გააუქმონ მსჯავრდება ან საქმე

<sup>113</sup> იხ. ბმული: [https://search.coe.int/cm/pages/result\\_details.aspx?objectid=09000016806dda3b](https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=09000016806dda3b) (ბოლოს ნანახია : 19.11.2019).

<sup>114</sup> Olsson v. Sweden (no. 2), 27 ნოემბერი 1992, Series A no. 250, § 94.

<sup>115</sup> Mehemi v. France (No. 2), no. 53470/99, 10 აპრილი, 2003, § 43.

<sup>116</sup> Steck-Risch and Others v. Lichtenstein, no. 29061/08, 11 მაისი, 2010.

ხელახლა განიხილონ<sup>117</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობა, ამ კანონმდებლობის მართებულად გამოყენების შედეგად სამართალწარმოების განახლებაზე უარი არ არღვევს კონვენციის 46-ე მუხლს.<sup>118</sup> მაგალითად, დადგენილ იქნა, რომ საქმის წარმოების განახლებაზე უარი, იმ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც სამართალწარმოება განახლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არის შესაძლებლობა იმისა, რომ სამართალწარმოების შედეგად განსხვავებული შედეგი დადგება, კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად იქნა მიჩნეული.<sup>119</sup>

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო არ განიხილავს საჩივარს, რომელიც „არსებითად იგივეა და უკვე განხილულია სასამართლოს მიერ“. მიუხედავად ამისა, მომჩივანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე შეუძლია წარადგინოს ახალი საჩივარი, სადაც იდავებს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების, უფრო კონკრეტულად კი ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის პროცესში, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ახალ დარღვევას. ეს წარმოშობს სასამართლოს რაციონე მატერიალ იურისდიქციისა და შესაბამისად ახალი საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

კონვენციის 46.2-5 და 39.4 მუხლებით ნათლად არის დადგენილი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში, სადაც დადგენილია კონვენციით გათვალისწინებული მუხლების დარღვევა; ეს საკითხი აგრეთვე მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და მეგობრული მორიგების პირობების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეგლამენტით.<sup>120</sup> მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობა მინისტრთა კომიტეტის ვალდებულებაა, სწორედ კომიტეტს აქვს კომუნიკაცია მთავრობასა და დაზარალებულ მხარესთან<sup>121</sup>, რათა მოიპოვოს ინფორმაცია დარღვევის აღმოფხვრის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე. ზოგადად, სასამართლო უარს

<sup>117</sup> Lyons and Others v. the United Kingdom, no. 15227/03, 8 ივლისი, 2003.

<sup>118</sup> Schelling v. Austria, no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> მინისტრთა კომიტეტის წესები გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობისა და მეგობრული მორიგების პირობებზე, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა 2006 წლის 10 მაისს 964-ე შეხვედრაზე მიიღო, კერძოდ, წესი 1, 6, 7, 8, 9, 16 და 17.

<sup>121</sup> იქვე, წესი 9(1) მინისტრთა კომიტეტთან კომუნიკაციის შესახებ, წესი 9(2), რომელიც „არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს“ კომუნიკაციის ნებას რთავს.



აცხადებს საჩივრის განხილვაზე, რომელიც ექსკლუზიურად ეხება მისი გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან იმის დადგენა, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება, მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციაა.<sup>122</sup> თუმცა, მინისტრთა კომიტეტის მიერ მიმდინარე ზედამხედველობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ახალი საჩივრის დასაშვებობის შეფასების დროს. სასამართლოს განსჯადობა დამოკიდებულია ახალი ელემენტებისა და საკითხების არსებობაზე, რომელიც არ იყო განხილული პირველი საჩივრის ფარგლებში.<sup>123</sup> ახალი დარღვევა შეიძლება წარმოიშვას გადაწყვეტილების აღსრულების დროს<sup>124</sup> და, შესაბამისად, წარმოიქმნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველი „ახალი საკითხი“. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ კონვენციის 32.2 მუხლის მიხედვით, საბოლოოდ „სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ სადავო საკითხს სასამართლო წყვეტს.“<sup>125</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონვენციის 35.2.ბ. მუხლით გათვალისწინებული საჩივრის დასაშვებობის *რაციონე მატერიაე* კრიტერიუმი ადგენს, რომ საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი თუ ის სასამართლოს მიერ უკვე განხილულია და არ შეიცავს შესატყვის ახალ ინფორმაციას. ფორმულირება „არსებითად იგივე“ გულისხმობს ერთი და იმავე პირის მიერ იმავე ფაქტებზე დაფუძნებით წარდგენილ საჩივარს.<sup>126</sup> თუ მომჩივანი წარადგენს ახალ ინფორმაციას, რომელიც სასამართლოს წინა საჩივრის განხილვის დროს არ შეუსწავლია, ის საჩივარს დასაშვებად ცნობს, ხოლო იმ საჩივრებს, რომლებიც ახალი სამართლებრივი არგუმენტებით მხოლოდ წინა საჩივარს ამყარებენ, დაუშვებლად მიიჩნევს.<sup>127</sup>

ამდენად, არის თუ არა სტრასბურგის სასამართლო სათანადო *რაციონე მატერიაე* დამოკიდებულია იმაზე, საჩივარი „შეიცავს შესატყვის ახალ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ახალი დარღვევა განაპირობოს“ თუ „ეხება მხოლოდ თავდაპირველი საჩივრის აღსრულებას, ახალი ფაქტების მითითების

<sup>122</sup> *Mehemi v. France (No. 2)*, no. 53470/99, 10 აპრილი, 2003, § 43; *Schelling v. Austria (No.2)*, no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010.

<sup>123</sup> *Steck-Risch and Others v. Lichtenstein*, no. 29061/08, 11 მაისი, 2010; *Kafkaris v. Cyprus*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, § 75; *Schelling v. Austria, (No.2)*, no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010.; *Mehemi v. France (no. 2)*, no. 53470/99, 10 აპრილი, 2003, § 43.

<sup>124</sup> *Lyons and Others v. the United Kingdom*, no. 15227/03, 8 ივლისი, 2003; *Kafkaris v. Cyprus*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, § 75.

<sup>125</sup> *Emre v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011, § 39; *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 32772/02, 30 ივნისი, 2009, § 66.

<sup>126</sup> *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 32772/02, 30 ივნისი, 2009, § 63.

<sup>127</sup> *Kafkaris v. Cyprus*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, § 68.

გარეშე”.<sup>128</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მოცემულია მაგალითები იმისა, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ახალ ინფორმაციად და, აგრეთვე, რა შემთხვევაში არ მიიჩნევა, რომ სახეზეა „შესაბამისი ახალი გარემოებები, რომლებიც ახალ დარღვევას განაპირობებენ”.<sup>129</sup> მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *VgT შვეიცარიის წინააღმდეგ (no. 2)* სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნაზე ფედერალური სასამართლოს უარი ეფუძნებოდა ახალ გარემოებებს და ამრიგად მის უარს სადავო რეკლამის ეთერში გასვლის ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით შექმლო გამოეწვია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.<sup>130</sup> ანალოგიურად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *ემრე შვეიცარიის წინააღმდეგ*<sup>131</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო ახალი ფაქტები, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის დროს არ შეისწავლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყველა არგუმენტი და დარღვევის აღმოფხვრა სცადა სასამართლოს გადაწყვეტილების ერთი ასპექტის განხილვით, რომელიც ეხებოდა მომჩივნის გაძევების პერმანენტულ ბუნებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ახალი ელემენტი შეიძლებოდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის საფუძველი გამხდარიყო. საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა 46-ე მუხლთან ერთობლიობაში. თუმცა, გადაწყვეტილებაში საქმეზე *სტორკი გერმანიის წინააღმდეგ*<sup>132</sup> სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ის არ იყო უფლებამოსილი განეხილა საჩივარი, რადგან ის არ წარმოშობდა „ახალ საკითხს”, რომელიც წინა გადაწყვეტილების ფარგლებში არ იყო განხილული. აღნიშნული საქმე ეხებოდა ეროვნული სასამართლოების უარს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განეახლებინათ სამოქალაქო სამართალწარმოება კერძო კლინიკის წინააღმდეგ. სასამართლოს განცხადებით, საკითხი ეხებოდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქცია დადგინდება მაშინ, როდესაც ეროვნული სასამართლოები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილების მიღების შედეგად საქმის ხელახლა განხილვის დროს, დაეყრდნობიან ახალ საფუძველებს<sup>133</sup>, აგრეთვე მაშინ, როდესაც ისინი იყენებენ სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპებისა

<sup>128</sup> *Steck-Risch and Others v. Lichtenstein*, no. 29061/08, 11 მაისი, 2010.

<sup>129</sup> *Kafkaris v. Cyprus*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, §§ 59, 70, 76.

<sup>130</sup> *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 32772/02, 30 ივნისი, 2009, §65.

<sup>131</sup> *Emre v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011.

<sup>132</sup> *Storck v. Germany*, N486/14, 19 ივლისი, 2018.

<sup>133</sup> *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, § 65.

და პრეცედენტული სამართლის იმგვარ ანალიზს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება თავდაპირველ საქმეში დადგენილი დარღვევის დროს გამოყენებული პრინციპებისგან.<sup>134</sup> მსგავსი ახალი ელემენტები, რომლებიც ცვლიან მომჩივნის მდგომარეობას, საკმარისია ახალი დარღვევის გამოწვევისთვის და ამდენად კონვენციის 35 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით საჩივრის დასაშვებად ცნობისთვის.

ანალოგიურად, ბოლო ინსტანციის ეროვნული სასამართლოს უარი განაახლოს სამართალწარმოება იმ საფუძველით, რომ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კონვენციის დარღვევას აღგენს, ცვლის მომჩივნის მდგომარეობას და ამდენად შეიძლება გამოიწვიოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ახალი დარღვევა [იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ დონეზე არ არსებობს დარღვევის აღმოფხვრის სხვა ეფექტური საშუალება]. მსგავს შემთხვევას წარმოადგენს საქმე, როდესაც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ უგულებელყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას<sup>135</sup> ან სტრასბურგის სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილებისგან განსხვავებულად განმარტავს კონვენციურ უფლებებს. მსგავს საქმეებში შიდასახელმწიფოებრივი სისტემა მომჩივანს ვეღარ მიაკუთვნებს პრაქტიკულ და ეფექტურ ზიანის ანაზღაურებას.

➤ **მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობამ არ უნდა გამოიწვიოს საჩივრის წარდგენის ექვსთვიანი ვადის დარღვევა**

იმ საქმეებზე, სადაც სავარაუდო ახალი დარღვევა ეხება გადაწყვეტილების შემდეგ პერიოდში სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მომჩივნისთვის იმ მოთხოვნის დაწესება, რომ ახალი საჩივრის წარდგენამდე დაელოდოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის დასრულებას, წარმოშობს რისკს იმისა, რომ ეს საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი კონვენციის 35.1 მუხლით განსაზღვრული ექვსთვიანი ვადის დარღვევის გამო. იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ მსგავს საქმეებზე ეფექტურად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, მან, მიუხედავად მინისტრთა კომიტეტის მიმდინარე ზედამხედველობისა, დასაშვებად უნდა ცნოს საქმეები, სადაც არსებობს რისკი იმისა, რომ ახალი დარღვევა არ იქნება განხილული იმ მოთხოვნების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის 35.1 მუხლში. ეს ასახავს იმ პრინციპს, რომ კონვენცია მიზნად ისახავს იმ უფლებათა უზრუნველყოფას,

<sup>134</sup> *Emre v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011, § 41.

<sup>135</sup> *Emre v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011.

რომლებიც არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანია.<sup>136</sup>

➤ **საქმის ხელახლა განხილვაზე უარი წარმოადგენს დასაშვებობის საფუძველს იმ საქმეებში, რომლებიც ეხება არსებით უფლებებს**

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვის უფლებას, მსგავს განხილვაზე უარს შეუძლია გამოიწვიოს კონვენციის ახალი დარღვევა, როდესაც განსახილველია არა კონვენციის მე-6 მუხლის პროცედურული ნაწილით გათვალისწინებული უფლებები, არამედ კონვენციით უზრუნველყოფილი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები. სასამართლომ ამ განსხვავებას ხაზი გაუსვა *VgT (no. 2)* საქმეზე, სადაც მან ერთმანეთისგან გამიჯნა საქმის ხელახლა განხილვა, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის საკითხს წამოჭრიდა, იმ სამართალწარმოებისგან, რომელიც ეხებოდა მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებს, მაგალითად, როგორცაა კონვენციის მე-10 მუხლი.

საჩივრები, სადაც მომჩივნები ამტკიცებდნენ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას 46-ე მუხლთან ერთობლიობაში გარკვეულ შემთხვევებში დაუშვებლად იქნა ცნობილი, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მხარეები სპეკულირებდნენ სამართალწარმოების შედეგით, კერძოდ, მათი მტკიცებით, სამართალწარმოება განსხვავებული შედეგით დასრულდებოდა, დაცული რომ ყოფილიყო კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვა არ იყო აუცილებელი დარღვევის გამოსასწორებლად, ვინაიდან არ არსებობდა იმ რწმენის საფუძველი, რომ ეროვნულ დონეზე საქმის განხილვა შეცვლიდა მის შედეგს.<sup>137</sup>

ამის საპირისპიროდ, არსებითი უფლების დარღვევის შემთხვევაში, საქმის ხელახლა განხილვას შეეძლება მომჩივნის მდგომარეობის შეცვლა და სასამართლოს მიერ თავდაპირველად დადგენილი დარღვევის გამოსწორება. თუ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და ეროვნულ დონეზე არ იარსებებს დარღვევის გამოსწორების სხვა ადეკვატური საშუალება, მომჩივნის უფლების თავდაპირველი დარღვევა უფრო მძიმე ხასიათს შეიძენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, სახელმწიფოსათვის დაკისრებული დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოხატვას ჰპოვებს კონვენციის მე-13 მუხლში, რომელიც კონვენციით

<sup>136</sup> *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011, § 46; *Artico v. Italy*, no. 6694/74, 13 მაისი, 1980, § 33.

<sup>137</sup> *Schelling v. Austria*, no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010, *Steck-Risch and Others v. Lichtenstein*, no. 29061/08, 11 მაისი, 2010.

დადგენილი უფლების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. ზიანის ანაზღაურება ეფექტიანი უნდა იყოს როგორც პრაქტიკაში, ასევე სამართალში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის გამოხატულია საერთაშორისო დაცვის სისტემის მეშვეობით, კერძოდ კონვენციის 46.1 მუხლით, რომელიც უთითებს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათზე და კონვენციის 41-ე მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან დაკმაყოფილებას. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, კონვენციის 46-ე და 41-ე მუხლები ერთობლიობაში ადგენენ ზიანის ანაზღაურების ღონისძიებათა სამართლებრივ ჩარჩოს.

მართალია, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულება, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებების<sup>138</sup> დეკლარაციული ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო იტოვებს დისკრეციას, აირჩიოს თუ რა საშუალებით გამოასწორებს დარღვევას.<sup>139</sup> ეს საშუალება უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ დასკვნებს.<sup>140</sup> იმის განსაზღვრისას გადაწყვეტილების აღსრულების ღონისძიება, (მაგ., როგორცაა საქმის ხელახლა განხილვა) განაპირობებს თუ არა კონვენციის ახალ დარღვევას, განხილულ უნდა იქნეს აღნიშნული ღონისძიება შეესაბამება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებას და მასში მოცემულ დასკვნებს.<sup>141</sup> სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს შეიძლება მიუთითოს „თუ რა ტიპის ღონისძიებები შეიძლება გატარდეს, რათა მდგომარეობა აღმოიფხვრას“<sup>142</sup> და განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეიძლება სახელმწიფოს დაავალოს კონკრეტული ინდივიდუალური ღონისძიების გატარება.<sup>143</sup> საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ყველაზე სათანადო ფორმა უნდა შეირჩეს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

ამრიგად, მიუხედავად ხელშემკვრელი სახელმწიფოების დისკრეციისა გადაწყვეტილების აღსრულების ფორმასთან დაკავშირებით, მათ მიერ გატარებული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს დასკვნებს.<sup>144</sup>

<sup>138</sup> *Marckx v. Belgium*, no. 6833/74, 13 ივნისი, 1979, § 58; *Kafkaris v. Cyprus*, no. 9644/09, 21 ივნისი, 2011, §73.

<sup>139</sup> *Lyons and Others v. the United Kingdom*, no. 15227/03, 8 ივლისი, 2003.

<sup>140</sup> *Scozzari and Giunta v. Italy*, nos. 39221/98 და 41963/98, 13 ივლისი, 2000, § 249; *Lyons and Others v. the United Kingdom*, no. 15227/03, 8 ივლისი, 2003.; *Schelling v. Austria*, no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010, *Steck-Risch and Others v. Lichtenstein*, no. 29061/08, 11 მაისი, 2010.

<sup>141</sup> *Emre v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011, § 68.

<sup>142</sup> *VgT v. Switzerland (no. 2)*, no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011, § 88.

<sup>143</sup> *Assanidze v. Georgia*, no. 71503/01, 8 აპრილი, 2004, §§ 202-203.

<sup>144</sup> *Scozzari and Giunta v. Italy*, nos. 39221/98 და 41963/98, 13 ივლისი, 2000, § 249; *Mehemi v. France (no. 2)*, no. 53470/99, 10 აპრილი, 2003, § 43.

## 7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება ეროვნულ დონეზე

ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცესის სათანადოდ გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ ორი საკვანძო ასპექტი ამ მიმართულებით:

- როგორ არის აღნიშნული პროცესი დარეგულირებული ეროვნული კანონმდებლობით
- რა როლი აკისრიათ შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს აღსრულების პროცესის მიმდინარეობისას.

სწორედ მოცემულ საკითხებს ეხება კვლევის ეს კონკრეტული თავი, რომელიც ხსენებულ ასპექტებს საქართველოს მაგალითზე მიმოიხილავს.

### 7.1. ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კუთხით, აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოცემულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვასა (სისხლის სამართლის საქმეებზე) და საქმის წარმოების განახლების (სამოქალაქო სამართლის საქმეებზე) შესაძლებლობას.

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში** მოცემული პროცედურა მოწესრიგებულია 310-314 მუხლებით, კერძოდ, 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად,

*„განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:*

*ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;“*

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების)

საფუძველზე საქმის წარმოების განახლების პროცედურას აწესრიგებს სსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისადაც,

*„კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:*

*ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს;“*

აღნიშნულთან მიმართებით ასევე საგულისხმოა მოცემული მუხლის მე-4 ნაწილიც, რომელიც კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს ეხება. მის თანახმად,

*„4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.“*

რაც შეეხება გასაჩივრების ვადებს, აღსანიშნავია, რომ სისხლის საპროცესო სამართალში განაჩენის გადასინჯვის ვადა განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში საქმის წარმოების განახლებისთვის დადგენილი ვადისგან და შეადგენს 1 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან. სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში კი აღნიშნული ვადა წარმოადგენს 3 თვეს, რომელიც აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან აითვლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესს აწესრიგებს სსსკ-ის 314-ე მუხლი, რომლის თანახმად,

*„1. საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში. საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.*

*2. საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლო ან უცვლელად ტოვებს განაჩენს, ან ცვლის მას, ან აუქმებს მას და ადგენს ახალ განაჩენს.*

*3. სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით.*

4. საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით, მისი დასაშვებობის შემოწმების გარეშე.“

რაც შეეხება ამ კუთხით სამართლებრივ მოწესრიგებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, აღსანიშნავია, რომ ის განსხვავდება სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში განსაზღვრული პროცედურისგან და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

*„1. განცხადება .. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანს სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების .. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.*

2. თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.“

ამდენად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე საქმეთა გადასინჯვის შესახებ საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვის უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, უშუალოდ რომლის მიმართაც არის დარღვეული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა საქმეზე არსებული იდენტური დარღვევა ვერ გახდება საქმის გადასინჯვის საფუძველი.

## 7.2. სახელისუფლებო ორგანოების როლი

როგორც არაერთხელ აღინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა/განჩინებათა ეროვნულ დონეზე აღსრულების პროცესში ჩართულია შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლების სამივე შტო – კერძოდ, როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლება. სწორედ ამ კუთხით, მოცემულ თავში განხილული იქნება ხელისუფლების თითოეული ორგანოს როლი გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში უშუალოდ საქართველოს შემთხვევაში. უნდა ითქვას, რომ ის უწყებები, რომლებსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვთ აღნიშნული მიმართულებით არის იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტი და საერთო სასამართლოები.



## იუსტიციის სამინისტროს როლი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. სწორედ იუსტიციის სამინისტროა ის პასუხისმგებელი უწყება, რომელიც სახელმწიფოს სახელით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სამოქმედო გეგმებსა და სამოქმედო ანგარიშებს. ამ როლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, იუსტიციის სამინისტროში ფუნქციონირებს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის სფერო მოიცავს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის ორგანიზებას. დეპარტამენტი სახელმწიფოს სახელით წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, ორგანიზებას უწევს და ამუშავებს სახელმწიფო დაწესებულებიდან და სხვა ორგანოებიდან მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის, მასალის, საქმეების, დასკვნებისა და სხვა დოკუმენტაციის დროულად მიღებას. გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციებში შედის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის პოპულარიზაცია. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის სათანადოდ მომზადებული სამოქმედო გეგმისა და ანგარიშის წარდგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულებისთვის და აგრეთვე მომავალში სავარაუდო დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ეს განსაკუთრებით ვრცელდება ე.წ. წამყვან საქმეებზე ზოგადი ღონისძიების შერჩევაზე, ვინაიდან წამყვან საქმეში გამოვლენილი სისტემური პრობლემის აღმოსაფხვრელად გატარებული შესაბამისი ზოგადი ღონისძიება, განაპირობებს განმეორებითი საქმეების შემცირებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან და, როგორც წესი, განსაზღვრულ საქმეებთან დაკავშირებით დადგენილი პერიოდულობით წარადგენს სამოქმედო გეგმებსა და სამოქმედო ანგარიშებს. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრო,

როგორც წესი, პასუხობს აღსრულების მიმდინარეობის დროს არასამთავრობო ორგანიზაციის/სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ კომუნიკაციებს.<sup>145</sup>

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ერთ-ერთ ზოგად ღონისძიებას წარმოადგენს გადაწყვეტილებების თარგმნა და გავრცელება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჭიანობა, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ქართულ ენაზე თარგმნა და შემდეგ მათი ვებგვერდზე განთავსება.<sup>146</sup>

## პარლამენტის როლი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1-ლი აპრილისა, წარუდგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშს იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც წინა წელს მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საბოლოო რეზოლუცია, ასევე სამოქმედო გეგმას მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საკითხს. კერძოდ, წამყვანი კომიტეტი ეცნობა დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებსა და შეფასებებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის რეგლამენტში არ არის განსაზღვრული, თუ რომელი კომიტეტის უფლებამოსილებაა მსგავსი ზედამხედველობა. წამყვან კომიტეტს, რეგლამენტის მიხედვით, ბიურო განსაზღვრავს. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთად განისაზღვრა იურიდიული კომიტეტი და აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.

საქართველოს პარლამენტი ანგარიშის მოსმენის შემდეგ გასცემს რეკომენდაციებს, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მთავრობას ეგზავნება წერილობითი მიმართვა ამ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. პარლამენტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში კომიტეტის

<sup>145</sup> მაგალითისთვის, იხ. დარბაზშილი საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე არასამთავრობო ორგანიზაციის კომუნიკაცია და საქართველოს მთავრობის პასუხი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680744b02](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680744b02)[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680744b02](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680744b02)

<sup>146</sup> იხ. ვებგვერდი: <https://justice.gov.ge/Ministry/Index/154>

სხდომაზე ხდება საპარლამენტო კომიტეტების მოწვევა, სადაც იმართება რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მოსმენა და განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი 2016 წელს დაინერგა. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა სამჯერ (2016-2018 წწ.) განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი ანგარიშები.

2017 წლის პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ინფორმაციას იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც 2016 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა საბოლოო რეზოლუციები.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო საბოლოო რეზოლუციები და აღსრულებულად გამოაცხადა ექვსი საქმე (2 განჩინება და 4 გადაწყვეტილება).<sup>147</sup>

2018 წლის პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ინფორმაციას იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც 2017 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა საბოლოო რეზოლუციები.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების საფუძველზე, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო საბოლოო რეზოლუციები და

---

<sup>147</sup> 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ; იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147998>. (ბოლოს ნანახია: 10.12.2019).

აღსრულებულად გამოაცხადა 13 საქმე (6 განჩინება და 7 გადაწყვეტილება), რაც წინა წელთან შედარებით ბევრად მეტია.<sup>148</sup>

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისში არასამთავრობო ორგანიზაცია - „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“, წარმოადგინა ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.<sup>149</sup> ხოლო 2019 წლის 27 მარტს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ წარმოადგინა მოსაზრებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ანგარიშზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა/განჩინებათა აღსრულების მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული ანგარიშების წარდგენა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების განხორციელებისთანავე იყო შესაძლებელი, მსგავსი ანგარიში პარლამენტისთვის 2019 წლამდე არ ყოფილა წარდგენილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესის სრულყოფისათვის და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა საკითხების იმპლემენტაციისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერებას, საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების კუთხით. ამ მიზნის მიღწევას პროექტი რამდენიმე აქტივობის შესრულებით გეგმავს, მათ შორისაა სამუშაო ჯგუფის დაარსება, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარლამენტს, სამთავრობო ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე.<sup>150</sup>

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი საქართველოში

---

<sup>148</sup> 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ; იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179493>, (ბოლოს ნანახია: 10.12.2019).

<sup>149</sup> იხ. ბმულზე <https://article42.ge/media/1001447/2019/07/09/42f7933b926d7298fecdb5a7db5e6aed.pdf>, (ბოლოს ნანახია: 10.12.2019).

<sup>150</sup> იხ. <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/-/georgia-parliamentary-oversight-over-the-execution-of-echr-judgments>

უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს და მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად იდგმება ქმედითი ნაბიჯები.

## სასამართლოს როლი

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგადად, სასამართლო სისტემის და უშუალოდ, მოსამართლის როლი.

მოცემულ საკითხს ეხება ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-ის) დასკვნა № 9 „საერთაშორისო და ევროპული სამართლის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში ეროვნული მოსამართლეების როლის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ

*“სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გადასასინჯად სახელმწიფოთა უმეტესობაში უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამისი სახელმწიფოს წინააღმდეგ.”<sup>151</sup>*

ხსენებულ დასკვნაში CCJE ასევე ეხება უშუალოდ აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს და „აცნობიერებს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ არის დაწესებული ეროვნული კანონმდებლობის მიერ; ზოგიერთ სახელმწიფოში აღსრულების ზომები შეიძლება დაწესდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.“<sup>152</sup>

რაც ყველაზე ყურადსაღებია, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული სასამართლოს მოსამართლეების როლს და აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას აკეთებს:

*„ხაზს უსვამს რა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ასახული საერთო მნიშვნელოვანი უფლებების დაცვის მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ ეროვნული მოსამართლეები ასევე არიან ევროპული მოსამართლეები, CCJE მოუწოდებს მოსამართლეებს, შეძლებისდაგვარად გამოიყენონ ყველა არსებული რესურსი კანონის განმარტების პროცესში ან არსებული საპროცესო სამართლის ფარგლებში ისე, რომ: ა) მოხდეს საქმეების წარმოების განახლება თუ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, და ბ) დარღვევების შემთხვევაში*

<sup>151</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-ის) დასკვნა № 9 „საერთაშორისო და ევროპული სამართლის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში ეროვნული მოსამართლეების როლის შესახებ“, § 46.

<sup>152</sup> იქვე; § 48.

*კომპენსაცია დადგინდეს დაუყოვნებლივ. ეროვნული სასამართლო სისტემის აღნიშნული როლის ხელ შეწყობისთვის კანონმდებელმა უნდა განიხილოს საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების საკითხიც.“<sup>153</sup>*

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-ის) დასკვნა №13 „სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში მოსამართლეთა როლის შესახებ“, რომელიც მე-9 დასკვნაზე მიუთითებს და ხაზს უსვამს, რომ საბჭოს მიერ საგანგებოდ განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფდეს მოსამართლე ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობას.<sup>154</sup>

## **8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე ეროვნულ დონეზე განახლებულ საქმეთა ანალიზი**

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა საქმეები, რომლებზეც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე განახლდა წარმოება. აღნიშნული მიზნად ისახავდა იმ ტენდენციების გამოკვეთას, რომლებიც შეინიშნება გადაწყვეტილებებში, რომლებიც მიღებულია ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე საქმეთა გადასინჯვის/ხელახლა განხილვის შედეგად. აგრეთვე, დიდი ინტერესის საგანია მსგავსი საქმეების შედეგი, კერძოდ,

- განახლებული წარმოების ფარგლებში შეიცვალა თუ არა გადაწყვეტილება და რა როლი ითამაშა ამაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ/განჩინებამ;
- გადაწყვეტილებათა დასაბუთების თვალსაზრისით, სასამართლოები მიმოიხილავენ თუ არა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს/განჩინებებს, რომლებიც საფუძველად დაედო საქმის წარმოების განახლებას;
- ამყარებენ თუ არა მათ გადაწყვეტილებებს, [სტრასბურგის] სასამართლოს დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებაში მოცემულ დასკვნებს;

---

<sup>153</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-ის) დასკვნა № 9 „საერთაშორისო და ევროპული სამართლის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში ეროვნული მოსამართლეების როლის შესახებ“, § 49.

<sup>154</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-ის) დასკვნა №13 „სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში მოსამართლეთა როლის შესახებ“, § 48.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განჩინება აპრიორი განაპირობებს თუ არა საქმის გადასინჯვის/ხელახლა განხილვის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუ არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.

საქართველოს სამივე ინსტანციის 10-ზე მეტი გადაწყვეტილებისა და განჩინების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ დონეზე სასამართლოები როგორც არსებით გადაწყვეტილებებში, ასევე დაუშვებლობის შესახებ განჩინებებში ზოგადად მიმოიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება მოცემულ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა შუქზე ეროვნული სასამართლოს მოსამართლეების მიერ განახლებულ საქმეებში განვითარებულ მსჯელობას, საგულისხმოა, რომ ამ კუთხით სახეზე გვაქვს პოზიტიური პრაქტიკა, თუმცა ასევე იკვეთება პრობლემური ასპექტები რამდენიმე მიმართულებით, რაც სათანადო ყურადღებას იმსახურებს. სწორედ აღნიშნულ საკვანძო საკითხების ილუსტრაციას ეთმობა შემდეგი ქვეთავები, რომლებშიც დეტალურად არის მიმოხილული ზემოხსენებული საკითხები.

### **8.1. დასაბუთების საკითხი ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების გადასინჯვისას/ხელახლა განხილვისას**

როგორც წესი, სასამართლოს ნებისმიერი განჩინებისა თუ გადაწყვეტილების ანალიზის დროს მათი დასაბუთების საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. გადაწყვეტილებათა დასაბუთების მნიშვნელობა ერთიორად იზრდება, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე გადასინჯულ/ხელახლა განხილულ გადაწყვეტილებებს. წინამდებარე ქვეთავში განხილული იქნება კვლევის ფარგლებში შესწავლილი ის საქმეები, რომლებიც გამოირჩეოდა დასაბუთების მაღალი ხარისხით. სტრასბურგის გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების კარგი მაგალითების ილუსტრაცია, მომავალში მოსამართლეებს ხელს შეუწყობს მსგავსი საქმეების განხილვასა და დასაბუთებაში.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ დონეზე საქმის ხელახლა განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალში, ვინაიდან ამ შემთხვევაში განსახილველ საკითხს წარმოადგენს პირის დამნაშავეობა, რაც აგრეთვე დაკავშირებულია პირის თავისუფლების უფლებასთან. ამდენად, კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ის სისხლის

სამართლის საქმეები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შემდეგ გადაისინჯა და საქმის გადასინჯვის შედეგად დადგა გამამართლებელი განაჩენი.

ერთ-ერთ ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო 2015 წლის 16 სექტემბრის სტრასბურგის სასამართლოს საქმე *გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ*<sup>155</sup>, სადაც მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ აღვილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის დროს მოხელისათვის ქრთამის მიცემაში, რათა მას სასჯელადსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციის კონტროლის გვერდის ავლითა და მალულად, სხვადასხვა ადრესატისთვის გაეგზავნა წერილები დაწესებულების მუშაკების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე. როგორც ეროვნული სასამართლოების, აგრეთვე სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, მომჩივანი აცხადებდა, რომ მის მიმართ აღვილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას. საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ სასჯელადსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ მომჩივნის წინააღმდეგ ჩატარებული გამოძიება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრულ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. მთავრობამ ასევე ხაზი გაუსვა ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას და აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოები უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ, რათა განეხილათ მომჩივნის საქმე. საბოლოოდ, ვინაიდან მომჩივანი დაეთანხმა მთავრობის შეთავაზებულ პირობებს, რაც მოიცავდა მისთვის 2 500 ევროს გადახდას ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური ზიანის, ისევე როგორც ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად, საქმეზე შედგა მეგობრული მორიგება.

სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული განჩინების საფუძველზე, 2016 წლის 1-ელ სექტემბერს მომჩივნის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარუდგინეს შუამდგომლობა და საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტზე მითითებით ითხოვეს ც. გ.-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა.

საბოლოოდ, სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა პოზიციები, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა

<sup>155</sup> Gamsakhurdia v. Georgia, N 59835/12, 15 სექტემბერი 2015.



იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის მიმართ გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი.

სასამართლომ აგრეთვე მოიხმო სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად პოლიციელები, რომლებიც თავად უკავშირდებოდნენ და აქეზებდნენ მომჩივანს და რომელთა მოქმედება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ხასიათდებოდა არასათანადო აქტიურობით, ახორციელებდნენ დანაშაულის პროვოცირებას. სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი მიუსადაგა განსახილველი საქმის გარემოებებს და განაცხადა, რომ როგორც ფარული ჩანაწერების კრებსებიდან, ასევე სხვა მტკიცებულებებიდან იკვეთებოდა, რომ კონტროლიორი არ დაელოდა მსჯავრდებულის თხოვნას კორექსპოდენციის გატანის თაობაზე, იგი თავად იყო „აქტიური“ და თავისი ინიციატივით შესთავაზა ც. გ.-ს კორექსპოდენციის გატანაში დახმარება. ეს ყოველივე კი ხდებოდა ადმინისტრაციასთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის ფარგლებში და მიზნად ისახავდა გამსახურდიას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას.

საბოლოოდ, მტკიცებულებების საერთო ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდებოდა ც. გ.-ს მიერ საჯარო მოხელისათვის ქრთამის შეთავაზებისა და გადაცემის ფაქტი და მის მიმართ გამოტანილი უნდა ყოფილიყო გამამართლებელი განაჩენი<sup>156</sup>.

კიდევ ერთი საქმე, რომელზეც მისი გადასინჯვის შემდეგაც დადგა გამამართლებელი განაჩენი<sup>157</sup> და რომელიც გამორჩეულია დასაბუთების მაღალი ხარისხით, დაკავშირებულია სტრასბურგის სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებასთან – *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*<sup>158</sup>. აღნიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანი - ზუგდიდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს წევრი, ექიმ-თერაპევტი, დამნაშავედ იქნა ცნობილი ქრთამის აღებაში. კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეთითხნილი იყო, ვინაიდან დაზარალებული და მოწმეები სინამდვილეში პოლიციის მიერ დაქირავებული აგენტ-პროვოკატორები იყვნენ.

საქართველოს მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ხარვეზებს, რომლებმაც განაპირობა

<sup>156</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის განაჩენი საქმეზე №1აგ/841-2016.

<sup>157</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე № 1/აგ-1372-2013წ.

<sup>158</sup> Taktakishvili v. Georgia, no. N 46055/06, 16 ოქტომბერი 2012.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გარანტირებული უფლებების დარღვევა. დეკლარაციის მიხედვით,

*„მოძიების საქმეზე სამართალწარმოება წარიმართა იმ პერიოდში, როდესაც ქართული სისხლის სამართლის სისტემას . . . ჰქონდა სერიოზული ხარვეზები. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას არ გამოუვლენია ძალისხმევა სისხლის სამართლის სისტემაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად . . .“<sup>159</sup>*

სტრასბურგის სასამართლომ მთავრობის დეკლარაციაში დარღვევის ნათლად აღიარებისა და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის (3000 ევრო) გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვის გაგრძელება არ იყო გამართლებული და ის ამორიცხა საჩივართა ნუსხიდან.

აღნიშნული განჩინების საფუძველზე 2013 წლის 23 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას შუამდგომლობით მიმართა ლ. თ.-მ და მისმა ადვოკატმა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა შუამდგომლობის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და მიიჩნია, რომ ღონდა თაქთაქიშვილის მიმართ უნდა დადგენილიყო გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ვერ დგინდებოდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებაზე, რომლის საფუძველზეც მოხდა განაჩენის გადასინჯვა.

*„მოცემული გადაწყვეტილებით მხედველობაში იქნა მიღებული მოპასუხე მთავრობის მიერ, კონვენციის მე-6 (§1) (სამართლიანი სასამართლო პროცესის დარღვევის აღიარება) მუხლის შესახებ გაკეთებული დეკლარაციის შინაარსისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების პირობები და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხების შესახებ.*

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლ. თ.-ის საქმეზე ადგილი ჰქონდა გარკვეულ ხარვეზებს, რის გამოც სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა მისთვის ზიანის, 3000 ევროს გადახდის თაობაზე, რაც წარმოადგენს დარღვევის ადეკვატურ გამოსწორებას”.

<sup>159</sup> იქვე, § 17.

საბოლოოდ, სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდების სინამდვილეში, რის გამოც ლ. თ.-ს მიმართ გამოტანილ იქნა გამამართებელი განაჩენი.

მსგავსი საქმეები ნათელყოფს, რომ რიგ შემთხვევებში, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ეროვნულ დონეზე საქმეთა გადასინჯვა სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველაზე ეფექტური ინდივიდუალური ღონისძიებაა, ვინაიდან მან შეიძლება საფუძველი დაუდოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რითაც სრულად აღდგება დარღვევის დადგენამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობა (*restitutio in integrum*).

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განახლებულ საქმეებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებების შუქზე განვითარებულ მსჯელობის საილუსტრაციოდ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი,<sup>160</sup> რომელშიც სასამართლო მიუთითებს სტრასბურგის სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის განჩინებაზე – ***ვაშაკიძე და გოგბერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ***. მოცემული განჩინების შესაბამისად, რომელიც მორიგებას წარმოადგენდა, საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მეორე მომჩივნის (გოგბერაშვილის) თვითმამხილებელ ჩვენებაზე არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ადგენდა რა ბრალეულობას ორივე მომჩივნის წინააღმდეგ. აღნიშნული შეფასება უკავშირდება მოცემულ პირთა წინააღმდეგ საოლქო სასამართლოს 2006 წლის 25 ივლისის განაჩენში განვითარებულ მსჯელობას, რომლის თანახმადაც,

*„მართალია, ეგ.-მ აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი დაწერა მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად და არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ სასამართლო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განცხადებები შეიცავს სწორედ იმ ინფორმაციას, რომლის სხვა წყაროც გამოძიებას არ გააჩნდა ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდებოდა გატაცებული ადგილსამყოფლის დადგენა. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის აღნიშნული მსჯელობა სააპელაციო პალატისთვის მიუღებელია და იგი ვერ იქნება გაზიარებული... სააპელაციო პალატისთვის გაუგებარია, როდესაც სასამართლომ იმავე განაჩენში მტკიცებულებად გამოიყენა ზემოხსენებული განცხადება მაშინ, როდესაც სსსკ-ს 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აღნიშნული განცხადება არ არის*

<sup>160</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის განაჩენი საქმეზე №1აგ/273-14

მოხსენიებული ზოგადად მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებ ჩამონათვალთა შორის. ამრიგად, ზემოხსენებული განცხადებები ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულები, რომლებიც დაადასტურებდნენ ბრალდებულთა მიერ ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას.

„სააპელაციო სასამართლოს შეფასებით საოლქო სასამართლოს განაჩენი აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, ის არ არის გამყარებული უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით“;

შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მიერ გაუქმდა 2006 წლის 25 ივლისის თბილისის საოლქო სასამართლოს და 2006 წლის 24 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მომჩივნების მიმართ, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძველზე, დადგა გამამართლებელი განაჩენი.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა მხედველობაში მიღების კუთხით ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება<sup>161</sup> საქმის ხელახალი განხილვისთვის იმავე სასამართლოში დაბრუნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოცემული საქმე ეხებოდა სტრასბურგის სასამართლოს განჩინებას საქმეზე - **ვაშაკიძე საქართველოს წინააღმდეგ**, რომელშიც საქართველოს მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციის მეშვეობით, აღიარა კონვენციის მე-6 და მე-3 მუხლების დარღვევა, ერთი მხრივ, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ ხსენებულ საქმეზე გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთებისა და, მეორე მხრივ, მომჩივნის დაჭრის ფაქტზე არაეფექტური გამოძიების გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2017 წლის 05 სექტემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი გ. ვ.-ის მიმართ ძალაში დატოვა. მისი შეფასებით, მიუხედავად გ. ვ.-ს ბრალდების საქმეში გარკვეული ნაკლოვანებების არსებობისა, ეს არ წარმოადგენდა იმ ხარისხის ნაკლოვანებას, რომელიც გავლენას მოახდენდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე - ამ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის განჩინება საქმეზე №108აგ-17

ივლისის განაჩენზე. მოცემული განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც აღნიშნა, რომ

*„ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გ. ვ.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართულია ძველი - საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ საქმე უნდა განეხილა და განაჩენი გამოეტანა ამავე კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმე განიხილა და 2017 წლის 5 სექტემბრის განაჩენი გამოიტანა ამაჟამად მოქმედი - 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ეს გარემოება, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველს.“*

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემოსსენებულ მსჯელობაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ

*„სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს და განაჩენი გამოიტანოს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლომ უნდა იმსჯელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის განჩინებაში (გივი ვაშაკიძე საქართველოს წინააღმდეგ) მითითებულ პირველ გარემოებაზე, კერძოდ: მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნაკლოვანებების გამო თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენების არასაკმარის დასაბუთებასთან მიმართებით.“*

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განახლებულ საქმეებს, გამოთხოვილი საქმეებიდან განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს განჩინება, რომელიც დაკავშირებულია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეზე – *ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*<sup>162</sup>. აღნიშნულ საქმეში მომჩივანი (ნ.წ.), მისი სამი არასრულწლოვანი დისშვილის სახელით სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას. სასამართლომ ზემოსსენებული მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების სურვილის

<sup>162</sup> N.Ts. and Others v. Georgia, N 71776/12, 2 თებერვალი 2016.

საწინააღმდეგოდ მიიღეს გადაწყვეტილება მათი მამასთან დაბრუნების თაობაზე, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ბავშვები არ იყვნენ სათანადოდ ჩართულნი და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო ნაკარნახევი ბავშვების საუკეთესო ინტერესებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი განხილულ იქნა მინისტრთა კომიტეტთან კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თავში, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი კომუნიკაციის ფარგლებში მიმოხილულ იქნა ეროვნულ დონეზე განახლებული სამართალწარმოების დეტალები. ამდენად, მოცემულ ქვეთავში ყურადღება გამახვილდება საქალაქო სასამართლოს განჩინებაში<sup>163</sup> მოცემულ დასაბუთებაზე, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილდა განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისს №2-26-10 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას მოიხმო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 19 იანვრის რეკომენდაცია R(2002) 2, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებდა, რომ დარღვევის დამდგენი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი გაეხადათ ეროვნულ დონეზე საქმეთა გადასინჯვა. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა სტრასბურგის სასამართლოს დასკვნებზე, რომ „წარმომადგენლობის ნაკლოვანებებმა – სათანადოდ წარმოედგინათ ბავშვის ინტერესები და მოესმინათ მათი აზრი – მნიშვნელოვნად შეასუსტა გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური სიმტკიცე არსებულ საქმეში. ბავშვის საუკეთესო ინტერესების არაადეკვატურმა და ცალმხრივმა განხილვამ – მათი ემოციური მდგომარეობის უგულვებელყოფამ გაამწვავა აღნიშნული ნაკლოვანებების სიმძიმე, რამაც სასამართლოს მისცა საფუძველი, გაეკეთებინა დასკვნა, რომ ბავშვებთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი ოჯახური და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება“. თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების 34-35 პარაგრაფებზე, რომელთა მიხედვითაც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, ვინაიდან ბავშვებმა უარი განაცხადეს მამასთან დაბრუნებაზე და ისინი განაგრძობდნენ დედის მშობლებთან და დეიდასთან ცხოვრებას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ „სახეზეა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის

<sup>163</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს განჩინება საქმეზე № 1268553-16.

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, განმცხადებლებს კვლავ პირდაპირ და უშუალოდ ეხებათ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან მიუხედავად გადაწყვეტილებით მამისათვის განსაზღვრული უფლებებისა, ბავშვები ფაქტობრივად ცხოვრობენ და იზრდებიან განმცხადებლებთან, არასრულწლოვანი ბავშვების ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესების საფუძველზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძველი.”

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განჩინება აღსანიშნავია დასაბუთების თვალსაზრისით, ვინაიდან მოსამართლემ მიმოიხილა როგორც ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლების თაობაზე, აგრეთვე თავად სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა დარღვევა. როდესაც სასამართლოში წარდგენილია მოთხოვნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების შესახებ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გაანალიზოს სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული დასკვნები და ამ დასკვნებისა და წარმოდგენილი მოთხოვნის ურთიერთმიმართება. განხილულ განჩინებაში მოსამართლემ ნათლად წარმოაჩინა, თუ რატომ არსებობდა საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, ეს განჩინება დასაბუთების ხარისხის კუთხით ერთ-ერთი სანიმუშოა.

## **8.2. დარღვევა, რომელსაც ეფუძნება განაჩენი – როდის გადაისინჯება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება**

როგორც წინამდებარე თავის შესავალში აღინიშნა, ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტს, რომელიც ეროვნულ დონეზე აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზის პროცესში გამოვლინდა, წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მხრიდან საქმის გადასინჯვის საფუძვლის შეფასება. ამ საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ მისი შეფასებისას ეროვნულმა სასამართლოებმა მკაფიოდ უნდა მიუთითონ ის გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე საქმის წარმოების განახლებას. მოცემულ საკითხზე მსჯელობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატამ საჭიროდ მიიჩნია 2016 წლის

განჩინებაში,<sup>164</sup> რომელშიც მან განმარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტი. აღნიშნული დანაწესის მიხედვით,

*„განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ:*

*ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;“*

საგულისხმოა, რომ მოცემული ნორმა საკმაოდ ნათელია, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მისი კლასიკური ფორმით. თუმცა, როგორც ცნობილია სტრასბურგის სასამართლოების განჩინებები, რომლებშიც აღიარებულია კონვენციის დარღვევის ფაქტები, შესაძლებელია მოწესრიგდეს სხვაგვარადაც, მათ შორის ისეთი ფორმით, როგორცაა მაგალითად, მთავრობის ცალმხრივი აღიარება. ეროვნულ დონეზე საქმის გადასინჯვის საფუძვლის შემოწმებისას, აღნიშნული ტიპის განჩინებები სათანადო ყურადღებას იმსახურებს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ რიგ შემთხვევებში მთავრობის მხრიდან ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გასაჩივრებული მუხლებიდან მხოლოდ კონკრეტული, რამდენიმე მათგანის დარღვევის აღიარება, რასაც ხშირად მომჩივანი მხარე არ იზიარებს და მკაფიოდ აფიქსირებს მის ინტერესს, გაგრძელდეს საქმის არსებითი განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სტრასბურგის სასამართლო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, ის კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე სარგებლობს უფლებამოსილებით, მომჩივნის სურვილის მიუხედავად ამორიცხოს საჩივარი საქმეთა სიიდან, რასაც საკმაოდ ხშირად იყენებს. ხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების ფაქტობრივი განვითარების სიღრმისეული შემოწმება და სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სათანადო განმარტება.

სწორედ მოცემულ საკითხს ეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება, რომელშიც მომჩივანი ითხოვდა განაჩენის გადასინჯვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24

<sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №500აგ-15



მარტის განჩინების<sup>165</sup> საფუძველზე საქმეზე - “*შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს წინააღმდეგ*”. სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ საჩივარში მომჩივნები დავობდნენ მათ წინააღმდეგ კონვენციის მე-3, მე-5(1, 2), მე-6, მე-13 მუხლების, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის, ასევე, მე-14 მუხლთან და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთიანობაში მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევების შესახებ. ცალმხრივ დეკლარაციაში მოპასუხე მთავრობამ აღიარა მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა საპყრობილეში სამედიცინო მკურნალობის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებისა და მომჩივანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების სათანადო დასაბუთების არარსებობის გამო. მან ასევე მზაობა გამოთქვა, მომჩივნებისთვის გადაეხადა 6 000 ევრო მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მომჩივნებმა სტრასბურგის სასამართლოსთან კომუნიკაციისას დააფიქსირეს, რომ ისინი მიიღებდნენ მთავრობის აღიარებას იმ პირობით, თუ მასში მოხდებოდა ასევე მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის აღიარება. აღნიშნულის მიუხედავად, ზემოთ განხილული პროცედურის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია მთავრობის მიერ მითითებული პირობები და ამორიცხა საჩივარი საქმეთა ნუსხიდან. საჩივრის დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კონვენციის ყველა სხვა მუხლთან მიმართებით მომჩივნის მოთხოვნა სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად და შესაბამისად, დაუშვებლად მიიჩნია. რაც შეეხება, მე-6 მუხლთან დაკავშირებულ მოთხოვნას, სასამართლომ განაცხადა, რომ ის არსებითად მომჩივანთა მიერ მე-6 მუხლზე განცალკევებით შეტანილ საჩივარში მითითებული მოთხოვნის იდენტური იყო, რომელიც სასამართლოს მიერ 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

ეროვნულ დონეზე მომჩივნები კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წესის დაცვით – ჯერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო შემდეგ (მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშე ითხოვდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვას, რომლის შედეგადაც მომჩივნების შეფასებით დაირღვა მათი სამართლიანი სასამართლოს უფლება. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარეთა საკასაციო საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს განჩინება მომჩივანთა შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ უცვლელი დატოვა.

სისხლის საქმეთა საკასაციო პალატამ საკუთარ განჩინებაში აღნიშნა, რომ ის “*ვერ გაიზიარებს შ. და ვ. დების პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ*

<sup>165</sup> Shalva and Vladimer Dolidze v. Georgia, № [40207/05](#), 24 მარტი 2015

მიმართ გამოტანილი განაჩენი უნდა გადასინჯოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის ზემოაღნიშნული განჩინების (გადაწყვეტილების) საფუძველზე, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გადასინჯოს, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

პალატის შეფასებით,

“განაჩენი, რომლის გადასინჯვასაც მოითხოვენ შ. და ვ. დ-ები, არ ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის განჩინებით დადგენილ შალვა და ვლადიმერ დოლიძეების მიმართ კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მოთხოვნების დარღვევას (შალვა და ვლადიმერ დოლიძეების მკურნალობის პროცესში დაშვებული ხარვეზების გამო და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ აღმკვეთ ზომად დაკავების გადაწყვეტილებაში საკმარისი დასაბუთების არარსებობა); ამდენად, ამ მოტივით განაჩენის გადასინჯვა საფუძველს მოკლებულია.

ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ

“[საკასაციო საჩივარში] მითითებული მტკიცებულებები შეაფასა სამივე ინსტანციის სასამართლომ და მათი ხელმოწერულ შეფასება სცილდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველით სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით (გადაწყვეტილებით) არ დაუდგენია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც თავის მხრივ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გახდებოდა საკასაციო საჩივარში მითითებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.”

მოცემული განჩინება საყურადღებოა ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კასატორების არგუმენტებზე და მათთან მიმართებით კონსტრუქციული პოზიციის დაფიქსირებით უფრო ნათლად განმარტა საქმის ზემოთხსენებული საფუძველით გადასინჯვის

მომწესრიგებელი ნორმა. მომჩივნები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.<sup>166</sup>

მათი მოსაზრებით, **“საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ფორმულირების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სსენებული დებულება მართლაც ითვალისწინებდა პირის პროცესუალურ შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა მოეთხოვა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებისა თუ განჩინების საფუძველზე, რომელშიც დადგენილი იყო კონვენციის რთმელიმე დებულების დარღვევა.”**

კასატორების არგუმენტების საპასუხოდ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ

*„[მათ] მიერ მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით: „ფირალი ორუჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ დადგინდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანობის მოთხოვნას, ხოლო 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ სიიდან ამორიცხა საქმე „ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, ვინაიდან დეკლარაცია შეიცავდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევის ცალსახა აღიარებას და მისთვის ფულადი კომპენსაციის შეთავაზებას. [სსენებული დეკლარაცია] აგრეთვე, აღიარებს მომჩივნის უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი შიდა სამართალწარმოებით საქმის ხელახალი განხილვა.”*

შედეგად, საკასაციო პალატამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კასატორების მიმართ კანონიერ ძალაში შესული მოცემული განაჩენი ვერ გადაისინჯებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, **„ვინაიდან არ დადგენილა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც მომჩივანს საშუალებას მისცემდა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის შესაბამისად, მოეთხოვა სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვის მიზნით საქმის წარმოების ხელმეორედ დაწყება.“**

<sup>166</sup> ნახსენები იყო გადაწყვეტილებები საქმეებზე - „ფირალი ორუჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ და „ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

### 8.3. შეცვლილი კანონმდებლობა, როგორც ეფექტური აღსრულების საფუძველი

ეროვნულ დონეზე *restitutio in integrum* პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ცვლილება, რაც ქმნის შესაძლებლობას ეფექტურად აღსრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით რელევანტურია იმ პირობებში, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ დონეზე, ინდივიდის მიერ კონკრეტული უფლებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარდგენილ ორ საჩივარს, კერძოდ, შემდეგ საქმეებში – *ოყროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ* და *ფარღალავა საქართველოს წინააღმდეგ*. მოცემული საქმეები ეხებოდა მომჩივნების მიერ ეროვნულ დონეზე მამობის დადგენისა და შედეგად, ალიმენტის დაკისრების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე საქმის ეროვნული სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს, ის ასპექტი, თუ როგორ უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ ბავშვის მამობის დადგენის საკითხი, მოწვესრიგებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომლის იმდროინდელი რედაქცია ამგვარად გამოიყურებოდა:

*“3. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.”<sup>167</sup>*

მოცემულმა დანაწესმა 2011 წლის 20 დეკემბერს ძირეული ცვლილება განიცადა, რის შედეგადაც მამობის დადგენის უწინარეს საფუძვლად დნმ-ტესტი ჩამოყალიბდა. შედეგად, ზემოთ განხილული საკითხი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის რედაქტირებული ვერსიის შესაბამისად შემდეგნაირად მოწვესრიგდა:

<sup>167</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილი (2011 წლის 20 დეკემბრამდე არსებული ვერსია)

“3. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

4. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.”<sup>168</sup>

სწორედ აღნიშნულ დანაწესს უკავშირდებოდა საქმე ფარდალავა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ეროვნულ დონეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კუთხით, ერთჯერადი ინდივიდუალური ღონისძიების კარგ მაგალითს წარმოადგენს. წინამდებარე საქმე ეხებოდა მარტოხელა დედას, რომელიც ითხოვდა პირის ცნობას მისი არასრულწლოვანი შვილის მამად, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნებასა და მის სასარგებლოდ აღნიშნული პირისთვის ალიმენტის დაკისრებას გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისას სასამართლოებმა<sup>169</sup> მომჩივნის მოთხოვნა, ჩატარებულიყო დნმ-ის ტესტი, უცნობი მიზეზების საფუძველზე არ დააკმაყოფილეს. ხოლო ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ კი მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მამობის დადგენის მიზნებისთვის უწინარესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „გარემოებებს, რომლებითაც შეიძლება დადასტურდეს მოპასუხესა და ბავშვის დედას შორის არსებული ოჯახური თანაცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ან ბავშვის აღზრდაში მოპასუხის მონაწილეობის ფაქტი“.<sup>170</sup> მოცემული გადაწყვეტილება მომჩივანმა უზენაეს სასამართლოშიც გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ. ეროვნულ დონეზე წარუმატებელი სამართალწარმოების შემდეგ დ.ფ.-მ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით, რომელშიც დაეობდა, რომ მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევას.

<sup>168</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი (კონსოლიდირებული ვერსია).

<sup>169</sup> იგულისხმება ფოთის საქალაქო და ქუთაისის საოლქო სასამართლოები.

<sup>170</sup> Parghalava v. Georgia, N [3980/06](#), 04 მარტი, 2014.

ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში საქართველოს მთავრობა და დ. ფ. მორიგდნენ. მორიგების ფარგლებში საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ სამოქალაქო კოდექსში იყო რიგი ნაკლოვანებები, რამაც ხელი შეუშალა მომხივანს სრულად ესარგებლა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ აღიარა მომხივანის უფლება, ხელახლა წამოეწყო სამართალწარმოება ეროვნული სასამართლოების წინაშე მამობის დადგენისა და სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ალიმენტის გადახდის მოთხოვნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ განჩინების საფუძველზე, 2014 წლის 20 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დ. ფ.-ს სარჩელი მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ, ამ ნაწილში, განაახლა საქმის წარმოება და 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით<sup>171</sup> დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ სასამართლომ შეცვლილი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მამობის დადგენის შემდეგ, დეტალურად შეაფასა ალიმენტის გამოთვლისთვის საჭირო საკვანძო გარემოებები, რაც მიუთითებს ეროვნულ დონეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების თვალსაზრისით მის მნიშვნელობაზე. გადაწყვეტილების თანახმად,

*“დადგენილია, ასევე ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ალიმენტის დაკისრების ნაწილში, განეახლებინა საქმის განხილვა სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ე.ი. 2001 წლის 7 აგვისტოდან. ამ ვალდებულების აღების, ე.ი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტისათვის მ. ფ. უკვე სრულწლოვანი იყო.*

*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.”*

ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მ.ფ. ამჟამად, სრულწლოვანია და იგი შრომისუუნარო არ არის, სასამართლოს შეფასებით, ზემოხსენებული დანაწესის

---

<sup>171</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/ბ-524-2014

საფუძველზე, მის მამას ა. პ.-ს “*მისი რჩენის ვალდებულება ჰქონდა, მხოლოდ, სრულწლოვანებამდე, ანუ 2012 წლის 15 თებერვლამდე.*”

ამრიგად, “*სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს ა. პ.-სთვის იმ მიუღებელი სარჩოს დაკისრების შესახებ, რომელიც მას მ. ფ.-სათვის უნდა გადაეხადა 2001 წლის 7 აგვისტოდან 2014 წლის 2012 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში. ამის შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, არა მარტო, აპელანტის, არამედ, ასევე ა. პ.-ს შემოსავლები და მისი ოჯახური მდგომარეობა 2001-2012 წლებში.*”

ამდენად, დროის ხსენებულ მონაკვეთში ა.პ.-ს (მამის) ფინანსური შესაძლებლობების გონივრული და სამართლიანი შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. პ. ცნობილ უნდა იქნას 1994 წლის 15 თებერვალს დაბადებული მ. ფ.-ს მამად და მის სასარგებლოდ, ალიმენტის სახით, უნდა დაეკისროს 9660 ლარის გადახდა.

რაც შეეხება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მეორე საქმეს – *ოეროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ*, ისიც ანალოგიურად ეხებოდა მარტოხელა დედას, რომელიც ეროვნული სასამართლოების წინაშე ითხოვდა პირის ცნობას მისი არასრულწლოვანი შვილის მამად და მის სასარგებლოდ აღნიშნული პირისთვის ალიმენტის დაკისრებას გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისას სასამართლოს<sup>172</sup> შეფასებით, მომჩივნის მიერ წარმოდგენილი დნმ-ის ტესტი, რომლის მიხედვით, მოპასუხე წარმოადგენდა ბავშვის მამას “99.9%-ით”<sup>173</sup> არ იყო საკმარისი სამოქალაქო წესით მამობის დასადგენად და სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობიდან გამომდინარე მომჩივნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. მოცემული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა სასამართლომ მასთან დაკავშირებული საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. ეროვნულ დონეზე წარუმატებელი სამართალწარმოების შემდეგ მ.ო. და გ.ო-მ მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით, რომელშიც დაგობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-13, მე-14 მუხლების, ასევე, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში საქართველოს მთავრობა და მომჩივნები მორიგდნენ. მორიგების ფარგლებში საქართველოს

<sup>172</sup> იგულისხმება თბილისის საქალაქო სასამართლო.

<sup>173</sup> Okroshidzeebi v. Georgia, N [60596/09](#) 11 დეკემბერი 2012.

მთავრობამ მოცემულ საქმეშიც ისევე, როგორც *ფარდაღაგას* საქმეში, აღიარა, რომ სამოქალაქო კოდექსში იყო რიგი ნაკლოვანებები, რამაც ხელი შეუშალათ მომჩივნებს სრულად ესარგებლათ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. ზიანის სახით მთავრობამ მზაობა გამოთქვა გადაეხადა მომჩივნებისთვის 3 000 ევრო და აგრეთვე სრულად დაეფარა სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მათ მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები (1 797.5 ბრიტანული გირვანქა სტერლინგის და 1 278.9 ევროს ოდენობით). ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ აღიარა მომჩივნის უფლება, ხელახლა წამოეწყო სამართალწარმოება ეროვნული სასამართლოების წინაშე მამობის დადგენისა და სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ალიმენტის გადახდის მოთხოვნით. მომჩივანი სწორედ ამგვარად მოიქცა - მის მიერ ეროვნული სასამართლოს წინაშე დაყენებული მოთხოვნა მამობის დადგენის, ბავშვისათვის მამის გვარის მინიჭებისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც მის გადაწყვეტილებაში<sup>174</sup> მიუთითა შემდეგი:

*“მოცემულ შემთხვევაში გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ მოპასუხე გ.ს. არის გ.ო.-ის ბიოლოგიური მამა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო სასარჩელო მოთხოვნებს მამობის დადგენის თობაზე საფუძვლიანად მიიჩნევს.”*

ასევე, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა *“ბავშვისათვის გვარის შეცვლისა და მისთვის ბიოლოგიური მამის გვარის “ს.-ის” მინიჭების თობაზე”*. რაც შეეხება ალიმენტის საკითხს, კოლეგიამ აღნიშნულის გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია ყოველთვიურად, 120 ლარი, რომლის გადახდაც ბიოლოგიურ მამას ბავშვის სრულწოვანებამდე დაეკისრა.

#### **8.4. ეროვნული სასამართლოს როლის ეფექტური გამოვლინება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების პროცესში**

ზემოთ განვიხილეთ შეცვლილი კანონმდებლობის მნიშვნელობა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. იმავე კონტექსტში არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოების მიერ კანონმდებლობის ახლებური განმარტება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლო აღნიშნულ კანონმდებლობას ან მის განმარტებას ხარვეზიანად მიიჩნევს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ იქნება საქმე *სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ*, რომელიც ადმინისტრაციულ დავას უკავშირდება.

<sup>174</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3227-13



განსხვავებით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობისგან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34<sup>2</sup> მუხლში მოცემულია ჩანაწერი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენება, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) არსებობას, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დაუშვებელია.

აღნიშნული ჩანაწერი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე *სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ*. წინამდებარე საქმეზე მომჩივნის შვილის გარდაცვალების ფაქტზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დადგინდა. სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება არ იყო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისი, ვინაიდან შიდასამართლებრივი სისტემა არ იძლეოდა საშუალებას, სამედიცინო დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევებში, გარდაცვლილი მსხვერპლის ახლო ნათესავებს მოეთხოვათ მორალური ზიანი.

ამასთან მიმართებით სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე.

სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მომჩივანმა მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 14.05.2008წ. ბს-327-309 (2კ-07) გადაწყვეტილების გაუქმების, საქმის წარმოების განახლებისა და მოწინააღმდეგე მხარეებისთვის მორალური ზიანის - 500 000 ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

2019 წლის 22 თებერვალს უზენაესი სასამართლოს საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი და მიიჩნია, რომ სასკ-ის 34<sup>2</sup>

მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით სასკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენება, განსახილველ შემთხვევაში არ გამოორიცხავდა საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ევროკონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ცნება „სამოქალაქო“ არ განიმარტებოდა მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული სამართლის მიხედვით. სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული ცნება ავტონომიური იყო და მოიცავდა ნებისმიერ სამართალწარმოებას, რომლის შედეგს განმსაზღვრელი ხასიათი აქვს კერძო უფლება-მოვალეობებისთვის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 16.07.2017წ. გადაწყვეტილება საქმეზე „რინგეიზენი ავსტრიის წინააღმდეგ“ პარ.94) და დაასკვნა, რომ, გ. სარიშვილის სასარჩელო მოთხოვნათა გათვალისწინებით, დავა კონვენციის მიზნებისთვის, სამოქალაქოდ მიიჩნეოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 19.07.2018წ. გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. სარიშვილის მოთხოვნები საფუძვლიანი იყო.

საკასაციო სასამართლომ დამატებით იმსჯელა იმ მიზნებზე, რომლებიც საფუძვლად ედო სასკ-ის 34<sup>2</sup> მუხლს. მან აღნიშნა, რომ სასკ-ის 34<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრული მოწესრიგება შესაძლოა მიზნად ისახავდეს, ერთი მხრივ, ერთი და იგივე ქმედებისათვის სახელმწიფოს ორჯერ პასუხისმგებლობის გამოორიცხვას (უკეთუ დავის საგანია ზიანის ანაზღაურება), ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების თანამდები შედეგების სტაბილურობის, ორგანოს ქმედებების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას (უკეთუ სახეზეა შეცილებითი ან მავალელებელი სარჩელი). საკასაციო პალატამ განაგრძო მსჯელობა და განაცხადა, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. სარიშვილი-ბოლქვადის სასარჩელო მოთხოვნას არსებით დავაში შეადგენდა არა ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ან ბათილად ცნობა, არამედ შესაბამისი ორგანოებისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება (მიკუთვნებითი სარჩელი). ამასთან, გ. სარიშვილის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 18.10.2018წ. განცხადების წარდგენის მიზანია მოწინააღმდეგეთათვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის მიუღებლობის გამო. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ აღნიშნა, მართალია, ევროპულ სასამართლოში დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით

სახელმწიფოს არ დაკისრებია მომჩივნის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა, რადგან აპლიკანტს ასეთი მოთხოვნა არ დაუყენებია.

ამდენად, საკასაციო პალატამ იმსჯელა სასკ-ის 342 მუხლით განსაზღვრული მოწესრიგების მიზნებსა და არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათი გათვალისწინებით გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. N58240/08 გადაწყვეტილებაში ასახული მოსაზრება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ დონეზე არსებობდა საქმის წარმოების განახლების საკმარისი საფუძველი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის აღნიშნული განჩინება სანიმუშოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თვალსაზრისით. საკასაციო პალატამ ვიწროდ არ განმარტა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში მოცემული პროცედურული დანაწესი და იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით. ამასთან მიმართებით ზოგადად ასევე საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სასამართლოს მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა ხელყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება.<sup>175</sup>

ამ საქმესთან მიმართებით აგრეთვე საინტერესოა, საქმის წარმოების განახლების ფარგლებში შეიცვალა თუ არა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად სამედიცინო დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევებში, გარდაცვლილი მსხვერპლის ახლო ნათესავებს მორალური ზიანი არ მიეკუთვნებოდათ. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლომ დავის არსებით მხარეზე იმსჯელა 2019 წლის 16 მაისს.<sup>176</sup> სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ვრცლად მიმოიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *სარი შვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ*. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედმა საკანონმდებლო შეზღუდვამ მოსარჩელეს ჩამოართვა მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ევროპულ სასამართლოს არ დაუდასტურებია დავის განმხილველი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენა და სხვ.

<sup>175</sup> მირიგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (Mirigall Escolano and Others v. Spain), 38366/97, §33, 2000, ECHR).

<sup>176</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-327-309(მკ-07)

სახელმწიფოს მიერ კონვენციის ნორმების დარღვევა სათანადო საკანონმდებლო რეგულირების ჩარხის არარსებობის გამო დადგინდა (§§95-97).”

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.02.2019წ. განჩინებით საქმის წარმოება განახლდა მხოლოდ მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ

*„ამჟამად საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 19.07.2018წ. გადაწყვეტილებაში მიუთითა გარდაცვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით, ისევე, როგორც შიდასამართლის სხვა ნორმებით, ვინაიდან კონვენცია ინკორპორირებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში. საქართველოს კონსტიტუციის 4.5 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.3 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ორგანულ და მიმდინარე კანონებთან მიმართებით. ამდენად, ეროვნულმა ორგანოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით.“*

ამდენად, საკასაციო პალატამ მიუთითა რა კანონთან მიმართებით ევროსასამართლოს გადაწყვეტილების უპირატეს იურიდიულ ძალაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით საქმეზე *სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ*, შეცვალა უზენაესი სასამართლოს ძველი პრაქტიკა და მომჩივანს შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის გამო კომპენსაციის სახით 20 000 ლარი მიაკუთვნა.

## 8.5. მოსამართლეების საქმეები

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების კონტექსტში გამოიკვეთა კიდევ ერთი საქმეთა ჯგუფი, რომელიც ეხება მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებას დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

2017 წელს სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილებებში საქმეებზე *სტურუა საქართველოს წინააღმდეგ*<sup>177</sup> და *გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ*<sup>178</sup> კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დაადგინა იმ საფუძველით, რომ მომჩივანთა წინააღმდეგ წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში სადისციპლინო საბჭო არ იყო მიუკერზოებელი, რადგან სადისციპლინო საბჭოს ერთი და იმავე სამი წევრი მონაწილეობდა როგორც პირველ, ასევე, სააპელაციო დისციპლინურ სამართალწარმოებაში. რამდენიმე მსგავს საქმეზე საქართველოს მთავრობამ კონვენციის დარღვევა ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა.<sup>179</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე, რამდენიმე მომჩივანმა<sup>180</sup> ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას მიმართეს. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეები ხელახლა განსახილველად საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას დაუბრუნა შემდეგი დასაბუთებით:

*„სადისციპლინო პალატას მართებულად მიაჩნია მოცემული დისციპლინური საქმის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ ხელახლა განხილვა, ვინაიდან კოლეგია პირველი ინსტანციის წესით არსებითად იხილავს დისციპლინურ საქმეებს და ამავდროულად, სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა გასაჩივრებული სადისციპლინო პალატაში. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის დისციპლინური საქმე ხელახლა უნდა განიხილოს მითითებულმა კოლეგიამ, რითაც დაცული იქნება საქმის სასამართლო წარმოების ინსტანციურობის პრინციპი და საჩივრის ავტორს შესაძლებლობა მიეცემა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში, კერძოდ, სადისციპლინო პალატაში.“<sup>181</sup>*

<sup>177</sup> Sturua v. Georgia, N45729/05, 28 მარტი, 2017.

<sup>178</sup> Gabaidze v. Georgia, N13723/06, 12 ოქტომბერი, 2017.

<sup>179</sup> ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N22715/07, 9 ოქტომბერი, 2018; ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ, N12611/08 და N25500/08, 9 ოქტომბერი, 2018; თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ N8710/07, 27 ნოემბერი, 2018; ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, N 7607/07, 27 ნოემბერი, 2018;

<sup>180</sup> საქმეებში - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“, „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და „თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

<sup>181</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე № სსდ-11-18.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის საკვანძო საკითხს წარმოადგენდა შემდეგი: ყოფილი მოსამართლეები ითხოვდნენ, რომ მათ მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება შეწყვეტილიყო არა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, არამედ ბრალეული ქმედების არარსებობის საფუძველზე.

სადისციპლინო კოლეგიამ, გაბაიძის საქმესთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დისციპლინურ საქმეზე დაადგინა მხოლოდ პროცედურული დარღვევა. სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ევროპული სასამართლოს საქმის არსებით ნაწილზე, რომლითაც მოხდა მოსამართლის ბრალეულად აღიარება და მასზე სახდელის დაკისრება, არ უმსჯელია. პალატის განცხადებით,

*„უფრო მეტიც, ევროსასამართლომ ვერ დაინახა თვითნებობის რაიმე გამოვლინება ეროვნული სასამართლოების დასკვნებში, რის გამოც მიიჩნია, რომ ამ ნაწილში განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ქვეპუნქტების საფუძველზე, დაშვებას არ ექვემდებარებოდა. ამდენად, სახეზეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი დისციპლინური კუთხით მხოლოდ პროცედურულ ნაწილში.“*

საბოლოოდ, სადისციპლინო კოლეგია მივიდა დასკვნამდე, რომ გასული იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები. კოლეგიის განცხადებით,

*„მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის გასულია კანონით დადგენილი როგორც 1-წლიანი, ისე საერთო ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადებიც. შესაბამისად, ზ.გ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ხანდაზმულობის ვადების გასვლის და არა ბრალეული ქმედების არარსებობის საფუძველზე.“<sup>182</sup>*

იმავე დასკვნა გააკეთა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ სხვა საქმეზე<sup>183</sup>. პალატის გადაწყვეტილებაშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ევროპულმა სასამართლომ დისციპლინურ საქმეზე დაადგინა მხოლოდ პროცედურული

<sup>182</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №21/01-18.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №სპ-12-17.

დარღვევა, კერძოდ, ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ სადისციპლინო კოლეგიის ის წევრები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, სადისციპლინო საბჭოში იღებდნენ მონაწილეობას იმავე საქმეზე. პალატის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

*„ევროპის სასამართლოს საქმის არსებით ნაწილზე, რომლითაც მოხდა მოსამართლის ბრალეულად აღიარება და მასზე სახდელის დაკისრება, არ უმსჯელია. უფრო მეტიც, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგებთან დაკავშირებით განმარტა, რომ „ის ვერ შეასრულებს მეოთხე ინსტანციის ფუნქციას და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების მიერ ფაქტებისა და სამართლებრივი საფუძვლების დადგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიგნებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად“. მოცემულ საქმეზე კი ევროპული სასამართლო ვერ ხედავდა თვითნებობის რაიმე გამოვლინებას ეროვნული სასამართლოების დასკვნებში“.*

გარდა ამისა, სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მოსამართლეს შეწყვეტილი ჰქონდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა (ე.ი. არ არსებობდა სამართალურთიერთობის სუბიექტი). აგრეთვე, საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, გასულია კანონით დადგენილი 1-წლიანი ვადა, ხოლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან - ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა. აქედან გამომდინარე,

*„სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ სადისციპლინო კოლეგიამ სრულიად მართებულად იმსჯელა საქმის მხოლოდ პროცედურულ ნაწილზე და მ.ს.-ს მიმართ შეწყვიტა დისციპლინური საქმის წარმოება, ვინაიდან მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მას აღარ ჰქონდა მოსამართლის სტატუსი, უფრო მეტიც, გასული იყო მოსამართლეობის 10-წლიანი ვადა, ასევე გასულია კანონით დადგენილი როგორც 1-წლიანი, ისე საერთო ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადებიც.“*

ამრიგად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც.

## დასკვნა

დასკვნის სახით, კვლევამ ცხადყო, რომ ხელისუფლების სამივე შტო დიდ როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულებაში. ამასთანავე, ხაზგასასმელია ამ პროცესში აღარასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტისა და დაზარალებული მხარის ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე. საყურადღებოა, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის შემთხვევაში, აღსრულების ყველაზე უფრო სათანადო ფორმა, მომჩივნის სურვილის შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლებაა. საქართველოს კანონმდებლობა, სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებს სტრასბურგის სასამართლოს დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილების/განჩინების არსებობას. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალს, მიუხედავად საკანონმდებლო ჩანაწერისა, რომელიც ცალსახად გამორიცხავს ამ საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას, უზენაესმა სასამართლომ, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის განხილვისას, იხელმძღვანელა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით და დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ სამართლის ყველა სფეროში ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული გარანტიებია.

სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განხილვისა და ანალიზის გზით, წინამდებარე დოკუმენტმა შექმნა ერთგვარი გზამკვლევი მოსამართლეებისთვის, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ვლევის ფარგლებში შესწავლილი რამდენიმე გადაწყვეტილება/განჩინება, მოსამართლეებისთვის კარგ მაგალითს წარმოადგენს, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზისა და დასაბუთების ხარისხის თვალსაზრისით. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებითაც ხასიათდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო სამართალწარმოების განახლება. სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში როგორც არსებით გადაწყვეტილებებში, ასევე დაუშვებლობის შესახებ განჩინებებში მიმოიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას/განჩინებას, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას. მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა დაადგინონ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას შორის ურთიერთმიმართება.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეფექტიანობის საზომი ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ გადაწყვეტილებების აღსრულებაა. ცალსახაა, რომ საქართველოსთვის, რომელიც ისწრაფვის, რომ მისი სამართლებრივი სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანობის გაზრდა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს როგორც აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობა, აგრეთვე ის ძალისხმევა, რომელიც ზოგადად მიმართულია ამ პროცესის გაუმჯობესებისკენ.